როლფ გოლობი, პიტერ კრაფი

ბავშვთა უფლებების კვლევა

ცხრა მცირე პროექტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

ბავშვთა უფლებების კვლევა

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და
ადამიანის უფლებათა შესახებ –
საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის
დაწყებითი საფეხურისათვის

როლფ გოლობი, პიტერ კრაფი

თანაავტორი: ემირ აძოვიჩი

ილუსტრაციები: ემირ ჰარაკიჩი

წიგნი V
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და
ადამიანის უფლებათა შესახებ,
წიგნები I–VI
დემოკრატიული მოქალაქეობისა და
ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში
სწავლების პროცესის თანამიმდევრობა,
ცნებები, მეთოდები და მოდელები

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილ მოსაზრებებზე პასუხისმგებელნი არიან ნაშრომის ავტორები და ავტორთა მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოზიციას.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემაში შესული მასალის თარგმნა, გამრავლება ან გავრცელება ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით, ელექტრონული (CD-Rom, ინტერნეტი და ა. შ.), მექანიკური, მათ შორის, ფოტოგრაფიული, ჩანაწერით თუ ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების სხვა ნებისმიერი საშუალებით, კომუნიკაციის დირექტორატის საჯარო ინფორმაციისა და გამოცემების განყოფილების (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int) წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

მთარგმნელი: მაია გვიტიძე

რედაქტორი: ნათია ნაცვლიშვილი

დაკაბადონება: ბესიკ დანელია

ყდის დიზაინი: გრაფიკული დიზაინის განყოფილება, ევროპის საბჭო

2013, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

© Council of Europe, 2007 წლის თებერვალი

http://book.coe.int

სარჩევი

გვერდი

შესავალი 5

ნაწილი I – მცირე პროექტები ბავშვთა უფლებების შესახებ I-IX კლასებისთვის 11

ბავშვის უფლებების კონვენციის ოთხი ძირითადი პრინციპი 13

თავი 1: მე მაქვს სახელი – ჩვენ გვაქვს სკოლა 15

თავი 2: სახელი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ასოები! 20

თავი 3: ჩვენ ჯადოქრები ვართ! 26

თავი 4: ჩვენი უფლებები – ჩვენი საგანძური 32

თავი 5: ჩვენ ვქმნით წესებს ჩვენი კლასისათვის 36

თავი 6: ბავშვთა უფლებები: ხელოვნების ნიმუში! 43

თავი 7: ის, რაც მე მინდა, იგივეა, რაც ის, რაც მე მჭირდება? 48

თავი 8: მე ვქმნი ჩემს პოსტერს! 53

თავი 9: რატომ უნდა დავემორჩილოთ წესებს? 59

ნაწილი II – ძირითადი ინფორმაცია, დოკუმენტები და სასწავლო მასალა 71

„ეს ნიშნავს, რომ მე მაქვს უფლება, ვისარგებლო დასვენებით, ხომ?“
– ბავშვთა უფლებები საკლასო ოთახში 73

ბავშვთა უფლებების სწავლება: ძირითადი კითხვები, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ
სწავლების მეთოდების შერჩევისას 76

ზოგიერთი ხშირად დასმული შეკითხვა, ბავშვის უფლებების შესახებ,
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციასთან დაკავშირებით 77

ბავშვთა უფლებები – ადამიანის უფლებათა დაცვის პროცესის ნაწილი 78

ბავშვთა უფლებები – ბუნებრივი უფლებები 80

როგორ შეიქმნა ბავშვთა უფლებები 81

ბავშვის უფლებათა დეკლარაცია (1959 წლის 20 ნოემბერი) 82

კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ 84

„გამოთქვი სწორად!“ ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის
კონვენციის არაოფიციალური ახალგაზრდული გამოცემა, კანადა 102

მონაწილეობის გზები 108

ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული ინტერნეტგვერდები 108

ბარათები ბავშვთა უფლებების შესახებ 110

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო შექმნილია მასწავლებლებისათვის, რომელთა მიზანსაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის ბავშვთა უფლებების სწავლება წარმოადგენს. მოცემული სახელმძღვანელო შედგება შემდეგი ძირითადი ელემენტებისაგან:

– მცირე მოცულობის ცხრა პროექტი; თითოეული შედგება ოთხი გაკვეთილისაგან და განკუთვნილია მოსწავლეთა ჩართვისთვის საგანმანათლებლო პროგრამაში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის პირველი ცხრა წლის განმავლობაში.

– დეტალური ინსტრუქციები გაკვეთილებისათვის; ამ გაკვეთილებით სარგებლობა შეუძლიათ როგორც დამწყებ მასწავლებლებს და ასევე, ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში.

– გაკვეთილის გეგმა, რომელიც მოცემულია ყოველი პროექტის აღწერის დასაწყისში და რომელიც მოიცავს ძირითად საკითხებსა და ძირითად ამოცანებს.

– ამოცანაზე დაფუძნებული სწავლის მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრასა და მაგალითის საშუალებით სწავლაზე; რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების კონცეპტუალური სწავლის პროცესს, ეხმარება მათ უნარების განვითარებასა და ღირებულებებისა თუ შეხედულებების ჩამოყალიბებაში.

– დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, ღია და თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდები და გარემო ემსახურება მოსწავლეებისათვის ბავშვთა უფლებების სწავლების შინაარსსა და პრინციპებს (სწავლა ბავშვთა უფლებების დაცვის საშუალებით, ბავშვთა უფლებების შესახებ და ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით)

– ინსტრუმენტი, რომელიც საკლასო გარემოში შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების შეჯამებასა და დისკუსიის წარმართვაში გვეხმარება (იხილეთ ქვემოთ).

– სწავლების პროცესში გამოსაყენებელი მასალა და, აგრეთვე, მასალა ბავშვთა უფლებების ღრმად და სრულყოფილად შესწავლისათვის.

კონცეპტუალური ჩარჩო

ბავშვები უნდა იცნობდნენ თავიანთ უფლებებს, მაგრამ მათ აგრეთვე უნდა ისწავლონ ის, თუ როგორ დააფასონ თავიანთი უფლებები და როგორ ისარგებლონ ამ უფლებებით. ამ მიზნით, სკოლამ უნდა შექმნას სწავლის შესაძლებლობების ფართო სპექტრი, ბავშვთა უფლებების შესახებ განათლების მიმართულებით, რომელიც შესაძლებელია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების სამი ძირითადი კატეგორიის სახით შეჯამდეს, ესენია:

– ბავშვთა უფლებების შესახებ განათლება: მოსწავლეებს გაცნობიერებული აქვთ, თუ რა უფლებებით სარგებლობენ ისინი (ცოდნა და აღქმა). ბავშვთა უფლებების შესახებ განათლება გულისხმობს, სწავლების სპეციფიკური ამოცანების გამოყენებით, ინდივიდუალური მასწავლებლის მიერ კონკრეტულ კლასში განხორციელებულ სწავლების პროცესს.

– ბავშვთა უფლებების დაცვის საშუალებით განათლება: მოსწავლეები პრაქტიკულად სარგებლობენ მათთვის მინიჭებული უფლებებით, რომლებიც დამკვიდრებულია საკლასო ოთახსა და სკოლის საზოგადოებაში (დამოკიდებულებები, ღირებულებები და უნარები).

— ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით განათლება: მოიცავს მოსწავლეების ხელშეწყობას, რათა მათ ისარგებლონ მათთვის მინიჭებული უფლებებით, საკლასო თუ სკოლის გარემოში. ამგვარად ისინი ემზადებიან დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის, რათა ჩამოყალიბდნენ ინფორმირებულ და აქტიურ მოქალაქეებად (მონაწილეობა როგორც სკოლაში მიმდინარე პროცესებში, ასევე, შემდგომ ცხოვრებაში, ზრდასრულთა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში). სწავლა ბავშვთა და ადამიანის უფლებების დაცვის საშუალებით და, ასევე, სწავლა იმისა, თუ როგორ უნდა მიიღოს მოსწავლემ მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში (მიზანი), მთლიანი სკოლის საზოგადოების საზრუნავს წარმოადგენს. ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს სკოლის ყველა მასწავლებელი და ყველა ხელმძღვანელი და, ასევე, ყველა მოსწავლე და მშობელი.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების ფარგლებში სწავლის ეს სამი განზომილება ერთმანეთს ავსებს და აძლიერებს. წინამდებარე სახელმძღვანელო დასტურია იმისა, თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი. ბავშვთა უფლებების დაცვის საშუალებით სწავლა გულისხმობს სწავლების მეთოდების გულდასმით შერჩევას და საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, სკოლა აღიქვან მიკროსაზოგადოებად, რომელიც ეფუძნება ადამიანისა და ბავშვთა უფლებების პრინციპებს. მაგალითად, მოსწავლეები უნდა გრძნობდნენ, რომ მათ პატივს სცემენ, როგორც პიროვნებებს და რომ დისკუსიებში მონაწილეობისას მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და შეხედულებებს უსმენენ და ითვალისწინებენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. გამოცდილებას შეჯამება სჭირდება, ხოლო სკოლაში რეალური გამოცდილება უკავშირდება ადამიანისა და ბავშვთა უფლებების შესახებ არსებულ ინფორმაციას და მასთან დაკავშირებულ ასპექტებზე აზროვნებისა და ფიქრის პროცესს. სწორედ ამგვარად მიმდინარეობს სწავლა ბავშვთა უფლებების „შესახებ“.

სწავლა მაგალითების საშუალებით (ინდუქციური მიდგომა)

წინამდებარე სახელმძღვანელო აგებულია მაგალითის საშულებით სწავლების ინდუქციურ მიდგომაზე. ერთი ან რამდენიმე კონკრეტული სიტუაციის საფუძველზე, მოსწავლეები ცდილობენ განზოგადებას, აბსტრაქტული პრინციპის განსაზღვრას. სახელმძღვანელო გვთავაზობს ინდუქციური, მაგალითების საშუალებით სწავლების სამსაფეხურიან მეთოდს:

1. მასწავლებელი გულდასმით არჩევს მაგალითს და იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა საშუალებით ან მეთოდით მიაწოდოს იგი მოსწავლეებს.

2. დისკუსიისა და შეჯამების საფეხურზე მოსწავლეები ავლენენ თავიანთ ზოგად დამოკიდებულებას და მსჯელობით მიდიან ძირითადი ცნების აღმოჩენამდე, რასაც ემსახურება მასწავლებლის მიერ შერჩეული მაგალითი.

3. მოსწავლეები პრაქტიკაში იყენებენ ახლადშეძენილ ცოდნასა და კატეგორიებს.

აღწერილი პროცესის მეორე საფეხურზე, მასწავლებელთა დასახმარებლად, შემუშავებულ იქნა მატრიცა, რომელიც ყველა თავის დასაწყისშია მოცემული და რომელიც აგებულია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ბავშვთა უფლებების შესახებ სწავლების სამ განზომილებაზე. მატრიცებში მოცემულია ის ძირითადი კითხვები, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება მოსწავლეების მსჯელობის სწორი მიმართულებით წარმართვაში. მოსწავლეების მიერ მსჯელობის განვითარება მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, ვინაიდან სწავლების მიზანი არ უნდა დარჩეს მასწავლებლისა და მოსწავლეების ყურადღების მიღმა, არამედ საჭიროა მის შესახებ მოსწავლეებმა გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, იმასთან დაკავშირებით, თუ რა გაიგეს, რა გამოცდილება მიიღეს, რა შეიძინეს და როგორ აპირებენ მომავალში შეძენილი ცოდნის, გამოცდილებისა და უნარების გამოყენებას. თავიანთი მოსაზრებების ერთმანეთისათვის გაზიარებით, მოსწავლეები ბევრ რამეს სწავლობენ და ეს მთლიანი საკლასო საზოგადოებისათვის სასარგებლოა.

დემოკრატიულ საზოგადოებებში სწავლის პროცესი ყველაზე პროდუქტიული და ეფექტურია მაშინ, როდესაც მოსწავლეებმა იციან, თუ რატომ და რა მიზნით იღებენ და სწავლობენ ამა თუ იმ ინფორმაციას, ცნებებსა და კატეგორიებს, უნარებს ან ქცევის წესსა თუ პრინციპებს. აქედან გამომდინარე, შეჯამებისა

და დისკუსიის საფეხური მხოლოდ კონკრეტული მაგალითებიდან ზოგადი დასკვნების გამოტანას კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ მთლიანად სწავლის პროცესს უნდა მოიცავდეს. კონსტრუქტივისტული სწავლის თვალსაზრისით, მოსწავლეები აცნობიერებენ თავიანთ მიდგომას ზოგადად სწავლისადმი და ისინი აღმოაჩენენ, თუ შემსწავლელთა რა კატეგორიას განეკუთვნებიან, რა კონკრეტულ უნარებს ფლობენ და სწავლის რა საჭიროებები დგას მათ წინაშე. ადამიანის უფლებათა დაცვის „საშუალებით“ სწავლება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, მოსწავლეებს საკმარისი დრო და სივრცე მისცეს, რათა მათ თავიანთი საჭიროებების შესაბამისად ისწავლონ. პიროვნებას მხოლოდ ამ გზით შეუძლია განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობები შემსწავლელის პერსპექტივიდან.

დემოკრატიული მმართველობის კუთხით, სწავლების მიზნები მხოლოდ მასწავლებლისათვის არ უნდა იყოს ცნობილი, არამედ მან ისინი მოსწავლეებსაც უნდა გააცნოს, რაც გაკვეთილს დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკის ადგილად აქცევს.

და ბოლოს, ბავშვთა უფლებების ამ ფორმით სწავლა (მეტამეთოდი) წარმოადგენს იმის მოდელს, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს საკუთარი სწავლის პროცესის ორგანიზება. თანამედროვე საზოგადოებებში მიმდინარე ცვლილებები, როგორიცაა ცვლილებები საზოგადოებრივ სფეროებში, ეკონომიკაში, გარემოში ან ტექნოლოგიური და გლობალიზაციასთან დაკავშირებული ცვლილებები, დღეს უფრო დინამიკური და კომპლექსურია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მომავალი თაობისათვის ეს გამოწვევას წარმოადგენს – იმისათვის, რომ წარმატებულები იყვნენ თავიანთ კარიერაში და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, მათ მთელი ცხოვრების მანძილზე უწევთ სწავლა და ისეთ პრობლემებთან გამკლავება, რომელთა წინასწარ განსაზღვრა და სკოლაში სწავლა შეუძლებელია. მოსწავლეები, აქედან გამომდინარე, კარგად უნდა გაერკვნენ თანამშრომლობის საშუალებით სწავლის, პროექტზე მუშაობის, პროცესების შეფასებისა და პრობლემის გადაჭრის ელემენტებში. წინამდებარე სახელმძღვანელოში ჩვენ გთავაზობთ სწავლის პროცესის დასაწყის ეტაპზე განსახორციელებელ მცირე პროექტებს ამ მიმართულებით, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის.

მასწავლებელთა ხელშეწყობის მიზნით, ყოველი თავის აღწერა მოიცავს რეკომენდაციებს იმ ძირითადი კითხვების სახით, რომელთა გამოყენებაც მასწავლებელს შეუძლია შემაჯამებელ საფეხურზე. ეს ინსტრუმენტი ყოველი თავის დასაწყისშია მოცემული.

ბავშვთა უფლებების სწავლების გაკვეთილებზე, სწავლის პროცესების განზომილებათა შეჯამებისათვის საჭირო ინსტრუმენტის ჩარჩოები შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს:

– როგორც მასწავლებელი, ასევე მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა ისწავლეს და რა ცოდნა შეიძინეს მოსწავლეებმა. ინსტრუმენტის სახით მოცემული კითხვების პირველი ნაწილი მასწავლებლებისთვის არის განკუთვნილი. კითხვების მეორე ნაწილი განკუთვნილია მოსწავლეებისათვის, მაგრამ სწავლის იმავე განზომილებას ეხება. რეკომენდებულია, მასწავლებელი დაფიქრდეს და წინასწარ განსაზღვროს, თუ რა პასუხები შეიძლება გასცენ მისმა მოსწავლეებმა დასმულ შეკითხვებს.

ძირითადი კითხვები ბავშვთა უფლებების შესახებ შეძენილი ცოდნისა და უნარების შესაჯამებლად		
შესახებ	საშუალებით	მიზნით
	მასწავლებელი	
რა იციან მოსწავლეებმა ბავშვთა უფლებების შესახებ?	როგორ და რა საშუალებებით არის დაცული ბავშვთა უფლებები საკლასო გარემოსა და სკოლის საზოგადოებაში?	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ იმოქმედონ სკოლის გარეთ შექმნილ სიტუაციებში: რა ცოდნა შეიძინეს მოსწავლეებმა, რომელიც მათ მომავალ ცხოვრებაში გამოადგებათ?
	მოსწავლეები	
რა შევისწავლე ბავშვთა უფლებების შესახებ?	რა გამოცდილება მივიღე კლასში, ბავშვთა უფლებების თვალსაზრისით?	როგორ შემიძლია ვიმოქმედო ამის შემდეგ?

წინამდებარე სახელმძღვანელოთი სარგებლობისას, თვალსაჩინო ხდება, რომ ყოველი თავის აღწერაში მოცემული ინსტრუმენტები მოიცავს და გულისხმობს იმ პასუხებს, რომლებიც მასწავლებელმა და მოსწავლეებმა უნდა გასცენ დასმულ კითხვებს. ეს ემსახურება იმის დემონსტრირებას, თუ როგორ შეიძლება ამ ინსტრუმენტით სარგებლობა და რა შედეგს უნდა ველოდოთ მისი გამოყენების შემთხვევაში. რა თქმა უნდა, მასწავლებელს აქვს სრული თავისუფლება, დასმულ კითხვებს სხვანაირად უპასუხოს და, რაც შეეხება მოსწავლეების პასუხს, კითხვების სპეციფიკიდან გამომდინარე, როდესაც მოსწავლეები ფიქრობენ და მსჯელობენ თავიანთ გამოცდილებაზე – „საშუალებით“ – და იმის შესახებ, თუ როგორ შეძლებენ გამოიყენონ ის, რაც მათ ისწავლეს – „მიზნით“, არასწორი პასუხი არ არსებობს. ყველა შემთხვევაში, მათი პასუხები გაკვეთილის შეფასების საშუალებას იძლევა და ეხმარება მასწავლებელს, იზრუნოს საკუთარი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მოცემული ინსტრუმენტის გამოყენებით, მოსწავლეთა მიერ შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების შეჯამების შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია შეტანილ იქნას მასწავლებლის ან მოსწავლის პორტფოლიოში.

ამოცანაზე დაფუძნებული სწავლა და მასწავლებლის ახალი როლი

წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული თავები მცირე მოცულობის პროექტებს წარმოადგენს; მოსწავლეების წინაშე დგება პრობლემა, რომელიც უკავშირდება შესწავლის საგანს, მოითხოვს სამუშაოს ორგანიზებას, კომუნიკაციას, დროის ეკონომიურად გამოყენებას და ა.შ., რაც დამახასიათებელია პროექტისათვის. ამ პრობლემათა იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზების ძიებაში, მოსწავლეები გამოიმუშავებენ სხვადასხვა კომპეტენციას (ამოცანაზე დაფუძნებული სწავლა).

პირველ თავში მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, შექმნან ყვავილი, რომელზეც მათი სახელია დაწერილი და მათივე ფოტოა დატანილი. მოსწავლეებს ყვავილის გაფორმება თავიანთი სურვილისამებრ შეუძლიათ; მათ თავად უნდა შეარჩიონ მასალა, საკუთარი ფოტო, გონივრულად გადაანაწილონ დრო და ა.შ. ამგვარად, მოსწავლეები ბევრ რამეს შეიტყობენ სამუშაოს შესრულების შესახებ, მაგრამ მასწავლებელმა ამოცანა გულდასმით და ყურადღებით უნდა დაგეგმოს და გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები: რა დრო უნდა მიეცეს მოსწავლეებს ამოცანის შესასრულებლად? რა სახის მასალა შეიძლება დასჭირდეთ მათ, რომელიც მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს? უმჯობესია ყვავილის ნაწილები მოსწავლეებს მზა ფორმით მივაწოდოთ, თუ დამზადებაც მათვე ვანდოთ? (იხილეთ პროექტის ალტერნატიული ვარიანტი, თავი 1)

მოყვანილი მაგალითი ცხადყოფს, რომ ძალიან ადრეული ასაკიდან იწყება ბავშვების წახალისება, რათა მათ თავიანთ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა საკლასო გარემოში შესასრულებელ სამუშაოზე, რაც, ფაქტობრივად, მასწავლებლის პასუხისმგებლობის გაზიარებას ნიშნავს. ადრეულ ეტაპზე, სწავლის ამგვარი გამოცდილება მნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეებს შემდგომში, სწავლის უფრო მაღალ საფეხურზე, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ სამუშაოს და შეძლონ შესასრულებელი სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვა.

ბავშვთა უფლებების შესახებ სწავლებისას, რომელიც დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების ნაწილს წარმოადგენს, მასწავლებელს მრავალი როლის შესრულება აკისრია და მრავალი აქტივობის განხორციელება უწევს.

ბავშვთა უფლებების „შესახებ“ სწავლება გულისხმობს ინსტრუქციების მიცემისა და ინფორმაციის გადაცემის კლასიკურ ფორმას, მოსწავლეებისათვის ლექციის წაკითხვას, წიგნის კითხვას, ვიდეოკლიპის ჩვენებას და ა. შ. ბავშვთა უფლებების დაცვის „საშუალებითა“ და „მიზნით“ სწავლება, მეორე მხრივ, მასწავლებლისაგან მოითხოვს მოსწავლეებისათვის სანიმუშო მაგალითის მიცემას, როგორც ქცევით, ასევე, პიროვნული მახასიათებლებით. ბავშვები უფროსების მიერ მიწოდებულ გზავნილს სანდოდ და სარწმუნოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიქვამენ, თუ უფროსის მიერ გამოვლენილი ქცევა ამყარებს მას. მაგალითად, საუბრისას გამოყენებული ტონი, გაგებით მოპყრობა, ტოლერანტობა, სამართლიანობა ან მხარში დგომა და გამხნევება. როგორც წინამდებარე სახელმძღვანელოში შესული ყველა თავი-

დან ვგებულობთ, სწავლებისა და სწავლის მეთოდები აბსოლუტურად ესადაგება შესწავლის საგანს. ამოცანაზე დაფუძნებული სწავლის მიდგომა მასწავლებლისაგან გაკვეთილზე განსახორციელებელი აქტივობების ზედმიწევნით ზუსტ და გონივრულ დაგეგმვასა და მომზადებას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლის როლი გაკვეთილის განმავლობაში, ერთი შეხედვით, პასიური შეიძლება მოგვეჩვენოს, მასწავლებლის ფუნქცია, მოსწავლეების მიერ სამუშაოს შესრულების პროცესში, მათზე ყურადღებით დაკვირვებას მოიცავს, ვინაიდან სწორედ ამ პროცესზე დაკვირვების შედეგად შეუძლია მასწავლებელს, ამოიცნოს და განსაზღვროს მოსწავლეთა კომპეტენციები და მათი სწავლის საჭიროებები, ცოდნისა და აღქმის, უნარების გამომუშავებისა და ღირებულებების თვალსაზრისით.

ავტორებისაგან

წინამდებარე სახელმძღვანელოს პირველი გამოცემის ინიციატივა ეკუთვნის ბანია ლუკას პედაგოგიურ ინსტიტუტს, ბოსნია და ჰერცოგოვინაში. მასწავლებელთა ჯგუფმა, ამ სახელმძღვანელოს პირველი ვერსიის გამოყენებით, ექსპერიმენტულ სწავლებას მიმართა ბოსნია და ჰერცოგოვინას სერბიულ რესპუბლიკაში. მას შემდეგ, მთელი რიგი საწვრთნელი სემინარების პროცესში გრძელდებოდა მისი განხილვა და დახვეწა-გაუმჯობესება. ამ საქმეში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის, უპირველეს ყოვლისა, გვსურს, მადლობა გადავუხადოთ ბატონ სდრავკო სუნკიჩს, რომელიც იმ პერიოდში ბანია ლუკას პედაგოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელის მოადგილის ფუნქციას ასრულებდა. მისი ინიციატივისა და საქმისადმი გამოჩენილი ერთგულების გარეშე, ვერასოდეს შედგებოდა პროექტი, რომლის შედეგსაც წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს. შემდეგ მადლობა გვინდა გადავუხადოთ მასწავლებელთა გუნდს სერბიულ რესპუბლიკიდან, რომელთა მხრიდან გამოჩენილი საქმისადმი ერთგულებისა და ენთუზიაზმის წყალობით, დადასტურებულ იქნა წინამდებარე სახელმძღვანელოს ვარგისიანობა სკოლებში სწავლებისათვის, ესენი არიან:

ქალბატონი ილიანა ვიდაკოვიჩი, ქალბატონი დანიკა კრუნიჩი, ქალბატონი ლილიანა მაისტოროვიჩი, ქალბატონი მირა კურუძოვიჩი, ბატონი ზორან ბლაგოიევიჩი, ბატონი ლობომირ უმიცევიჩი, ქალბატონი სანდრა ნოვაკოვიჩი, ქალბატონი ზორა დოგანი, ბატონი ბრატისლავ დანგუბიჩი, ბატონი დრაგან პოპოვიჩი, ქალბატონი დუბროვკა ბანიაჩი, ბატონი მილან მიკელიჩი, ქალბატონი იასნა ზარიჩი, ქალბატონი მარიკა მიციჩი, ბატონი დრაგოსლავ მიხაილოვიჩი, ქალბატონი მილადინკა მუსიჩი, ბატონი მილორად სტევოვიჩი, ქალბატონი ვუკოლ სეკულოვიჩი, ქალბატონი ელენა ციკოვიჩი, ქალბატონი ზარა ლუნიჩი, ქალბატონი მაია მიტრასევიჩი, ქალბატონი ვენსა როკვიჩი.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების სახელმძღვანელოთა მოცემული სერია მასწავლებელთა ათწლიანი წვრთნის შედეგია, რომელიც მიმდინარეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებული პროექტის ფარგლებში. ჩვენ მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენს პარტნიორებს ევროპის საბჭოდან, რომელთა მხარდაჭერითა და თანადგომით იქნა შესაძლებელი ამ სახელმძღვანელოთა შექმნა, ესენი არიან: ქალბატონი ოლოფ ოლაფსდოტირი, ბატონი კრისტოფერ რეინოლდსი და ბატონი ემირ აძოვიჩი.

ციურიხი და ვეინგარტენი, 2006 წლის თებერვალი
როლფ გოლობი და პიტერ კრაფი

ნაწილი I

მცირე პროექტები ბავშვთა უფლებების შესახებ, I-IX კლასებისთვის

	პროექტი	**ძირითადი ცნება**	**კომპეტენცია**
თავი 1:	მე მაქვს სახელი – ჩვენ გვაქვს სკოლა	პიროვნებისა და საზოგადოების უფლება განათლებაზე	
თავი 2:	სახელი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ასოები!	ინდივიდუალობა	
თავი 3:	ჩვენ ჯადოქრები ვართ!	პრობლემა ბავშვთა უფლებები: გაიზარდოს ჯანმრთელი, თავისუფალი, ღირსეული	წარმოდგენის გამართვა
თავი 4:	ჩვენი უფლებები - ჩვენი საგანძური	ბავშვთა უფლებები	თანამშრომლობა
თავი 5:	ჩვენ ვქმნით წესებს ჩვენი კლასისათვის	საზოგადოება უფლებები, მოვალეობები და წესები დისციპლინა, თავისუფლებები და წესრიგი	არჩევანის გაკეთება მოლაპარაკება თანამშრომლობა საკუთარი ღირებულებების დაცვა
თავი 6:	ბავშვთა უფლებები: ხელოვნების ნიმუში!	ბავშვთა უფლებების ძირითადი პრინციპები	პროექტის დაგეგმვა
თავი 7:	ის, რაც მე მინდა, იგივეა, რაც მე მჭირდება?	სურვილები და საჭირო-ებები, მატერიალური და არამატერიალური	შეთანხმების მიღწევა
თავი 8:	ვქმნი ჩემს საკუთარ პოსტერს!	ბავშვთა უფლებების დარღვევები და დაცვა	გუნდური მუშაობის ორგანიზება პროექტის მომზადებასთან დაკავშირებული სამუშაო გამოცდილების შეჯამება და განხილვა
თავი 9:	რატომ უნდა დავემორჩილოთ წესებს?	წესებისა და კანონების დანიშნულება სკოლა – მიკროსაზოგადოება	კრიტიკული აზროვნება

ბავშვის უფლებების კონვენციის ოთხი ძირითადი პრინციპი[1]

I. მონაწილეობა: მონაწილეობის უფლება

მუხლი 3	ბავშვების საჭიროებების პრიორიტეტულობა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში, კანონმდებლობასა და იურისდიქციაში
მუხლი 12	შეხედულებების გამოთქმის თავისუფლება და აზრის გამოთქმის უფლება ყველა იმ საკითხზე, რომელიც ბავშვს ეხება
მუხლი 13	გამოხატვის თავისუფლება
მუხლი 14	აზრის, სინდისის და რელიგიური რწმენის თავისუფლება
მუხლი 15	ასოციაციებისა და მშვიდობიანი შეკრებების უფლება
მუხლი 16	პირადი ხელშეუხებლობის დაცვა
მუხლი 17	მედიასაშულებებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მისაწვდომობა

II. შესაძლებლობების გამოვლენა: ჩვენი უფლება, ჩამოვყალიბდეთ იმად, ვინც ვართ მშობელთა უფლებების დაცვა

მუხლი 5	მშობელთა უფლებების დაცვა
მუხლი 7	ბავშვის სახელისა და მოქალაქეობის დაცვა
მუხლი 8	ბავშვის ინდივიდუალობის დაცვა
მუხლი 10	ოჯახის გამთლიანების ხელშეწყობა
მუხლი 21	შვილად აყვანის პროცედურათა დაცვა და კონტროლი
მუხლი 23	განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებზე გამორჩეული მზრუნველობა
მუხლი 28	განათლების უფლება

III. ნორმალური ცხოვრების პირობები: სიცოცხლის შენარჩუნების უფლება

მუხლი 6	ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნების პირობებისა და ჯანსაღი განვითარების უზრუნველყოფა
მუხლი 9	მშობლებთან კავშირის შენარჩუნების უზრუნველყოფა
მუხლი 18	მშობლებისა და მეურვეების პასუხისმგებლობები
მუხლი 24	ჯანმრთელობის დაცვა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემისა და მომსახურების მისაწვდომობა
მუხლი 26	სოციალური უზრუნველყოფა
მუხლი 27	ცხოვრების სათანადო პირობების უზრუნველყოფა
მუხლი 31	დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონების უფლება

IV. ზიანისაგან დაცვა: დაცვის უფლება

მუხლი 2	დისკრიმინაციისაგან დაცვის პრინციპი
მუხლი 11	უკანონოდ გადაადგილებისა და გატაცებისაგან დაცვა
მუხლი 19	ძალადობისაგან და მზრუნველობის მოკლებისაგან დაცვა
მუხლი 20	ოჯახის მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დაცვა
მუხლი 22	ლტოლვილი ბავშვების დაცვა
მუხლი 32	ეკონომიკური ექსპლოატაციისაგან დაცვა
მუხლი 33	ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისაგან დაცვა
მუხლი 34	სექსუალური ექსპლოატაციისაგან დაცვა
მუხლი 35	ბავშვთა ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევისა და ბავშვებით ვაჭრობის დაუშვებლობა
მუხლი 36	ყველა სხვა ფორმის ექსპლოატაციისაგან დაცვა
მუხლი 37	წამებისა და სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან დაცვა
მუხლი 38	ომები და შეიარაღებული კონფლიქტები
მუხლი 39	ნებისმიერ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლ ბავშვთა სოციალური რეინტეგრაცია
მუხლი 40	სასჯელაღსრულების კანონი ბავშვების მიმართ

1. ამონარიდი დოკუმენტიდან: „გამოთქვი სწორად!“ ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის არაოფიციალური ახალგაზრდული გამოცემა, კანადა. დოკუმენტის სრული ვერსია იხილეთ წინამდებარე სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში (ნაწილი II).

თავი 1

მე მაქვს სახელი – ჩვენ გვაქვს სკოლა

გაკვეთილის გეგმა

	ძირითადი კითხვა/ გაკვეთილის თემა	ძირითადი ამოცანა	რესურსები
გაკვეთილი 1	მოსწავლეები ეცნობიან ერთმანეთის სახელებს.	მოსწავლეები წარადგენენ ერთმანეთს სახელებით.	ფერადი ქაღალდის ფურცლები
გაკვეთილი 2 და 3	რამდენად მრავალფეროვანია ჩვენი კლასი?	მოსწავლეები ქმნიან ყვავილებს, შუაში თავიანთი ფოტოსურათებით. ამ ყვავილებისაგან ადგენენ თაიგულს.	ფერადი ქაღალდის ფურცლები, ყველა მოსწავლის პატარა ფოტოსურათები, ერთი დიდი ფორმატის ფურცელი
გაკვეთილი 4	რა ვიცით ერთმანეთის შესახებ	შემაჯამებელი დისკუსია მთლიანი კლასის მონაწილეობით	დასრულებული პოსტერი

სწავლების მიზნები

მოსწავლეები ეცნობიან ერთმანეთს სახელებით. ისინი აცნობიერებენ, რომ თითოეულმა მათგანმა დაბადებისთანავე მიიღო სახელი, რომელიც მათ სხვებისაგან განასხვავებს. ასევე, აცნობიერებენ, რომ მათი სახელები მათ საკუთრებას წარმოადგენს და მათი ჩამორთმევა არავის შეუძლია.

მოსწავლეებს ესმით, რომ სხვადასხვა სახელი პიროვნებებს ერთმანეთისაგან განასხვავებს, და ყველა ერთად, ყვავილების დიდი და ლამაზი თაიგულის მსგავსად, ერთ კლასს ქმნის. ყვავილების თაიგულის ნაცვლად, შეგიძლიათ, მოსწავლეებს შესთავაზოთ წვიმის წვეთების ან მატარებლის ვაგონების, მუსიკალური ნოტების, ასაწყობი თავსატეხის შემადგენელი ნაწილების და ა. შ. დამზადება ცენტრში მათი ფოტოებით. ყველა შემთხვევაში, ერთი რამ ცხადი უნდა იყოს: ჩვენ ყველანი ერთად უფრო მეტს წარმოვადგენთ, ვიდრე მხოლოდ შემადგენელი ნაწილები. ჩვენ ერთად თაიგულს ვქმნით, ან ღრუბელს, ან ტბას, ან მატარებელს, მელოდიას, რაიმე სრულყოფილ სურათს და ა.შ.

მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ კლასი შეადგენს შემსწავლელთა საზოგადოებას.

მოსწავლეებს ესმით და აფასებენ იმას, რომ სკოლა მათ ეხმარება მოცემულ მომენტში – და დაეხმარება მომავალშიც – რათა თითოეულმა მათგანმა, და ყველამ ერთად, მეტი ისწავლოს და მეტი ცოდნა და უნარები შეიძინოს.

ისინი აღმოაჩენენ, რომ სკოლაში სიარული მხოლოდ მოვალეობას არ წარმოადგენს, სკოლის შექმნა უკავშირდება მათ უფლებას, იარონ სკოლაში და მიიღონ განათლება, ხოლო მშობლები, მასწავლებლები და სახელმწიფო უზრუნველყოფს მათი ამ უფლების დაცვას.

ძირითადი კითხვები ბავშვთა უფლებების შესახებ შეძენილი ცოდნისა და უნარების შესაჯამებლად		
შესახებ	საშუალებით	მიზნით
	მასწავლებელი	
რა იციან მოსწავლეებმა ბავშვთა უფლებების შესახებ?	როგორ და რა საშუალებებით არის დაცული ბავშვთა უფლებები საკლასო გარემოში და სასკოლო საზოგადოებაში?	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ იმოქმედონ სკოლის გარეთ შექმნილ სიტუაციებში: რა ცოდნა შეიძინეს, რომელიც მათ მომავალ ცხოვრებაში გამოადგებათ?
მუხლები 7 და 28	სკოლა ჩვენი ცხოვრების ნაწილს შეადგენს; კლასი, თავისთავად, მიკროსაზოგადოებაა. მისი სიმბოლო მოსწავლეების მიერ დამზადებული თაიგულია. მოცემული თავის გავლისას, მოსწავლეები ერკვევიან ბავშვის იმ უფლებებში, რომლებიც აქ მოყვანილ მუხლებშია მოცემული.	მოსწავლეები მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში იმასთან დაკავშირებით, თუ სად გამოფინონ მათ მიერ შექმნილი პოსტერი ყვავილების თაიგულით.
მოსწავლეები		
რა შევისწავლე ბავშვთა უფლებების შესახებ?	რა გამოცდილება მივიღე კლასში, ბავშვთა უფლებების თვალსაზრისით?	როგორ შემიძლია ვიმოქმედო ამის შემდეგ?
ჩვენ, ბავშვებს, განსაკუთრებული უფლებები გვაქვს: ჩვენ გვაქვს სახელი, რომლის ჩამორთმევაც ჩვენთვის არავის შეუძლია (მუხლი 7). ჩვენ გვაქვს უფლება, ვიაროთ სკოლაში და ვისწავლოთ წერა-კითხვა. სკოლის დახმარების გარეშე, შემდგომ ცხოვრებაში, ვერავინ შეძლებს სამსახურის შოვნას.	ყველა ჩვენთაგანი განსაკუთრებულია. ყველა მოსწავლეს სიხარულით ხვდებიან კლასში. დასანანი იქნება, თუ რომელიმე ჩვენგანს გაკვეთილების გაცდენა მოუწევს. ჩვენ ყველას თანაბარი უფლებები გვაქვს.	მე ახლა ვიცი, რომ თავს უკეთ ვგრძნობ, როგორც კლასის ერთ-ერთი მოსწავლე; ჩვენ ერთად კარგი გუნდი ვართ. მე ვეცდები, დავეხმარო სხვა მოსწავლეებს, რათა მათ თავი ისევე კარგად იგრძნონ კლასში, როგორც მე ვგრძნობ.

რესურსები

გულების ფორმის გამოჭრილი ფერადი ქაღალდის ფურცლები;

ბაფთები;

მაკრატლები;

წებო;

ფერადი ქაღალდის ფურცლები;

მოსწავლეთა ფოტოსურათები;

დიდი ფორმატის ფურცელი

პოსტერის დასამზადებლად.

მსვლელობა

გაკვეთილი 1

1. მოსწავლეები სხდებიან წრეზე. ამ წრის შუაში, იატაკზე, განლაგებულია გულების ფორმაზე გამოჭრილი ფერადი ქაღალდის ფურცლები. თითოეულ გულზე თითო მოსწავლის სახელი წერია და თითოეულ მათგანზე მობმულია ბაფთა. ერთ-ერთ გულზე მასწავლებლის სახელი წერია და იგი სხვა გულების შუაშია მოთავსებული.

2. მასწავლებელი ამხნევებს მოსწავლეებს, რათა მათ ერთმანეთთან დიალოგი გამართონ.

   – ყველამ ვიცით ერთმანეთის სახელები? ვინ ვინ არის?

   – თითოეული მოსწავლე იღებს თითო გულს, რომელზეც სხვა მოსწავლის სახელი წერია. რა მომწონს მე ამ ბავშვში? რა გაგვიკეთებია ერთად? რა დამაკლდებოდა, აქ რომ არ იყოს?

   – სხვა კითხვები, რომლებიც შეიძლება ჩავრთოთ მოსწავლეების საუბარში: რას იტყოდა სხვა ვინმე ამ ბავშვის შესახებ, მაგალითად, მასწავლებელი, ოჯახის რომელიმე წევრი, როგორ დაახასიათებდა იგი საკუთარ თავს, როგორ დაახასიათებდა მას მისი მეგობარი, საკლასო ოთახში მყოფი რომელიმე პირი, სკოლა ან საზოგადოება?

3. ყველა მოსწავლე საუბრობს კლასის სხვა რომელიმე მოსწავლეზე და გულს, რომელზეც ამ მოსწავლის სახელი წერია, გადასცემს მას.

4. ყველა მოსწავლე ინახავს გულს, რომელზეც მისი საკუთარი სახელი წერია, შემდეგ გაკვეთილამდე, ამასობაში მოსწავლეებმა ერთმანეთი უკეთ უნდა გაიცნონ.

5. მასწავლებელი სვამს შეკითხვას: „რატომ შევარჩიე სხვადასხვა ფერის ფურცლები და ყველას სახელი ერთი ფერის ფურცელზე რატომ არ დავწერე?“

6. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შემდეგ გაკვეთილზე საკუთარი პატარა ფოტოსურათები მოიტანონ (მასწავლებელს, ამის ნაცვლად, შეუძლია თავად გადაუღოს ფოტოები მოსწავლეებს).

გაკვეთილები 2 და 3

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს:

მსოფლიოს ყველა ბავშვი ერთმანეთისაგან განსხვავდება. თითოეული ბავშვი განსაკუთრებულია თავისი გარეგნობით, მახასიათებლებით, ხასიათით, სახელით!

ბავშვებს აქვთ თავიანთი უფლებები. ეს უფლებები ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგალითად:

– ბავშვს აქვს უფლება, ჰქონდეს სახელი (მუხლი 7);

– ბავშვს აქვს უფლება, მიიღოს განათლება სკოლაში (მუხლი 28).

ვინმემ რომ მოგმართოთ, ამისათვის უნდა გქონდეთ სახელი. ამრიგად, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ ერთმანეთის სახელები!

ყველა ჩვენგანი, ჩვენი განსხვავებული მახასიათებლებით, განსხვავებული ხასიათით, განსხვავებული გარეგნობით, ვქმნით ამ კლასს.

ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი კლასის სურათი, არა გულებით, არამედ ყვავილებით. საყვავილე წარმოადგენს სკოლას, სკოლის შენობას ან ჩვენს საკლასო ოთახს; ხოლო ყოველი ჩვენგანი არის ყვავილი.

ჩვენ გარეშე სკოლაც არ იქნებოდა, სკოლა ცარიელ საყვავილეს დაემსგავსებოდა.

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს დავალების შესრულებისას განსახორციელებელ პროცედურათა თანმიმდევრობას:

- თითოეული მოსწავლე მუშაობს საკუთარი ყვავილის შექმნაზე.
- ისინი აფერადებენ ყვავილის ფურცლებს და თავიანთ ფოტოებს ყვავილის გულის ადგილზე აკრავენ.
- ყვავილები ერთად გროვდება და კეთდება თაიგული.
- მოსწავლეები თაიგულს აკრავენ პოსტერზე.
- ამგვარად, ჩვენ ჩვენი კლასის ფერად პოსტერს ვქმნით.

მოსწავლეებს ეძლევათ დრო დასაფიქრებლად, მათ უნდა წარმოიდგინონ, როგორი უნდა იყოს პოსტერი და გამოთქვან მოსაზრებები. მასწავლებელი ისმენს და ინიშნავს მათ მოსაზრებებსა და იდეებს. მოსწავლეები საკუთარ მოსაზრებებს თავისუფლად გამოთქვამენ, სავარაუდოდ, შემდეგ კითხვებზე პასუხების სახით:

- რას აღნიშნავს თითოეული ყვავილი?
- რას აღნიშნავს საყვავილე?
- რატომ არის მნიშვნელოვანი, გქონდეს სახელი?

იმის მიხედვით, თუ რა დრო ეძლევათ მოსწავლეებს დავალების შესასრულებლად და რა სამუშაო მასალა აქვს მათთვის მომზადებული მასწავლებელს, მოცემული აქტივობა შესაძლებელია რამდენიმე განსხვავებული გზით წარიმართოს, მაგალითად:

- მოსწავლეებს შეუძლიათ თავად დახატონ, გამოჭრან და მორთონ ყვავილები, ან მათ მასწავლებელი აძლევს უკვე გამოჭრილ ყვავილებს, რომლებსაც ისინი საკუთარი გემოვნებით აფორმებენ.
- მასწავლებელს მომზადებული აქვს ყვავილების გულები, მოსწავლეები თავად ქმნიან ყვავილის ფურცლებსა და გვირგვინს.
- მოსწავლეების ფოტოები ამოჭრილია ისე, რომ მათი სახეები ყვავილის გულებს მოერგოს.
- მოსწავლეები, რომლებიც სხვებზე ადრე დაასრულებენ სამუშაოს, აკეთებენ სხვა ყვავილებს, მოსწავლეთა ფოტოების გარეშე.
- საყვავილეზე წარმოდგენილია მოკლე ვერსია ბავშვთა იმ უფლებებისა, რომლებიც გაკვეთილის განმავლობაში იქნა ნახსენები (მუხლი 7 და მუხლი 28).
- მასწავლებელს ყველა მოსწავლის მიერ შექმნილი ყვავილი გადააქვს პოსტერზე.

გაკვეთილი 4

გარემო:

- პოსტერი, რომელზეც მოსწავლეების მიერ გაკეთებული ყვავილების თაიგულია დატანილი, გამოფენილია დაფაზე ან საკლასო ოთახის კედელზე.
- მოსწავლეები სხედან დიდ ნახევარწრეზე; კლასში, სადაც ბევრი მოსწავლეა, შესაძლებელია, მოსწავლეები ორ ნახევარწრეზე განლაგდნენ. ყველა მოსწავლე კარგად უნდა ხედავდეს პოსტერს.

მოსწავლეები ფიქრობენ, როგორ გასცენ პასუხი შემდეგ კითხვებს:

- რისი კეთება მომეწონა ამ დავალების შესრულების დროს?
- რა ვისწავლე?
- რა ვიცი სხვა მოსწავლეების შესახებ?
- რა ვიცი მასწავლებლის შესახებ?

მასწავლებელი უძღვება მოსწავლეებს შორის მოსაზრებებისა და კომენტარების გაცვლა-გამოცვლის პროცესს.

ბოლოს, მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის გარკვეულ ინ-ფორმაციას ბავშვთა უფლებების შესახებ. იგი კონკრეტულად ეხება ბავშვთა უფლებების ორ მუხლს, რომელიც საყვავილეზეა დატანილი. მასწავლებელი მოსწავლეებს ამცნობს 20 ნოემბრის შესახებ, რომელიც ბავშვთა საყოველთაო დღედ არის ცნობილი.

მასწავლებელი კლასთან ერთად განიხილავს, თუ სად შეიძლება გამოიფინოს პოსტერი, სკოლის დერეფანში თუ სკოლის შემო-სასვლელ ჰოლში. მოსწავლეები მსჯელობენ, თუ სად უნდა გან-თავსდეს პოსტერი, რათა სკოლაში მოსულ ყველა ადამიანს ჰქონდეს მისი ნახვის შესაძლებლობა; მსჯე-ლობენ იმაზე, თუ როგორ უნდა მოიქცნენ იმ შემთხვევაში, თუ მათ კლასს ახალი მოსწავლე შეემატება.

თავი 2

სახელი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ასოები!

გაკვეთილის გეგმა

	ძირითადი კითხვა/ გაკვეთილის თემა	ძირითადი ამოცანა	რესურსები
გაკვეთილი 1	ყველა ჩვენგანის სახელები!	მოსწავლეები ერთმანეთის სახელებზე ბევრ რამეს იგებენ (ინტერაქტიული მიდგომა).	A4 ფორმატის ფურცელი
გაკვეთილი 2	როგორ დამერქვა ჩემი სახელი!	მოსწავლეები ფიქრობენ ბავშვისათვის სახელის დარქმევის მიზეზებზე.	წვრილად დაჭრილი ქაღალდის ფურცლები, მათზე დაწერილი წინადადებებით; მოსწავლეთა სამუშაო მასალის სახით.
გაკვეთილი 3 და 4	ყველას რაღაც აქვს მოსაყოლი!	მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას თავიანთი ცხოვრების შესახებ. მოსწავლეები ქმნიან სურათს განვლილი ცხოვრების შესახებ.	ინფორმაცია ბავშვების ოჯახებზე (საშინაო დავალება); დიდი ფორმატის თითო ფურცელი თითოეული მოსწავლისათვის; მარკერები და ფერადი საღებავები

სწავლების მიზნები

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-7 მუხლი იცავს ბავშვის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი სახელი. ბავშვის გვარი მიანიშნებს მის კავშირებზე გარშემო მყოფ ადამიანებთან. თუმცა მისი სახელი ბავშვს ინდივიდუალურ პიროვნებად აქცევს, მსოფლიოში უნიკალურ არსებად.

მოსწავლეები უნდა ამაყობდნენ თავიანთი სახელებით, მათ უნდა იცოდნენ, რას აღნიშნავს მათი სახელები, რა იმედი და მოლოდინია ჩადებული მათ სახელებში და რატომ შეურჩიეს მშობლებმა მათ ეს სახელები.

ამ თემაზე საუბრისას, მასწავლებელმა საჭიროა გარკვეული სიფრთხილე გამოიჩინოს, მთელი რიგი მიზეზების გამო: შესაძლებელია, კლასში იყვნენ ისეთი მოსწავლეები, რომლებიც მშობლებთან არ იზრდებიან, ან რომლებსაც დაკარგული აქვთ თავიანთი სახელები ემიგრაციაში ან დევნაში ყოფნის დროს. მასწავლებელს განსაკუთრებული სიფრთხილისა და გულისხმიერების გამოჩენა სჭირდება ამგვარ ბავშვებთან მსგავს თემებზე საუბრისას.

წინამდებარე თავში შესული გაკვეთილების მსვლელობისას, ბავშვები თავიანთ თავზე ფიქრდებიან, თანაკლასელებთან ერთად. აქედან გამომდინარე, მოცემული თავი ერთგვარი გაგრძელებაა წინა თავისა, მაგრამ შესაძლებელია მისი ცალკე სწავლებაც.

ძირითადი კითხვები ბავშვთა უფლებების შესახებ შეძენილი ცოდნისა და უნარების შესაჯამებლად		
შესახებ	საშუალებით	მიზნით
	მასწავლებელი	
რა იციან მოსწავლეებმა ბავშვთა უფლებების შესახებ?	როგორ და რა საშუალებებით არის დაცული ბავშვთა უფლებები საკლასო გარემოში და სასკოლო საზოგადოებაში?	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ იმოქმედონ სკოლის გარეთ შექმნილ სიტუაციებში: რა ცოდნა შეიძინეს, რომელიც მათ მომავალ ცხოვრებაში გამოადგებათ?
მუხლები 7, 8, 12, 13	სკოლა ჩვენი ცხოვრების ნაწილია; კლასი, თვისთავად, მიკროსაზოგადოებას წარმოადგენს. ბავშვები თავიანთ ინდივიდუა-ლობას აცნობიერებენ იმით, რომ სხვა ბავშვების სახელებს იგებენ და იმით, რომ კლასში მათ ყველა სახელით მიმართავს. მოცემული თავის გავლისას, მოსწავლეები ერკვევიან ბავშვის იმ უფლებებში, რომლებიც აქ მოყვანილ მუხლებშია მოცემული.	მოსწავლეები მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუ სად გამოფინონ მათ მიერ შექმნილი პოსტერი. ამისათვის, სავარაუდოდ, გარკვეული სივრცის გამოყოფა იქნება საჭირო, ამგვარად, ამ საკითხის შესახებ მოლაპარაკება და შეთანხმება საჭიროა სხვა მასწავლებლებთან, სკოლის დამხმარე პერსონალთან და სკოლის ხელმძღვანელთან.
	მოსწავლეები	
რა შევისწავლე ბავშვთა უფლებების შესახებ?	რა გამოცდილება მივიღე კლასში, ბავშვთა უფლებების თვალსაზრისით?	როგორ შემიძლია ვიმოქმედო ამის შემდეგ?
რა შევისწავლე ბავშვთა უფლებების შესახებ? ჩვენ, ბავშვებს, განსაკუთრებული უფლებები გვაქვს: ჩვენ გვაქვს სახელი, რომლის ჩამორთმევის უფლებაც არავის აქვს (მუხლი 7). მე, როგორც ბავშვს, უკვე ჩემი ცხოვრების ისტორია მაქვს, რომელიც განსხვავდება სხვა ბავშვების ცხოვრებისეული გამოცდილებისაგან. ეს ყოველთვის ჩემი პიროვნების ნაწილად დარჩება (მუხლი 8). მე შემიძლია მქონდეს საკუთარი შეხედულება და მოსაზრება და თავისუფლად გამოვთქვა ის, რასაც ვფიქრობ და ამის უფლება ყველა ბავშვს აქვს (მუხლები 12 და 13).	მე შევამჩნიე, რომ მასწავლებელიც და კლასის ყველა სხვა მოსწავლეც ყურადღებას მაქცევდა. მათ მომისმინეს და ახლა ყველამ იცის ჩემი სახელი. ჩემი სახელით მე ყველასაგან გამორჩეული ვარ, ყველასაგან განსხვავებული. მე კლასში ყველა დანარჩენი მოსწავლის სახელი ვიცი. ვფლობ გარკვეულ ინფორმაციას მათი ცხოვრების შესახებ.	როდესაც ვინმეს ვხვდები, სკოლის სათამაშო მოედანზე ან სადმე სხვაგან, სახელს ვკითხავ და მეც სახელით გავეცნობი.

რესურსები

წვრილად დაჭრილი ქაღალდის ფურცლები;

დიდი ფორმატის ფურცელი;

ძველი, ილუსტრირებული ჟურნალები;

ფერადი საღებავები;

ფუნჯები;

მაკრატლები;

წებო;

სამუშაო ფურცლები მოსწავლეებისათვის (იხილეთ ქვემოთ).

მსვლელობა

გაკვეთილი 1: ყველა ჩვენგანის სახელები!

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ზის წრეზე. მოსწავლეები სხედან თავ-თავიანთ სკამებზე. მოსწავლეებს ხელში უჭირავთ წვრილად დაჭრილი ქაღალდის ფურცლები, რომლებზეც მათი სახელები მსხვილი შრიფტით არის დაწერილი. მასწავლებელსაც უჭირავს ამგვარივე ფურცელი, რომელზეც მისი სახელი და გვარია დაწერილი მსხვილი შრიფტით. ყველა რიგრიგობით წარმოთქვამს საკუთარ სახელს. ახლა მოსწავლეებმა იციან ერთმანეთის სახელები. შესაძლებელია, მოცემული აქტივობა სხვადასხვა თამაშის სახით გახორციელდეს:

- თითოეული მოსწავლე წარმოთქვამს საკუთარ სახელს და, აგრეთვე, მის მარჯვნივ და მარცხნივ მჯდომი მოსწავლეების სახელებს, „მე მქვია ..., ჩემს მარჯვნივ მჯდომი მოსწავლის სახელია ..., ხოლო ჩემს მარცხნივ მჯდომი მოსწავლის სახელია ... “.

- მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეთა რამდენიმე საერთო მახასიათებელზე, მაგალითად, ჯინსისა ან ქვედაბოლოს ფერზე, ერთნაირ ინიციალებზე, სათვალეზე, თმის ფერზე და ა.შ. და მოსწავლეებს გამოსაცნობად უსვამს კითხვებს, მაგალითად: ...-ს, ...-ს და ...-ს საერთო მახასიათებელი აქვთ. ვინ გამოიცნობს, რა აქვთ მათ საერთო?“ მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს რამდენიმე ამგვარ კითხვას.

- მასწავლებელი მოსწავლეებისაგან აგროვებს ბარათებს, მათზე დატანილი მოსწავლეების სახელებით. თითოეული მოსწავლე ამ შეგროვილი ბარათებიდან იღებს ერთ ბარათს ისე, რომ არ კითხულობს, ზედ ვისი სახელი წერია. ამის შემდეგ ყველა მოსწავლე წარმოადგენს მის მიერ აღებულ ბარათს. ვის შეუძლია მოაწესრიგოს ბარათების არევით შექმნილი უწესრიგობა, კერძოდ, ყველა ბავშვს საკუთარი ბარათი დაუბრუნოს?

- თამაში, რომელიც ავტობუსში ასვლის ინსცენირებას გულისხმობს და რომელიც შემდეგნაირად წარიმართება: ერთ-ერთი მოსწავლე იწყებს განცხადებით: „მე ვარ ანა და მე ავდივარ ავტობუსში“. ანას გვერდით მჯდომი მოსწავლე აგრძელებს, „მე ვარ სანდრა და მე ავდივარ ავტობუსში, ანასთან ერთად“. სანდრას გვერდით მჯდომი მოსწავლე აგრძელებს : „მე ვარ ტომი და მე ავდივარ ავტობუსში ანასთან და სანდრასთან ერთად“ და ასე შემდეგ, ყოველი მოსწავლე იმეორებს ყველა იმ მოსწავლის სახელს, რომელიც მასზე ადრე „ავიდა ავტობუსში“. მოსწავლეებმა, ამავდროულად, უნდა დაიცვან ის თანამიმდევრობა, რა თანამიმდევრობითაც სხედან წრეზე, ეს მათ გაუადვილებთ სახელების დამახსოვრების პროცესს. ასე გრძელდება მანამ, სანამ ყველა მოსწავლე არ „ჩაჯდება ავტობუსში“. საჭიროა, მასწავლებელმა აკონტროლოს, რომ მოსწავლე,

რომელიც ვერ გაიხსენებს „ავტობუსში ყველა მასზე ადრე ასული“ მოსწავლის სახელს, არ გაღიზიანდეს. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეებს უნდა მისცეს საშუალება, დაეხმარონ ერთმანეთს სახელების გახსენებაში.

მასწავლებელი ასრულებს გაკვეთილს მოსწავლეებს შორის გამართული დიალოგით, რომელიც მოსწავლეებმა შემდეგ კითხვებზე პასუხების საშუალებით უნდა წარმართონ:

- მომწონს მე ჩემი სახელი? და თუ ასეა, რატომ?
- ზოგჯერ სახელებს შერქმეული სახელებით ანაცვლებენ ან სულაც იცვლიან. მომწონს თუ არა ჩემი ახალი სახელი და რატომ?
- საკუთარი სახელი ძალიან მნიშვნელოვანია. რა სიტუაცია იქნებოდა სკოლაში, ჩვენ ყველას რომ ერთი და იგივე სახელი გვრქმეოდა ან საერთოდ არ გვქონოდა სახელები?

გაკვეთილი 2: როგორ დამერქვა ჩემი სახელი!

მასწავლებელს წინასწარ აქვს მომზადებული წვრილად დაჭრილი ქაღალდის ფურცლები, რომლებზეც დაწერილია შემდეგი წინადადებები (რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მასწავლებელმა საკუთარი შეხედულების მიხედვით შეცვალოს წინადადებები, გამოტოვოს რაიმე ელემენტი ან დაამატოს, ან მოსწავლეებისათვის უფრო მეტი წინადადება მოამზადოს და ა.შ.):

მნიშვნელოვანია, გვქონდეს სახელი.
ჩემი სახელი – ეს მე ვარ.
ჩვენ საკუთარ თავს და ერთმანეთს სახელებით ვცნობთ და განვასხვავებთ. სახელებით რეპუტაციას ვიქმნით.
როდესაც ბავშვი სახელს იღებს, იგი სახელმწიფოს წევრი, ე.ი. მოქალაქე ხდება.
მშობლები, თავიანთი შვილებისათვის კონკრეტული სახელის შერჩევით, ხშირად გამოხატავენ თავიანთ სურვილებს, იმედებსა და გრძნობებს.

მასწავლებელი ერთ-ერთ ფურცელზე დაწერილ წინადადებას ხმამაღლა, კლასის გასაგონად კითხულობს; დებს ფურცელს ადგილზე და სთხოვს მოსწავლეებს, კლასის წინაშე ხმამაღლა გამოთქვან მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რაც მოისმინეს.

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს, რომლებიც მათ სახლში, საშინაო დავალების სახით უნდა შეავსონ (იხილეთ ქვემოთ მოცემული რესურსები).

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სამუშაო ფურცლებზე მოცემულ კითხვებს, რათა დარწმუნდეს, რომ ყველა მათგანს ესმის ყველა კითხვისა და დავალების შინაარსი.

- როდის დავიბადე?
- რა დროს დავიბადე?
- კვირის რა დღეს დავიბადე?
- როგორი ამინდი იყო, როცა მე დავიბადე?
- სად დავიბადე?

- ვინ ესწრებოდა ჩემს დაბადებას?
- რა სიგრძისა და რა წონის დავიბადე?
- რატომ დამარქვეს ის, რაც მქვია?

გაკვეთილები 3 და 4: ყველას რაღაც აქვს მოსაყოლი!

მოსწავლეები სხედან წრეზე და ერთმანეთს უყვებიან, რა შეიტყვეს თავიანთი მშობლებისაგან. მასწავლებელი ამხნევებს მათ, რათა მოსწავლეებმა ზოგიერთი საკითხი უფრო დაწვრილებით განიხილონ.

მაგალითად, მოსწავლეების პასუხების მიხედვით, მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს, დღის რა მონაკვეთშია თითოეული მოსწავლე დაბადებული. ამით შესაძლებელია საინტერესო აღმოჩენის გაკეთება.

რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესო იქნება, თუ ზოგიერთი მოსწავლე მაინც შეძლებს ბოლო კითხვაზე პასუხის გაცემას, ანუ დაასახელებს იმ მიზეზს, რის გამოც შეარჩიეს მშობლებმა ის სახელი, რომელიც მას ჰქვია.

ამის შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, დამოუკიდებლად იმუშაონ პოსტერების შექმნაზე, რომლებზეც დატანილი იქნება ინფორმაცია მათ შესახებ, იმ ინფორმაციის ჩათვლით, რომელიც მათ საშინაო დავალების სახით მოამზადეს თავ-თავიანთ სამუშაო ფურცლებზე. იმის მიხედვით, თუ წერის უნარის განვითარების რა ეტაპზე იმყოფებიან ბავშვები, მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს მათ პოსტერზე ინფორმაციის გადატანაში.

შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, მოსწავლეებმა უნდა შექმნან რეალური ზომის ავტოპორტრეტები. შეიძლება ეს შემდეგნაირად გაკეთდეს: ბავშვი წვება ძალიან დიდი ფორმატის ფურცელზე, რომელიც იატაკზეა გაშლილი, რა პოზაშიც მას სურს, მაგალითად ისე, თითქოს გარბის ან დგას, ან ხელებგაშლილია.

მე-4 გაკვეთილზე მოსწავლეები ასრულებენ პოსტერებზე მუშაობას.

ბოლოს ისინი განიხილავენ, როგორ და სად მოათავსონ მათ მიერ შექმნილი პოსტერები. მასწავლებელი ეხმარება მათ გადაწყვეტილების მიღებაში.

რესურსები: სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის

ჩემს სახელს თავისი ისტორია აქვს — რა ინფორმაციის მოპოვებას შევეცდები

როდის დავიბადე?
რა დროს დავიბადე?
კვირის რა დღეს დავიბადე?
როგორი ამინდი იყო, როცა მე დავიბადე?
სად დავიბადე?
ვინ ესწრებოდა ჩემს დაბადებას?
რა სიგრძისა და რა წონის დავიბადე?
რატომ დამარქვეს ის, რაც მქვია?

თავი 3
ჩვენ ჯადოქრები ვართ!

გაკვეთილის გეგმა

	ძირითადი კითხვა/ გაკვეთილის თემა	ძირითადი ამოცანა	რესურსები
გაკვეთილი 1	როგორ შეუძლია ჩვეულებრივ ადამიანს, მოაგვაროს პრობლემა? როგორ შეუძლია ამის გაკეთება ჯადოქარს?	მოსწავლეები სწავლობენ სხვადასხვა ტიპის პრობლემის რეალური და ჯადოსნური გადაწყვეტილების ერთმანეთისაგან გაჩევას. ისინი ქმნიან ჩვეულებრივი ადამიანის ან ჯადოქრის სურათს.	წინასწარ მომზადებული დაფა, მასზე მოსწავლეების მოსაზრებების დასატანად; ნახატები; წებოვანი ლენტი; A4 ფორმატის ფურცელი; ფერადი ცარცი
გაკვეთილი 2	შეგვიძლია გადაწყვეტილებამდე დისკუსიით მისვლა?	საერთო საკლასო დისკუსიის ფარგლებში, მოსწავლეები სწავლობენ ყოველდღიური პრობლემების შესახებ რეალური და არარეალური გადაწყვეტილებების ერთმანეთისაგან გარჩევას.	ქაღალდის ფურცლისაგან გამოჭრილი ფიგურები, ფერადი ცარცი
გაკვეთილი 3	პრობლემის გადაჭრის რა გზები შემიძლია გამოვნახო? როგორ შემიძლია დავეხმარო?	მოსწავლეები ცდილობენ, მოძებნონ შესაძლო გამოსავალი ყოველდღიური რთული სიტუაციებიდან. ისინი მათ მიერვე მოფიქრებული გამოსავლის ინსცენირებას აწყობენ სიტუაციური თამაშის ფორმით.	
გაკვეთილი 4	როგორ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ გამოსავალი სიტუაციურ თამაშში? რას ვსწავლობთ ამ გზით?	მოსწავლეები ამზადებენ სიტუაციურ თამაშს და აქტიურად ებმებიან მის გათამაშებაში, გაკვეთილის მსვლელობისას.	საჭიროების შემთხვევაში, სასცენო მოწყობილობები სიტუაციური თამაშებისათვის.

სწავლების მიზნები

მოსწავლეები დასაწყისშივე აცნობიერებენ, რომ ბევრი რამ მათ კონტროლს არ ექვემდებარება. მათ ცხოვრებაზე პირდაპირ და დიდ ზეგავლენას ახდენს მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რომლებზეც მათ, ძალიან ხშირად, არანაირი გავლენა არ აქვთ. მაგრამ ბავშვებს ოცნებების სამყაროში მოგზაურობა შეუძლიათ. არ არის აუცილებელი, ეს რეალური ცხოვრებისაგან გაქცევის მიზნით ხდებოდეს. წარმოსახვითი სამყარო ასევე წარმოადგენს იმ სფეროს, სადაც ახალი გეგმების დასახვა შესაძლებელი ხდება, სადაც გამოცდილებების გაანალიზება და ძალების მოკრება უფრო მოსახერხებელია, სანამ ადამიანი რეალურ სამყაროს დაუბრუნდება.

მესამე თავში მოცემული საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში, ჩვენ გთავაზობთ, მოსწავლეებში წარმოსახვის უნარი გააღვიძოთ და მისცეთ მათ შესაძლებლობა, რათა თავიანთი მოსაზრებები რეალურ ცხოვრებას მიუსადაგონ.

მოსწავლეებმა უნდა წარმოიდგინონ, რომ ისინი ჯადოქრები არიან. რამდენ ბავშვს (და მოზარდსაც) უნატრია, დროგამოშვებით, რომ ჯადოქრის შესაძლებლობებს ფლობდეს! მოცემული პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა უნდა შეძლონ მათ გარემოსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ისეთი სიტუაციების იდენტიფიცირება, რომელთა შემთხვევაშიც კარგი გამოსავლის პოვნაა აუცილებელი და უნდა ეცადონ, ასეთი გამოსავალი ერთად იპოვონ. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა უზრუნველყოს, რომ მოსწავლეები წარმოსახვით სამყაროში იმაზე მეტ ხანს არ დარჩნენ, ვიდრე ეს საჭიროა. ასევე, მათ უნდა სცადონ, გამოსავალი მათ გარემოში არსებული პრობლემიდანაც მოძებნონ და პრაქტიკულად მოახერხონ პრობლემის გადაჭრა. ჩვენ გთავაზობთ ისეთ თემებს, როგორიცაა სუფთა გარემო საკლასო ოთახსა და სკოლის სათამაშო მოედანზე.

მოცემული თავი აგებულია საკლასო ოთახში მიმდინარე კომუნიკაციაზე. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, საკლასო ოთახში ბავშვები შესაბამისად იყვნენ განლაგებული. ჯგუფებში მუშაობისას, ჯგუფის წევრები ერთმანეთის პირისპირ უნდა ისხდნენ, და არა ყველა ერთი მიმართულებით, პირით დაფისაკენ. ბავშვების რიგებად განლაგება არ არის ხელსაყრელი რიგის ბოლოში მსხდომი მოსწავლეებისათვის, ნაცვლად ამისა, მოსწავლეები უნდა ისხდნენ წრეზე ან მაგიდის გარშემო.

ძირითადი კითხვები ბავშვთა უფლებების შესახებ შეძენილი ცოდნისა და უნარების შესაჯამებლად		
შესახებ	საშუალებით	მიზნით
	მასწავლებელი	
რა იციან მოსწავლეებმა ბავშვთა უფლებების შესახებ?	როგორ და რა საშუალებებით არის დაცული ბავშვთა უფლებები საკლასო გარემოსა და სასკოლო საზოგადოებაში?	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ იმოქმედონ სკოლის გარეთ შექმნილ სიტუაციებში: რა ცოდნა შეიძინეს, რომელიც მათ მომავალ ცხოვრებაში გამოადგებათ?
მუხლები 13, 14, 28, 31	სკოლა მიკროსაზოგადოებას წარმოადგენს. მოსწავლეები ერთად განიხილავენ პრობლემებს და ცდილობენ, ერთად იპოვონ გამოსავალი ამ პრობლემებიდან, რომლებიც მათ კლასში იჩენს თავს და რომლებსაც ადგილი აქვს მათ ცხოვრებაში. ისინი ესაუბრებიან ერთმანეთს, და არა მხოლოდ მასწავლებელს.	მოსწავლეები ფიქრობენ რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებზე და იწყებენ რეალური, პრობლემური სიტუაციებიდან გამოსავლის ძიებას, პრობლემებიდან, რომლებიც დგას მათ წინაშე ან მათი სხვა თანატოლების წინაშე.
მოსწავლეები		
რა შევისწავლე ბავშვთა უფლებების შესახებ?	რა გამოცდილება მივიღე კლასში, ბავშვთა უფლებების თვალსაზრისით?	როგორ შემიძლია ვიმოქმედო ამის შემდეგ?

მე ვიცი, რომ ბავშვებს განსაკუთრებული უფლებები აქვთ, მათ ბავშვთა უფლებები ეწოდება. ვიცი, რომ არსებობს ბავშვთა საყოველთაო დღე, რომელიც 20 ნოემბერს აღინიშნება. მე შემიძლია, ერთმანეთისაგან განვასხვავო ჯადოქრობა და რეალურ ცხოვრებაში არსებული პრობლემების გადაჭრა.	ჩვენ ერთმანეთს მოვუსმინეთ და შევიტყვეთ, რომ ჩვენი სურვილები და პრობლემები, ზოგიერთ შემთხვევაში, ძალიან განსხვავებულია. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ შეიძლება ამგვარი პრობლემებიდან გამოსავლის ერთად პოვნა.	მე ვიცი, რომ როგორც მე, ასევე, სხვა ადამიანებსაც აქვთ უფლებები; მე რაიმე უნდა მოვიმოქმედო, რომ დარწმუნებული ვიყო, რომ ეს უფლებები დაცულია — როგორც ჩემი უფლებები, ასევე სხვა ადამიანების უფლებები. პრობლემიდან გამოსავლის პოვნა მარტივი არ არის, ჩვენ ყველა პრობლემის ერთად მოგვარება არ შეგვიძლია. ზოგიერთი ჩვენი სურვილის ასრულებას დიდი დრო სჭირდება.

რესურსები

ქაღალდის სუფთა ფურცელი;

ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები;

თარგი „გოგონების და ვაჟების“ ფიგურების გამოსაჭრელად ან მასწავლებლის მიერ გამოჭრილი ფიგურები;

მაკრატლები, საჭიროების შემთხვევაში;

კოსტიუმები და დეკორაციები სიტუაციური თამაშებისათვის, საჭიროების შემთხვევაში.

მსვლელობა

გაკვეთილი 1

მასწავლებელი დაფაზე ხატავს ორ ფიგურას, მათგან ერთ-ერთი ჩვეულებრივი ადამიანია, ხოლო მეორე — ჯადოქარი. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში; ისინიც ხატავენ ამგვარ ფიგურებს და ცდილობენ, ერთად გასცენ პასუხი შემდეგ კითხვებს:

— როგორ იქცევა ჩვეულებრივი ადამიანი გარკვეულ სიტუაციებში?

— როგორ იქცევა ჯადოქარი იმავე სიტუაციებში?

რამდენიმე წუთის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოეწყონ ნახევარწრეზე, პირით დაფისაკენ ისე, რომ არც ერთი მათგანის მხედველობის არე არ იყოს შეზღუდული (კლასში, სადაც ბევრი მოსწავლეა ერთად, შესაძლებელია საჭირო გახდეს მოსწავლეების განლაგება ორ ნახევარწრეზე). მასწავლებელს ყველა მოსწავლის პასუხი გადააქვს დაფაზე, ჩამონათვალის სახით, ყოველგვარი კომენტარის ან მათზე მსჯელობის გარეშე. ქვევით მოცემული ცხრილი დაგეხმარებათ მოსწავლეთა მოსაზრებების დაფაზე მოწესრიგებულად დატანაში:

	ჩვეულებრივი პიროვნება *(ნახატი)*	ჯადოქარი *(ნახატი)*
შიმშილი		
სიღარიბე		
მოწყენილობა		
დაბადების დღე		

მოსწავლეები განიხილავენ პრობლემების მოგვარების გზებს და მასწავლებელი ისმენს მათ კომენტარებს. რა თქმა უნდა, გაჩნდება ახალი კითხვები! მასწავლებელს სურს, გაიგოს:

- შეგიძლიათ ამოარჩიოთ გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულ იქნა კარგი ჯადოქრის მიერ ან ცუდი ჯადოქრის მიერ?
- ბოლოს როდის ინატრეთ, ჯადოქარი ყოფილიყავით და რისი შეცვლა გსურდათ მაშინ?
- რა არის თქვენი ყველაზე სანუკვარი ნატვრა მოცემულ მომენტში?

მასწავლებელი ამხნევებს მოსწავლეებს, რათა მათ თავისუფლად გამოთქვან მოსაზრებები და ყველა მათგანის პასუხს მოწონება ხვდეს წილად. მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ მათ შემდეგი რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში არაერთხელ მოუწევთ ჯადოქრებზე საუბარი და დავალებას აძლევს, მოიძიონ ჯადოქრების სურათები ჟურნალებში ან წიგნებში და, თუ შესაძლებელია, მოიტანონ მათ მიერ მოძიებული სურათები მომდევნო გაკვეთილებზე. შეგროვილი სურათებით მოსწავლეები მცირე გამოფენას მოაწყობენ საკლასო ოთახში.

გაკვეთილის დარჩენილი დროის განმავლობაში, მოსწავლეებმა უნდა დაასრულონ მათ მიერ დაწყებული ჩვეულებრივი ადამიანისა და ჯადოქრის სურათები და გააფერადონ ისინი.

გაკვეთილი 2

შემდეგი კვირის განმავლობაში მასწავლებელმა დროგამოშვებით უნდა შეახსენოს მოსწავლეებს, რომ კლასში უნდა მოიტანონ ჯადოქრების სურათები, წიგნები ჯადოქრებზე და დაასრულონ თავიანთი ნახატები.

მეორე გაკვეთილის დასაწყისში, მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს წინა გაკვეთილის შინაარსს და აცნობს მათ მოცემული გაკვეთილის პროცედურას: ჩვენ ახლა დავათვალიერებთ სურათებს, წიგნებს და თქვენ მიერ შექმნილ ან კლასში მოტანილ მასალას. შეგიძლიათ ამ მასალაში აღმოაჩინოთ, რა არის ერთნაირი და რა განსხვავებული?

მოსწავლეები სხდებიან წრეზე. მასწავლებელი უხსნის მათ, რომ წლების წინ წერილობითი სახით იქნა შედგენილი განსაკუთრებული უფლებები, რომლებიც ბავშვების ცხოვრებასა და მათ მდგომარეობას ეხება. ამ ეტაპზე რეკომენდებულია, მოსწავლეებს წაუკითხოთ ბავშვის უფლებათა დეკლარაცია (1959 წელი), რომელიც მასწავლებელმა შეიძლება გაამარტივოს, ბავშვებისათვის გასაგები ენით გადმოსცეს და შეამოკლოს. მასწავლებელმა მოსწავლეების ყურადღება განსაკუთრებით უნდა გაამახვილოს მე-2 პრინციპზე. ქვემოთ მოცემულია ბავშვის უფლებათა დეკლარაციიდან ამონარიდის შემოკლებული ვარიანტი:

ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საშუალება და შესაძლებლობა, იზრდებოდნენ ჯანმრთელობისათვის სასარგებლო და ნორმალურ პირობებში, რაც მოიცავს მათ:

- ფიზიკურ
- მორალურ
- ფსიქოლოგიურ
- გონებრივ და
- სოციალურ განვითარებას

ბავშვები უნდა იზრდებოდნენ თავისუფლებისა და მათი ღირსებისადმი პატივისცემის ატმოსფეროში.

პირველ ეტაპზე, საჭიროა მოსწავლეებს ესმოდეთ ეს პრინციპი. მოსწავლეთა ასოციაციურ აზროვნებასა და მათ მიერ მოწოდებულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის დეკლარაციაში მოცემულ ცნებებს და იმას, თუ როგორ არის ეს ცნებები ერთმანეთთან დაკავშირებული.

ამის შემდეგ მასწავლებელი იატაკზე ათავსებს გოგონებისა და ვაჟების 40 ფიგურას, რომელიც მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ არის ამოჭრილი წინასწარ (იხილეთ ბარათები ბავშვთა უფლებების შესახებ, სახელმძღვანელოს ბოლოში). მასწავლებელი ამ ფიგურებს ოთხ ჯგუფად ყოფს და ისე განალაგებს იატაკზე.

- ჯგუფი 1 იზრდება ისეთ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს მის ფიზიკურ განვითარებას.
- ჯგუფი 2 იზრდება ისეთ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს მის მორალურ განვითარებას.
- ჯგუფი 3 იზრდება ისეთ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს მის გონებრივ განვითარებას.
- ჯგუფი 4 იზრდება სოციალურად ჯანსაღ გარემოში.

ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ, რა შეიძლება აკლდეს ბავშვს. მასწავლებელს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეებს, რამდენიმე მაგალითის მოყვანით.

- იზრდება ისეთ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს მის ფიზიკურ განვითარებას — არ აქვს თბილი ტანისამოსი;
- იზრდება ისეთ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს მის მორალურ განვითარებას — ცუდი წრე ან მეგობრები;
- იზრდება ისეთ გარემოში, რომელიც ხელს უწყობს მის გონებრივ განვითარებას — ხელი არ მიუწვდება კარგ წიგნებზე;
- იზრდება სოციალურად ჯანსაღ გარემოში — არ ჰყავს მეგობრები.

ბავშვის ფორმის ფიგურის მქონე ფურცელზე მასწავლებელი წერს მოსწავლეების მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება აკლდეს ბავშვს და ამ ფიგურას კვლავ თავის ადგილზე აბრუნებს. ამის შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, დაამატონ მას თავიანთი მოსაზრებები. მოსწავლეებმა, შესაძლებელია, თავი ვერ გაართვან ოთხივე კატეგორიას; ასეთ შემთხვევაში მათ მასწავლებელმა უნდა აღმოუჩინოს დახმარება (მაგრამ არა მზა პასუხების მიწოდებით).

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები განსაზღვრავენ ბავშვების საჭიროებებს და ამას ფურცლისაგან გამოჭრილ ფიგურებს დააწერენ, ჯადოქრების ჯერი დგება. მოსწავლეები ნაწილდებიან სამ-სამი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ურიგდება ქაღალდის ფიგურები იმ რაოდენობით, რომ ჯგუფის თითოეულ წევრს თითო ფიგურა მაინც ერგოს.

მათ ეძლევათ ასეთი დავალება:

- განიხილეთ თითოეული ბავშვის სიტუაცია და შეეცადეთ, გაარკვიოთ, რა ანიჭებს მათ სიხარულს და რა იწვევს მათ გულისტკენას.
- როგორ შეუძლია მათი დახმარება ჯადოქარს?
- რისი გაკეთება შეუძლია ჯადოქარს ბავშვებისათვის, რათა მათ თავი უკეთ იგრძნონ არა მხოლოდ მოცემულ მომენტში, არამედ მომავალშიც?
- როგორ უნდა დაეხმაროს ჯადოქარი ბავშვს, რომ მან თავად მოაგვაროს საკუთარი პრობლემა?
- როგორ უნდა ჩაანაცვლოს ჯადოქარი ჩვეულებრივმა ადამიანმა?

მოსწავლეები კვლავ ერთ ჯგუფად სხდებიან წრეზე და განიხილავენ თავიანთ ჯადოსნურ გადაწყვეტილებებს.

გაკვეთილი 3

დროა, მოსწავლეებმა რეალური ცხოვრებისეული სიტუაციები განიხილონ. მასწავლებელი მათ კიდევ ერთხელ უმეორებს ბავშვთა უფლებების 10 პრინციპს და სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ ყოველ-

დღიურ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე, რომლებშიც შესაძლოა აღმოჩნდნენ მათი თანაკლასელები, მეგობრები, მათი თანატოლები ან უფროსკლასელი მოსწავლეები, ან თავად ისინი და რომლებიც მათთვის არც თუ ისე სასიამოვნო იქნება. გარემო ან სიტუაციები, რომლებსაც მოსწავლეები დაასახელებენ, შეიძლება მოიცავდეს:

ადგილებს:

- საკლასო ოთახი;
- სკოლის სათამაშო მოედანი;
- სკოლისაკენ მიმავალი გზა.

სიტუაციებს:

- კამათი და უთანხმოება;
- საუზმის გარეშე დარჩენა;
- სკოლაში გამოცხადება საშინაო დავალების გარეშე;
- ვინმესგან ფიზიკური შეურაცხყოფის მიღება;
- მეგობრების გარეშე ყოფნა;
- ზამთარში თბილი ქურთუკის გარეშე ყოფნა;
- შესაბამისი სპორტული აღჭურვილობის გარეშე დარჩენა.

მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ პატარა ჯადოქრების როლი. მათ უნდა სცადონ, გამოსავალი იპოვონ ამ არასასიამოვნო სიტუაციებიდან.

კლასის ყველა მოსწავლე ერთად განიხილავს ორ ან სამ სიტუაციას. ამის შემდეგ მოსწავლეები მცირერიცხოვან ჯგუფებში ნაწილდებიან და თითოეული ჯგუფი ირჩევს ერთ სიტუაციას, რომლიდანაც მათ უნდა იპოვონ გამოსავალი (ერთი და იგივე სიტუაცია, როგორიცაა, მაგალითად, „სხვა მოსწავლეების ცემა“ შეიძლება რამდენიმე ჯგუფის მიერ იქნას არჩეული).

მოსწავლეების ჯგუფი უნდა მოემზადოს მათ მიერ შერჩეული სიტუაციის გათამაშებისათვის და ამ ინსცენირებაში გარვეული გამოსავალი მოძებნოს სიტუაციიდან.

მასწავლებელი დახმარებას უწევს მოსწავლეთა ჯგუფებს, საჭიროების შემთხვევაში, სთავაზობს მათ იდეებს და უსმენს მათ მსჯელობას. მეოთხე გაკვეთილზე მოსწავლეებს მოუწევთ, წარმოადგინონ თავიანთი სიტუაციები, მათ შეუძლიათ, გამოიყენონ კოსტიუმები და დეკორაციები, შთამბეჭდავი სცენების წარმოსადგენად.

გაკვეთილი 4

მოსწავლეები კლასის წინაშე მართავენ ჯგუფების მიერ მომზადებულ წარმოდგენებს.

ამის შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი ამ სცენების განხორციელება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

- რა სიტუაციები აღმოვაჩინეთ?
- როგორი იყო ჩვენი რეაქციები, როდესაც ჩვენ მიერ აღმოჩენილ სიტუაციებზე ვმსჯელობდით კლასში?
- რით შეგვიძლია დავეხმაროთ ერთმანეთს?
- „კეთილი ჯადოქრების“ კლუბი ხომ არ შეგვექმნა?
- შეგვიძლია დაწყებითი საფეხურის პირველ, მეორე და მესამეკლასელ მოსწავლეებს მივაწოდოთ ინფორმაცია ბავშვთა საყოველთაო დღის შესახებ (20 ნოემბერი)?

თავი 4
ჩვენი უფლებები – ჩვენი საგანძური

გაკვეთილის გეგმა

	ძირითადი კითხვა/ გაკვეთილის თემა	ძირითადი ამოცანა	რესურსები
გაკვეთილი 1	რაში გვჭირდება ბავშვთა განსაკუთრებული უფლებები?	მოსწავლეები ეცნობიან პროექტს, სახელწოდებით „საგანძურის სკივრი“ და განიხილავენ, თუ როგორ დაგეგმონ და განახორციელონ იგი.	საგნები, რომლებიც გამოხატავენ ბავშვების განსაკუთრებულ უფლებებს (გამოხატვა და შთაგონება); ბარათები, რომლებზეც ასახულია მოსწავლეთა უფლებები.
გაკვეთილი 2	ჩემი საგანძურის სკივრი – განსაკუთრებული რამ	მოსწავლეები ქმნიან საკუთარ საგანძურის სკივრებს და ამზადებენ მათ „ბავშვთა უფლებების საგანძურის“ გამოფენისათვის.	თითოეულ მოსწავლეს გაკვეთილზე მოაქვს ლითონის, ხის ან მუყაოს თითო ყუთი; ფერადი თვლები ან ღილები, ქსოვილის ნაჭრები და ა.შ., წებო და მაკრატლები
გაკვეთილი 3	ჩემი საგანძურის სკივრი, შენი საგანძურის სკივრი!	მოსწავლეები თავიანთ მერხებზე აწყობენ გამოფენას, სადაც სხვა მოსწავლეებს შეუძლიათ დაათვალიერონ მათი საგანძურის სკივრების შიგთავსი.	მოსწავლეთა საგანძურის სკივრები (შიგთავსით)
გაკვეთილი 4	როგორ მოვაწყოთ გამოფენა?	მოსწავლეები აწყობენ საკუთარი საგანძურის სკივრების გამოფენას სკოლის სხვა მოსწავლეებისათვის.	მოსწავლეები თანხმდებიან საგამოფენო ოთახის ან სივრცის თაობაზე.

სწავლების მიზნები

მოსწავლეები კარგად ეცნობიან ბავშვთა უფლებებს. საკმაო დროის განმავლობაში, ისინი ეცნობიან ამ უფლებათა შინაარსსა და მიზანს, რომელსაც ისინი ემსახურება; ამ უფლებების დაკავშირებას ცდილობენ საგნებთან, რომლებიც მათ სიმბოლურად გამოხატავს. თითოეული მოსწავლე ცდილობს, ამოცანას დამოუკიდებლად გაართვას თავი. ამისათვის მოსწავლეები კარგად უნდა იცნობდნენ მუხლებს და შეეძლოთ მათი შესაბამისად განმარტება.

სწავლის თეორიის თანახმად, ამ დავალების შესრულებისას, მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, აქტიურად აკონტროლონ თავიანთი სწავლის პროცესები, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათი ცოდნის მდგრადი ზრდის შესაძლებლობებს.

თითოეული მოსწავლე ქმნის საკუთარ საგანძურის სკივრს. მოსწავლეები უკეთ აცნობიერებენ ბავშვის უფლებებს, როგორც ინტელექტუალურად, ასევე ემოციურად.

მოცემული პროექტი საკმაოდ ხანგრძლივ დროის პერიოდს მოიცავს, რომლის განმავლობაშიც მოსწავლეებს არა ერთხელ უწევთ თავიანთი მოსაზრებების ერთმანეთისათვის გაზიარება და მათზე მსჯელობა.

20 ნოემბერს, ბავშვთა საყოველთაო დღის აღსანიშნავად, სკოლაში ეწყობა ბავშვების მიერ შექმნილი საგანძურის სკივრების გამოფენა. ეს აქტივობა დამატებით სტიმულს ქმნის და მოტივაციას აღძრავს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში იმისათვის, რომ ერთი ან ორი წლის შემდეგ მათ კვლავ გამარ

ძირითადი კითხვები ბავშვთა უფლებების შესახებ შეძენილი ცოდნისა და უნარების შესაჯამებლად		
შესახებ	საშუალებით	მიზნით
	მასწავლებელი	
რა იციან მოსწავლეებმა ბავშვთა უფლებების შესახებ?	როგორ და რა საშუალებებით არის დაცული ბავშვთა უფლებები საკლასო გარემოსა და სასკოლო საზოგადოებაში?	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ იმოქმედონ სკოლის გარეთ შექმნილ სიტუაციებში: რა ცოდნა შეიძინეს, რომელიც მათ მომავალ ცხოვრებაში გამოადგებათ?
გაკვეთილებზე განიხილება ბავშვთა ყველა უფლება.	ყველა მოსწავლე სარგებლობს უფლებით, გამოიყენოს გამოსახვის საკუთარი ხერხი. ამგვარად, მოსწავლეებში მაღლდება საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულობის დონე და ისინი ბევრ რამეს იგებენ საკუთარი თავისა და სხვების შესახებ.	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ მიიღონ გადაწყვეტილება და როგორ დაიცვან ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ თავად მიიღეს.
	მოსწავლეები	
რა შევისწავლე ბავშვთა უფლებების შესახებ?	რა გამოცდილება მივიღე კლასში, ბავშვთა უფლებების თვალსაზრისით?	როგორ შემიძლია ვიმოქმედო ამის შემდეგ?
მე საკმაო ხანია ვსწავლობ ბავშვთა უფლებებს. მე ბავშვთა უფლებების თითოეულ მუხლზე მომიწია გადაწყვეტილების მიღება და ამის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მე კარგად მესმის თითოეული მუხლი. მე აღმოვაჩინე, რომ ყოველთვის მარტივი არ არის, გაიგო ბავშვთა უფლებების კონვენცია.	ჩინებულია, თუ სკოლა იქცევა ისეთ ადგილად, სადაც ამდენი ხელოვნების ნიმუშის ნახვაა შესაძლებელი. მე აღმოვაჩინე, რომ სკოლაში სიარული სახალისო და სასიამოვნოა.	ბავშვთა უფლებების კონვენციის ყველა მუხლი თანაბრად მნიშვნელოვანი არ არის ჩემთვის. მე კარგად დავფიქრდი იმის შესახებ, თუ რომელი მუხლით გათვალისწინებული უფლების დაცვა მსურს. მე ვიფიქრე იმაზეც, თუ რომელი უფლებებია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სხვა ბავშვებისათვის სხვა ოჯახებში, სხვა რეგიონებსა თუ სხვა ქვეყნებში და რით შემიძლია მე დავეხმარო მათ.

რესურსები

ბარათები ბავშვთა უფლებებზე;

საგანძურის სკივრები;

მასალა, რომელიც უკვე შესრულებული აქტივობების შემდეგად დარჩა;

წებო;

საჭიროების შემთხვევაში, კოსტიუმები და დეკორაციები სიტუაციური თამაშებისათვის.

მსვლელობა

გაკვეთილი 1 (სექტემბერში)

მასწავლებელი მაგიდაზე დებს ცარიელ ყუთს, ბარათებს ბავშვთა უფლებების შესახებ და ერთ ან ორ სიმბოლურ ნივთს, მაგალითად:

- მუხლი 7, ბავშვის უფლება, დაბადებიდან ჰქონდეს საკუთარი სახელი – პატარა სანთელი, რომელიც დაბადების დღეს ან ნათლობას აღნიშნავს;
- მუხლი 28, ბავშვის უფლება მიიღოს განათლება – პატარა საწერკალამი.

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გეგმას:

- ბავშვთა საყოველთაო დღე აღინიშნება 20 ნოემბერს.
- 20 ნოემბრამდე ყველა მოსწავლემ უნდა შეავსოს საკუთარი საგანძურის სკივრი საგნებით, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავს ბავშვების უფლებებს.
- თითოეული მოსწავლე თავად არჩევს საგნებს, რომლებიც, მისი აზრით, შეესაბამება ბავშვთა თითოეულ უფლებას.
- პირველ რიგში, მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ თავსახურიანი ყუთი (გამოდგება მუყაოსაგან, ხისგან ან ლითონისაგან დამზადებული ყუთი). შერჩეული ყუთი მოსწავლეებმა უნდა გააფერადონ და მორთონ საკუთარი გემოვნებით და ყუთზე, ნებისმიერ ადგილზე, მიუთითონ მფლობელის ვინაობა.
- ყველა მოსწავლემ უნდა ამოჭრას ბარათები ბავშვთა უფლებების შესახებ, დაამაგროს ისინი ერთად, ქაღალდების სამაგრით და მოათავსოს საკუთარ საგანძურის სკივრში. ამის შემდეგ იწყება საგანძურის ძიება!

მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიძიონ საგანძურის სკივრი და როგორ მორთონ იგი.

საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი მოსწავლეებს ამარაგებს წებოთი, საღებავებითა და ფუნჯებით.

გაკვეთილი 2

მოსწავლეები ერთმანეთს უჩვენებენ მათ მიერ მოპოვებულ მასალას და იწყებენ საკუთარი საგანძურის სკივრების მორთვას. ისინი ერთმანეთს უნაწილებენ შეგროვილ მასალას და ერთმანეთს ეხმარებიან.

მეორე გაკვეთილზე მოსწავლეები მსჯელობენ იმის შესახებ, თუ როგორ შეარჩიონ საგნები.

მნიშვნელოვანია, რომ „საგანძურის ძიებისას“ მოსწავლეები კარგად გაერკვნენ ბავშვების უფლებებში. ისინი საგნის შერჩევას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ კარგად ესმით და აცნობიერებენ, თუ რას ნიშნავს და რას გულისხმობს ბავშვის კონკრეტული უფლება.

საგანძურის შეგროვების ეტაპზე, მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს და ერთმანეთს უჩვენებენ მათ მიერ მოგროვილ ნივთებს: ვინ რა მოიპოვა კონკრეტული უფლების სიმბოლოს სახით? მოსწავლეებს უნდა მივცეთ უფლება, ერთმანეთის აღმოჩენები გაიზიარონ. ისინი ერთგვარ კონკურსში ერთვებიან, სადაც მიმდინარეობს შეჯიბრება იმაში, თუ ვის აქვს ყველაზე კრეატიული და ორიგინალური იდეებით შედგენილი, საუკეთესო საგანძურის სკივრი. მაგრამ მასწავლებელმა უნდა აკონტროლოს, რომ მოსწავლეებს შორის კონკურენცია ზომიერ ზღვრებს არ გასცდეს.

გაკვეთილი 3

20 ნოემბრამდე — ბავშვთა საყოველთაო დღემდე — ერთი კვირით ადრე: ყველა მოსწავლე საკუთარ საგანძურის სკივრში დაგროვილ ნივთებს საკუთარ მაგიდაზე აწყობს. ნივთებზე არ არის მითითებული, თუ რომელი ნივთი ბავშვის რომელ უფლებას გამოხატავს სიმბოლურად.

მოსწავლეები ერთმანეთს უხსნიან, თუ რატომ შეარჩიეს ესა თუ ის ნივთი. მასწავლებელი არ გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას მოსწავლეების მიერ შერჩეულ არც ერთ ნივთზე, მაგრამ დადებითად უნდა შეაფასოს ყოველივე, რაც ბავშვებმა გააკეთეს. მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მოსწავლეები განიხილავენ, თუ როგორ უნდა მოეწყოს გამოფენა, რათა სკოლის სხვა მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება, დაათვალიერონ მათი ნამუშევრები.

გვინდა გამოვიყენოთ მინის საფარები ჩვენი ექსპონატებისათვის? სკოლის შენობაში პატარ-პატარა მაგიდები ხომ არ დავდგათ ნივთების გამოსაფენად? იქნებ ჩვენი საკლასო ოთახი ვაქციოთ საგამოფენო დარბაზად ერთი დღით — 20 ნოემბერს? შეიძლება ჩვენს სკოლაში სხვა კლასიც აწყობს მსგავს გამოფენას. მათთან ხომ არ შეგვეთანხმებინა გამოფენასთან დაკავშირებული დეტალები? მოვიწვიოთ სკოლის ხელმძღვანელი, სკოლის პედკოლექტივი, სხვა მასწავლებლები, მშობლები და სკოლის სხვა პერსონალი გამოფენაზე?

გამოფენის გახსნა ხომ არ მოგვეწყო?

ხომ არ მოგვემზადებინა რაიმე ღონისძიება ან შეგვექმნა სიმღერა შესაბამისი ტექსტით ამ ღონისძიებისათვის? და ასე შემდეგ.

გაკვეთილი 4

ბავშვთა საყოველთაო დღე, 20 ნოემბერი (ან შესაძლებელია ერთი დღით ადრე)

მოსწავლეები აწყობენ გამოფენას და ამის შესახებ ატყობინებენ სხვა მოსწავლეებს.

მასწავლებელი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, წარმოთქვას თუ არა ბავშვთა საყოველთაო დღისადმი მიძღვნილი მოკლე სიტყვა ან გამოვიდეს თუ არა დამსწრე საზოგადოების წინაშე, გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით.

თავი 5
ჩვენ ვქმნით წესებს ჩვენი კლასისთვის

გაკვეთილის გეგმა

	ძირითადი კითხვა/ გაკვეთილის თემა	ძირითადი ამოცანა	რესურსები
გაკვეთილი 1	რა უფლებებით სარგებლობს თითოეული პირი საკლასო ოთახში?	მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში, მოსწავლეები ადგენენ, სკოლის წესებთან დაკავშირებით, თავიანთი მოსაზრებების ჩამონათვალს.	A4 ფორმატის თითო ფურცელი თითოეული ჯგუფისათვის.
გაკვეთილი 2	რა უნდა ახასიათებდეს კარგ წესს? რატომ შეიძლება იყოს წესები გამაღიზიანებელი? რატომ შეიძლება იყოს სასარგებლო?	მოსწავლეები ფიქრობენ წესრიგისა და წესების პრინციპებზე.	სამუშაო ფურცლები მოსწავლეებისათვის, დემოკრატიულ საზოგადოებაში წესების ძირითად პრინციპებზე. A4 ფორმატის ფურცლები.
გაკვეთილი 3	როგორ შეიძლება გავაცოცხლოთ ბავშვთა უფლებები საკლასო ოთახში?	მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში და ქმნიან თავიანთ წესებს, რომლებიც ჰარმონიზებულია ბავშვთა უფლებებთან.	სამუშაო ფურცლები მოსწავლეებისათვის, ასლები ან მოსწავლეების ხელით ნაწერი.
გაკვეთილი 4	წესების შემუშავება ჯგუფებში და კლასის საერთო წესების შესახებ შეთანხმება.	მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ თავიანთ მოსაზრებებს და ცდილობენ, ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღონ, კლასში საერთო წესების შემოღებასთან დაკავშირებით.	

სწავლების მიზნები



როდესაც კლასის წესებს ადამიანის ან ბავშვთა უფლებებს ვუკავშირებთ, ეს წესები ისეთ სპექტრს იძენს, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ საკლასო ოთახში წესრიგისა და მშვიდობიანი ატმოსფეროს დამკვიდრებით.

ადამიანისა და ბავშვთა უფლებები არ წარმოადგენს მშრალ სამართლებრივ სტანდარტებს. იმისათვის, რომ მათ საკუთარი ფუნქცია შეასრულონ და მნიშვნელობა შეიძინონ, უნდა წარმოადგენდნენ ინსტრუმენტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს; მათი მეშვეობით უნდა იმართებოდეს ჩვენი ძალისხმევა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში სამართლიანობისა და თანასწორობის დამკვიდრებას ემსახურება. მოსწავლეებისათვის სკოლა მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, რაღაც ასპექტში, იგი მათი ყოველდღიური ცხოვრების ცენტრალური ნაწილია. სკოლა, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ,

საკლასო ოთახი, სკოლის შენობა და მისი შემოგარენი, აგრეთვე, სკოლის სტრუქტურა და მისი ხელმძღვანელობა, ქმნის საზოგადოების მინიატურულ მოდელს – მიკროსაზოგადოებას. ის, რასაც მოსწავლეები ამ საზოგადოებაში სწავლობენ და გამოცდიან, სასარგებლოა ეს მათთვის თუ არა, ძალიან დიდი ალბათობით ასახვას ჰპოვებს მათ ცხოვრებაზე საკლასო გარემოსა და სკოლის ფარგლებს მიღმა.

უფლებები და მოვალეობები წარმოადგენს სავალდებულო ცნებებს. ისინი ერთმანეთის თანამდევია, როგორც დღე და ღამე, როგორც ზაფხული და ზამთარი. უფლებები და მოვალეობები ურთიერთდამოკიდებულია. ადამიანისა და ბავშვების უფლებების აღქმა დაუშვებელია უფლებებსა და მოვალეობებს შორის არსებული კავშირის გარეშე.

წინამდებარე პროექტში ყურადღება გამახვილებულია ბავშვის უფლებათა კონვენციის შემდეგ მუხლებზე: მუხლი 12, საკუთარი შეხედულებების გამოთქმის უფლება; მუხლი 13, აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება; მუხლი 28, განათლების მიღების უფლება და მუხლი 31, დასვენებისა და გართობის უფლება.

ძირითადი კითხვები ბავშვთა უფლებების შესახებ შეძენილი ცოდნისა და უნარების შესაჯამებლად		
შესახებ	საშუალებით	მიზნით
	მასწავლებელი	
რა იციან მოსწავლეებმა ბავშვთა უფლებების შესახებ?	როგორ და რა საშუალებებით არის დაცული ბავშვთა უფლებები საკლასო გარემოსა და სასკოლო საზოგადოებაში?	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ იმოქმედონ სკოლის გარეთ შექმნილ სიტუაციებში: რა ცოდნა შეიძინეს, რომელიც მათ მომავალ ცხოვრებაში გამოადგებათ?
	წინამდებარე თავის გავლისას, მოსწავლეები აცნობიერებენ წესების აუცილებლობას, რათა შეძლონ ერთად ცხოვრება; აგრეთვე, აცნობიერებენ, რომ ბავშვთა უფლებები საფუძვლად უდევს და განსაზღვრავს წესების ამგვარ სისტემას.	მოსწავლეები აცნობიერებენ, თუ როგორ იქმნება წესები დემოკრატიულ საზოგადოებაში. მათ შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიულ პროცესებში.
	მოსწავლეები	
რა შევისწავლე ბავშვთა უფლებების შესახებ?	რა გამოცდილება მივიღე კლასში, ბავშვთა უფლებების თვალსაზრისით?	როგორ შემიძლია ვიმოქმედო ამის შემდეგ?
მე ვიცი, რომ მაქვს უფლება, მონაწილეობა მივიღო ჩვენი კლასის წესების შემუშავებაში. მე ვაცნობიერებ, რომ ბავშვთა უფლებების კონვენციის შექმნაც მსგავსი პროცესების ნაყოფია.	მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ უფლებები და მოვალეობები განუყრელია. ისინი აცნობიერებენ, რომ წესები შეიქმნა ადამიანების მიერ, ადამიანებისვე საკეთილდღეოდ, რომ ამ წესების შეცვლა შესაძლებელია და ჯგუფის წევრებს შორის ყველასათვის სავალდებულო წესების შესახებ შეთანხმება გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება.	ახლა მე შემიძლია შევიმუშაო მსგავსი წესები, რომლებიც ჩემს მშვიდობიან თანაცხოვრებას უზრუნველყოფს ოჯახში, სპორტულ კლუბში ან მეგობრების წრეში. აუცილებელია დავრწმუნდეთ და უზრუნველვყოთ, რომ ამგვარი წესების შემუშავებაში რაც შეიძლება მეტი ადამიანი იყოს ჩართული და რომ მათ შეძლონ საერთო ენის გამონახვა და გარკვეულ დათმობებზე წასვლა.

რესურსები

ჟურნალებიდან და გაზეთებიდან ამოჭრილი სურათები;

მაკრატლები;

წებო;

ჟურნალები;

ქაღალდის ფურცლები.

მსვლელობა

გაკვეთილი 1

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს პროექტს.

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს „უფლებებისა და მოვალეობების“ საკითხს.

ამის შემდეგ განსაზღვრულია პროცედურები, რომლებიც აღწერილია ევროპის საბჭოს სახელმძღვანელოში.

1. კლასის დაჯგუფების „თამაშის“ გამოყენებით (ბარათების დარიგება, ჟონგლიორთა, მევიოლინეთა და ა.შ. ჯგუფების შექმნის მიზნით), კლასი იყოფა სამ, ექვს ან ცხრა ჯგუფად, კლასის მოცულობის გათვალისწინებით. თითო ჯგუფი უნდა შედგებოდეს არა უმეტეს ხუთი მოსწავლისგან. ჯგუფებს ენიჭებათ შესაბამისი ნომრები ა, ბ, გ.

2. თითოეული ჯგუფი ირჩევს მომხსენებელს. მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს, მოკლედ გააცნონ კლასს, თუ რა პრინციპით აირჩიეს მომხსენებლები.

3. ყოველ ჯგუფს ურიგდება სამ ნაწილად დაყოფილი თითო ფურცელი. ფურცლის ზედა მესამედში მოსწავლეები ჩანაწერებს აკეთებენ თავიანთი ჯგუფის მოსაზრებების შესახებ იმის თაობაზე, თუ რა უფლებებით სარგებლობს კლასის ყოველი ინდივიდუალური წევრი (მათ შორის, მასწავლებელიც). მათ ყველა თავიანთი მოსაზრება პუნქტების სახით უნდა დაიტანონ ფურცელზე, ამ მიზნით გამოყოფილ ნაწილში.

4. მოსწავლეები პასუხობენ შემდეგ კითხვებს: რამდენად წარმატებით გავართვით თავი მოცემულ ამოცანას? რას აკეთებდა თითოეული ჩვენგანი, რამაც დახმარება გაგვიწია? რა გვიშლიდა ხელს?

5. მოსწავლეთა ჯგუფები ცვლიან თავიანთ ნამუშევრებს (ა ჯგუფი გადასცემს ბ ჯგუფს, ბ ჯგუფი – გ ჯგუფს, გ ჯგუფი – ა ჯგუფს).

6. შემდეგ ყოველი ჯგუფი, კითხვებზე პასუხის მეშვეობით, განიხილავს სხვა ჯგუფის მიერ შედგენილ უფლებათა ჩამონათვალს: რა პასუხისმგებლობა გვეკისრება ამ უფლებების დასაცავად? რა უნდა გავაკეთოთ ამისთვის? როგორ უნდა მოვიქცეთ? მაგალითად, „ყველას აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი აზრი“, „ჩვენი პასუხისმგებლობაა, მოვუსმინოთ ერთმანეთს“.

მოსწავლეები ფურცლის შუა მესამედ ნაწილში ჩამოწერენ პირველ მესამედში მოცემული უფლებების შესაბამის პასუხისმგებლობებს (იმ შემთხვევაში, თუ მათ შეუძლიათ, მოუნახონ უფლებას შესაბამისი პასუხისმგებლობა), იმავე ნუმერაციის დაცვით.

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აგროვებს მოსწავლეთა ნამუშევრებს, რათა გაეცნოს მათ შემდეგ გაკვეთილამდე.

გაკვეთილი 2

მასწავლებელი წაახალისებს მოსწავლეებს, რომ განიხილონ რამდენიმე საკითხი, რომელიც წესებს ეხება:

- რა მაღიზიანებს წესებში?
- როდის ვარ კმაყოფილი იმით, რომ წესები არსებობს?
- ვინ ქმნის წესებს?
- ვინ უზრუნველყოფს წესების დაცვას?

მოსწავლეებს პირველ ორ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაეხმარება ის ინფორმაცია, რომელსაც მათ მასწავლებელი აწვდის ქვევით მოცემული ტექსტის სახით ან ამ თემზე მათთვის მომზადებული სხვა მასალის სახით:

რესურსები
სამუშაო ფურცელი: დისციპლინა და წესრიგი დემოკრატიული თვალსაზრისით

1. წესრიგი საჭიროა ყველა გარემოში.
   ადამიანთა ჯგუფი, წესრიგისა და ძირითადი წესების გარეშე, ვერ იქნება მიჩნეული დემოკრატიულად.
2. ზღვრების დადგენა აუცილებელია. წესები შეიძლება იყოს არასწორი ან შეუსაბამო. მაგრამ თუ არ იცვლება, საჭიროა მათი დაცვა. თუმცა აუცილებელია არსებობდეს მათი შეცვლის შესაძლებლობა.
3. ბავშვები, ძალიან ადრეული ასაკიდან, უნდა მონაწილეობდნენ წესების შედგენასა და მათი გატარების პროცესებში, მხოლოდ ამ გზით შეძლებენ ისინი წესების დაცვის აუცილებლობის გაცნობიერებას.
4. საკლასო ოთახში თავმოყრილი საზოგადოება ვერ იფუნქციონირებს მის წევრებს შორის ურთიერთნდობისა და ურთიერთპატივისცემის გარეშე. ზოგ შემთხვევაში ამგვარი ატმოსფეროს შექმნა გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება.
5. საკლასო გარემოში კონკურენცია გუნდური მუშაობის სულისკვეთებამ უნდა ჩაანაცვლოს.
6. სასიცოცხლოდ აუცილებელია, საკლასო ოთახში მეგობრული ატმოსფერო სუფევდეს.
7. მასწავლებლის სოციალურ უნარებს (როგორიცაა დემოკრატიული ხელმძღვანელობის უნარი, მოსწავლეებისათვის იმისი შთაგონების უნარი, რომ ისინი ჯგუფის სრულფასოვანი წევრები არიან, კლასში ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბების უნარი და ა. შ.) უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია.
8. დემოკრატიულ კლასში მუდმივად სუფევს ატმოსფერო, სადაც მისი წევრები ერთმანეთთან კომუნიკაციისათვის არიან განწყობილი.

   „ადამიანთა ჯგუფი, წესრიგისა და ძირითადი წესების გარეშე, ვერასოდეს იქნება დემოკრატიული“

9. მოსწავლეები, როგორც გოგონები, ასევე ვაჟები, წახალისებულ უნდა იქნენ, რათა მათ რაღაც ახალი აღმოაჩინონ და საკუთარი გამოცდილებით, საკუთარ შეცდომებზე სწავლის საშუალებით შეიძინონ ცოდნა.
10. შექმნილი უნდა იყოს ისეთი ატმოსფერო, სადაც არსებობს საკუთარი თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა, დადგენილი ზღვრების ფარგლებში.
    მოსწავლეებს მხოლოდ ამ გზით უვითარდებათ პირადი პასუხისმგებლობის შეგნება.
11. დისციპლინისა და წესრიგის დაცვა შეიძლება სახალისოც კი იყოს, თუ იგი საზოგადოების თითოეულ წევრს ეხმარება, თავისუფლად გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები და ჯგუფის წევრებს შორის სასურველი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და დამაკმაყოფილებელი სამუშაო პირობების შექმნას უწყობს ხელს.

მოსწავლეები ნაწილდებიან იმავე ჯგუფებში, რომლებშიც წინა გაკვეთილის განმავლობაში მუშაობდნენ. მასწავლებელი ურიგებს ქაღალდის ფურცლებს და მოუწოდებს მათ, ჩაერთონ შემდეგ აქტივობაში:

7. მასწავლებლის ჩართვა: წესები წესებისთვის.

   – მოიფიქრეთ რამდენიმე წესი, რომელიც გსურთ, რომ კლასში იყოს მუდმივად გამოკრული.

   – წესები პოზიტიურად უნდა იყოს ჩამოყალიბებული – „გააკეთე რამე“, ისინი არ უნდა შეიცავდეს აკრძალვებს და ისეთ ფრაზებს, როგორიცაა „არ გააკეთო“.

   – წესები შესაბამისი უნდა იყოს და განსაზღვრავდეს კლასში ქცევის მოთხოვნებს. მაგალითად, ყველას აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი აზრი; ჩვენი პასუხისმგებლობაა, მოვუსმინოთ ერთმანეთს; წესი: არ იხმაურო, როცა სხვა საუბრობს.

8. ჯგუფები ამჯერადაც ცვლიან თავიანთ ნამუშევრებს. თითოეული ჯგუფი ეცნობა წინა ორი ჯგუფის ნამუშევარს და თანხმდება მაქსიმუმ, ხუთ, წესზე, რომელიც მსხვილი ასოებით უნდა იყოს დატანილი ფურცლის ქვედა მესამედ ნაწილში. მოსწავლეებმა ფურცლის ეს მესამედი ნაწილი უნდა ჩამოაჭრან დანარჩენს და გამოაკრან კედელზე. ჯგუფების მომხსენებლები სიტყვით გამოდიან და მთელ კლასს აცნობენ მათი ჯგუფის მიერ შემუშავებულ წესებს.

მასწავლებელი უძღვება მოსწავლეების მიერ გამართულ განხილვას. მოსწავლეები გამოყოფენ არასაჭირო, უსარგებლო წესებს, აერთიანებენ წესებს, რომლებიც ერთმანეთის ანალოგიურია, ან ტოვებენ მათგან ერთ–ერთს (ზოგიერთმა ჯგუფმა შეიძლება პროტესტი გამოთქვას მის მიერ შემუშავებული წესის ამოღებაზე. ამგვარ სიტუაციაში მოსწავლეებმა გადახედონ, დეტალურად განიხილონ და ერთმანეთს შეადარონ სადავო წესის სხვადასხვა ვერსია, უნდა შეეცადონ, მოლაპარაკებისა და არგუმენტებით გამყარებული მსჯელობის საფუძველზე დაარწმუნონ ერთმანეთი, რათა მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც ყველა ეთანხმება. თუ ამ ჯგუფის წევრების დარწმუნება ვერ მოხერხდა, შესაძლებელია, მათი ვერსია დროებით ჩართონ წესების ჩამონათვალში).

9. მოსწავლეები კენჭს უყრიან წესებს. თითოეულ მათგანს აქვს ოთხი არჩევანის გაკეთების უფლება – აქვს ოთხი ჟეტონი, რომლის გამოყენებითაც მათ ხმა უნდა მისცენ იმ წესებს, რომლებიც, მათი მოსაზრებით, კლასში უნდა მოქმედებდეს. მოსწავლეებს შეუძლიათ, თავიანთი სურვილისამებრ გამოიყენონ საკუთარი ხმები, მაგალითად, ოთხივე ხმა ერთ წესს მიანიჭონ, ან გადაანაწილონ სხვადასხვა წესზე. ოთხი წესი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს, შეტანილი იქნება კლასის წესდებაში. მოსწავლეები გადაიტანენ მათ ფურცელზე; თითოეული მოსწავლე თავის ხელმოწერას დაურთავს ფურცელს და იგი გამოიკვრება კედელზე. ეს წესები კლასში მუდმივად უნდა მოქმედებდეს. მოსწავლეებს შეუძლიათ, წესების ფურცელზე გადატანის ამოცანის შესრულება მოსწავლეთა კონკრეტულ ჯგუფს დაავალონ და შეთანხმდნენ, როგორ დააჯილდოვონ ამ ჯგუფის წევრები გაწეული სამსახურისათვის.

10. სწავლა თანამშრომლობის საფუძველზე. რა დაგვეხმარა? რა იყო ხელის შემშლელი? რაში მდგომარეობს თითოეული ჩვენგანის მიერ წესების შემუშავებაში შეტანილი წვლილი? შეგიძლიათ, დაასახელოთ მოსწავლე ან მოსწავლეები, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს წესების შემუშავებაში? რაში გამოიხატება მათ მიერ შეტანილი წვლილი?

მოსწავლეებს პირველად ეძლევათ შესაძლებლობა, გამოიყენონ მათ მიერვე შემუშავებული წესები. მასწავლებელს შეუძლია, შეაქოს ის მოსწავლეები, რომლებიც ზედმიწევნით იცავენ წესებს. მასწავლებელი შეძლებისდაგვარად უნდა ეცადოს, არ გაამახვილოს ყურადღება იმ მოსწავლეებზე, რომლებიც წესებს არღვევენ, ეს მათთვის სამარცხვინო დაფაზე გაკვრის ტოლფასი იქნება.

გაკვეთილი 3

მასწავლებელი მოკლედ აცნობს მოსწავლეებს ბავშვთა უფლებებს.

მოსწავლეთა უმეტესობისათვის ეს ნაცნობი მასალის გამეორება იქნება.

- როგორ შეიქმნა ბავშვთა უფლებები?
- რა კავშირია ბავშვთა უფლებებსა და ადამიანის უფლებებს შორის? რატომ გახდა საჭირო ბავშვთა უფლებების შემოღება, როდესაც უკვე გვქონდა ადამიანის უფლებები?

ამჯერად მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ბავშვთა შემდეგ უფლებებს:

მუხლი 12, შეხედულებებისა და ინტერესის გამოხატვის უფლება;

მუხლი 13, გამოხატვის თავისუფლება;

მუხლი 28, განათლების მიღების უფლება;

მუხლი 31, დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება.

მოსწავლეები ამზადებენ სამუშაო ფურცელს ორი სვეტით. მარცხენა ვიწრო სვეტში ისინი ჩამოწერენ მოცემულ ოთხ უფლებას, ფურცლის მთელ სიგრძეზე თანაბარი დაშორებებით.

მარჯვენა ფართო სვეტში ისინი კონკრეტული უფლების შესახებ საკუთარ მოსაზრებებსა და ამ უფლებების შესაბამის ვალდებულებებს წერენ, რომელიც გულისხმობს როგორც პირველი პირის ვალდებულებებს, რომელიც ამ უფლებით სარგებლობს, ასევე სხვა პირების ვალდებულებებსაც: იმ შემთხვევაში, თუ ჩემი მეზობელი, მეგობარი ან თანაკლასელი სარგებლობს ამ უფლებით, რა ვალდებულებები ეკისრებათ მათ გარშემო მყოფთ? როგორი უნდა იყოს სკოლა, რათა უზრუნველყოს სწავლება (მუხლი 28)? როგორ შემიძლია მე, როგორც ამ კლასის წევრს, საკუთარი წვლილი შევიტანო მოცემული უფლების დაცვაში?

ჯგუფის წევრები (სახელები) **უფლებები**	**წესები და მოვალეობები**
მუხლი 12 **შეხედულებებისა და ინტერესის გამოხატვის უფლება** რას გულისხმობს ეს უფლება? **მუხლი 13** **გამოხატვის თავისუფლება** რას გულისხმობს ეს უფლება? **მუხლი 28** **განათლების მიღების უფლება** რას გულისხმობს ეს უფლება? **მუხლი 31** **დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება** რას გულისხმობს ეს უფლება?	

გაკვეთილი 4

მოსწავლეები წარმოადგენენ თავიანთ შედეგებს კლასის წინაშე. თითოეულ ჯგუფს ჰყავს თავისი მომხსენებელი. თავიანთ მოხსენებაში მოსწავლეებს შეუძლიათ, შეეხონ შემდეგ ასპექტებს:

- როგორ მივუდექით ჩვენ წინაშე მდგარ ამოცანას? (ჯგუფური მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი)
- რა იყო მნიშვნელოვანი ჩვენთვის? (კრიტერიუმები და ღირებულებები)
- როგორ უნდა დავრწმუნდეთ, რომ წესებს იცავენ ის ადამიანები, რომელთაც ამ წესების დაცვა ევალებათ? (წესებისადმი დამოკიდებულება, წესების გატარება)

მოსწავლეები თანხმდებიან კლასის წესებზე. ერთ-ერთი ჯგუფი იღება დავალებას, წესებს მისცეს დოკუმენტის სახე, საჭირო გაფორმებებით. ამ დოკუმენტს ხელი უნდა მოაწეროს კლასის უკლებლივ ყველა მოსწავლემ და მასწავლებელმაც. დოკუმენტში მოცემული წესები ძალაში რჩება იმ დრომდე, სანამ მოხდება მათი ჩანაცვლება ახალი წესებით. დოკუმენტი ყველასათვის საჩვენებელ ადგილზე უნდა გამოიფინოს ბავშვთა საყოველთაო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების განმავლობაში, როგორც მაგალითი იმისა, თუ როგორ ხორციელდება დემოკრატია საკლასო გარემოში.

თავი 6

ბავშვთა უფლებები: ხელოვნების ნიმუში!

გაკვეთილის გეგმა

	ძირითადი კითხვა/ გაკვეთილის თემა	ძირითადი ამოცანა	რესურსები
გაკვეთილი 1	რას წარმოადგენს პროექტი ხელოვნებაში? როგორ შეიძლება წარმოვადგინოთ ბავშვთა უფლებები ხელოვნებაში?	მოსწავლეები იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი მუხლი შეარჩიონ ბავშვთა უფლებების კონვენციიდან, მასზე ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად და გამოთქვამენ მოსაზრებებს პროექტთან დაკავშირებით.	რამდენიმე ჟურნალი; ბარათებზე ან ქაღალდის ფურცლებზე დატანილი ბავშვთა უფლებები
გაკვეთილები 2, 3 და 4	როგორ შეუძლიათ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, დაეხმარონ ერთმანეთს? როგორ უნდა ვარეგულიროთ განსხვავებული ტემპით მომუშავე მოსწავლეების ჰარმონიული თანამშრომლობა?	მოსწავლეები ახორციელებენ ერთ ან რამდენიმე პროექტს, რომელიც ხელოვნების ნიმუშის შექმნას გულისხმობს. ისინი სწავლობენ, როგორ გაუწიონ დახმარება სხვებს და როგორ მიიღონ დახმარება სხვებისაგან, საკლასო გარემოში.	ფურცლები, ფერადი საღებავები, წებო, ჟურნალები და ა.შ.

სწავლების მიზნები

ბავშვთა თუ ადამიანის უფლებები ხშირად უკავშირდება კომპლექსურ პოლიტიკურ, სოციალურ და პირად პრობლემებს.

მოცემული პროექტის ფარგლებში კიდევ ერთხელ ხდება შესაძლებელი იმ ტრადიციის ხორცშესხმა, რომელიც კარგად არის დამკვიდრებული ბავშვების და ადამიანის უფლებების კონტექსტში. ხელოვნების მუშაკები ხშირად იღებდნენ თავის თავზე კონკრეტული მუხლების ხელოვნებაში ასახვას. ამის შედეგად გვაქვს უამრავი შესანიშნავი ბარათი, კალენდარი, წიგნი და ფილმიც კი, რომელიც ადამიანისა და ბავშვთა უფლებებს ეძღვნება.

მოსწავლეებისათვის, რომელთაც უკვე იმუშავეს საგანძურის სკივრის პროექტზე

(მე-3 თავი), მოცემული პროექტი წარმოადგენს კიდევ ერთ შესაძლებლობას, უფრო ღრმად შეისწავლონ ბავშვთა უფლებები. ჩვენ მივიჩნევთ, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები დროგამოშვებით უბრუნდებოდნენ შესწავლილ მასალას და სხვადასხვა კუთხით განიხილავდნენ მას; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოყენებულ იქნას შემოქმედებითი და ინტეგრალური მიდგომა.

ზეპირად ან წერილობით ჩამოყალიბებული აზრი შესაძლებელია გამოიხატოს ერთი გამოსახულებით, იმ შემთხვევაში, თუ მისი აღქმა და გაგება სრულყოფილად მოხდება.

გირჩევთ, მოცემულ თავში შესული გაკვეთილების სერია სასწავლო წლის დასაწყისიდანვე შეიტანოთ სასწავლო პროგრამაში, რათა მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა 20 ნოემბერს, ბავშვთა საყოველთაო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაემთხვეს, რომელიც შესაძლებელია გაიმართოს სკოლაში, რომელიმე საგამოფენო დარბაზში ან ნებისმიერ სხვა საჯარო დაწესებულებაში.

პროექტის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა წახალისება, რათა ისინი სამუშაოს საჭირო წინდახედულებითა და შემოქმედებითად მიუდგნენ.

ძირითადი კითხვები ბავშვთა უფლებების შესახებ შეძენილი ცოდნისა და უნარების შესაჯამებლად		
შესახებ	საშუალებით	მიზნით
	მასწავლებელი	
რა იციან მოსწავლეებმა ბავშვთა უფლებების შესახებ?	როგორ და რა საშუალებებით არის დაცული ბავშვთა უფლებები საკლასო გარემოსა და სასკოლო საზოგადოებაში?	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ იმოქმედონ სკოლის გარეთ შექმნილ სიტუაციებში: რა ცოდნა შეიძინეს, რომელიც მათ მომავალ ცხოვრებაში გამოადგებათ?
	ხელოვნების გაკვეთილებზე მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ გამოსახვის საკუთარი საშუალებების გამოყენება შესაძლებელიც არის და მნიშვნელოვანიც. ისინი ეძებენ ინდივიდუალურ ხერხებს, რათა მხატვრული საშუალებებით შეძლონ, წარმოადგინონ ბავშვთა სხვადასხვა უფლება.	მოსწავლეებს შეუძლიათ, ემოციურ დონეზე აღიქვან ბავშვთა უფლებების დარღვევები და საკუთარი მსჯელობა ჩამოაყალიბონ ამასთან დაკავშირებით. მოსწავლეებში ეს კომპეტენცია ვითარდება მათ მიერ ბავშვთა უფლებების დარღვევების გაანალიზების პროცესში.
	მოსწავლეები	
რა შევისწავლე ბავშვთა უფლებების შესახებ?	რა გამოცდილება მივიღე კლასში, ბავშვთა უფლებების თვალსაზრისით?	როგორ შემიძლია ვიმოქმედო ამის შემდეგ?
ჩემს თანაკლასელებთან ერთად, ვეცადე, შემესწავლა ბავშვთა უფლებები. მე ბევრი კითხვა გამიჩნდა და ასევე დავრწმუნდი, რომ უცნაური არაფერია იმაში, რომ მე ჯერ კიდევ კარგად არ მესმის ზოგიერთი უფლება. მე გაგრძელებ მათ შესწავლას.	ამ პროექტის საშუალებით, საკლასო ოთახი და მთლიანი სკოლა იქცა ადგილად, რომლის მორთვაშიც მე ჩემი წვლილი შევიტანე და სადაც მე თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ. მე შემიძლია გამოვხატო ჩემი ინდივიდუალობა და გარშემომყოფები პიროვნებად აღმიქვამენ.	მე დავრწმუნდი ჩემს შესაძლებლობებში ხელოვნების კუთხით, ახლა უკვე თამამად შემიძლია ჩემი ამ შესაძლებლობების გამოყენება და მათ დახვეწაზე ზრუნვა. ეს ჩემი პიროვნების ნაწილია და ზოგჯერ ეს დამეხმარება, უკეთ გამოვხატო ჩემი ფიქრები და ემოციები, ვიდრე ამას სიტყვებით მოვახერხებ. ჩემს მეგობრებთან ერთად ვიმსჯელებ მსგავსი პროექტების გახორციელებაზე მომავალშიც, შესაძლებელია ნამუშევრები გავყიდოთ კიდეც და შემოსული თანხა ბავშვებისათვის წარმოებულ პროექტებს გადავცეთ.

რესურსები

მოსწავლეებისათვის მომზადებული ტექსტი ბავშვთა უფლებების შესახებ („გამოთქვი სწორად!“ ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის არაოფიციალური ახალგაზრდული გამოცემა, 1989 წელი, კანადა).

მსვლელობა

გაკვეთილი 1

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს პროექტის დეტალებს.

მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანია, გაერკვნენ იმ პრინციპში, რომელიც საფუძვლად უდევს მოცემულ პროექტს, გააცნობიერონ, თუ რა მოთხოვნებს უყენებს მათ დროის განრიგი და იხილონ მხატვრული საშუალებებით გადმოცემული ბავშვთა უფლებების მაგალითები.

ამისათვის მასწავლებელმა მოსწავლეებს არა მარტო უნდა უჩვენოს ადამიანისა და ბავშვთა უფლებების ილუსტრაციების მაგალითები, არამედ მათ წინაშე უნდა სცადოს განსხვავებული სტილისა და მიდგომების დემონსტრირება, რაც მოსწავლეებს დაეხმარება გამოხატვის თავიანთი საშუალებების მოძიებაში.

მასწავლებელმა შესაძლებელია დახმარებისათვის მიმართოს ხელოვნების მასწავლებელს ან ადგილობრივ მხატვარს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ინიციატივაც და პროექტით გათვალისწინებული აქტივობების გახორციელებაც მხოლოდ მოსწავლეთა კომპეტენციაში რჩება.

გაკვეთილის შესავალი ეტაპის შემდეგ, მოსწავლეები ქმნიან მცირერიცხოვან ჯგუფებს, რომელთა ფარგლებშიც ისინი მუშაობენ პროექტის განხორციელების გეგმაზე.

მოსწავლეებმა, ჯგუფის წევრებთან ერთად, უნდა მოაგვარონ შემდეგი საკითხები:

- მასალა;
- საღებავები;
- ინსტრუმენტები;
- დროის განრიგი;
- სურათის ფორმატი; მხატვრული ჩანაფიქრი;
- გამოფენის დაგეგმვა.

მოსწავლეთა ჯგუფები სხვა ჯგუფებთან ერთად განიხილავენ თავიანთ მოსაზრებებს.

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს გადაეცემათ ბავშვთა უფლებები, რომლებზეც მოუწევთ მუშაობა. უფლებების არჩევა შესაძლებელია კენჭისყრის მეთოდით. ვინაიდან ბავშვთა უფლებები, რაოდენობით, კლასში მოსწავლეთა რაოდენობას აღემატება, მასწავლებელმა შესაძლებელია გადაწყვიტოს:

- მოსწავლეებს გადასცეს მხოლოდ შერჩეული, მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისი რაოდენობის უფლებები;
- მოსწავლეებს, რომლებიც სხვებზე სწრაფად ასრულებენ დავალებებს, გადასცეს ერთზე მეტი უფლება;
- მოსწავლეებს, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს ამის შესახებ, გადასცეს დამატებითი უფლება;
- კლასმა ითანამშრომლოს სხვა კლასის მოსწავლეებთან.

თითოეულ მოსწავლეს გადაეცემა ბავშვთა უფლებების სრული ჩამონათვალის ასლი.

საშინაო დავალების სახით, მოსწავლეებმა შემდეგ კვირას დაგეგმილი გაკვეთილისათვის უნდა მოამზადონ შემდეგი სამუშაო:

- კარგად წაიკითხონ და გააანალიზონ ის უფლება, რომელიც მათ ერგოთ;
- მოიფიქრონ, როგორ შეიძლება ეს უფლება გამოიხატოს მხატვრული საშუალებებით;
- შეაგროვონ მაგალითები ჟურნალებიდან, გაზეთებიდან და წიგნებიდან, რომლებიც ილუსტრირების სხვადასხვა გზას გამოხატავს.
- მოიმარაგონ და შემდეგ გაკვეთილზე მოიტანონ მასალა, რომელიც სამუშაოს შესრულებისათვის დასჭირდებათ.

გაკვეთილი 2

მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს და კომენტარს აკეთებენ ერთმანეთის მოსაზრებებზე. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს კარგად ესმოდეთ ბავშვთა უფლებები; ასევე, უნდა შეეძლოთ მაგალითის მოყვანა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება ამ უფლებების დაცვა. მასწავლებელმა უნდა მოსთხოვოს მოსწავლეებს, ახსნან უფლებები და ის გზები და საშუალებები, რომლებიც მათი ილუსტრირებისათვის მოიფიქრეს.

მასწავლებელი ან არ აკეთებს კომენტარს ან მხოლოდ მცირე კომენტარს აკეთებს მოსწავლეების მოსაზრებებთან დაკავშირებით.

მოსწავლეებმა თავიანთი მოსაზრებები უნდა წარმოადგინონ არა მხოლოდ სიტყვიერად; მაგალითად, შეუძლიათ თავიანთი გეგმის მონახაზი დიდი ფორმატის ქაღალდზე დაიტანონ და გამოფინონ საკლასო ოთახის კედლებზე, რის შემდეგაც მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ და განიხილავენ ამ მონახაზებს. მოცემული აქტივობა მოსწავლეებისათვის მომაბეზრებელი არ უნდა იყოს.

გაკვეთილები 2, 3 და 4

მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, რომ მეორე გაკვეთილის მეორე ნახევარი და შემდგომი ორი გაკვეთილი პროექტის დამოუკიდებლად გახორციელებას მოახმარონ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოსწავლეებს მეტი მოტივაცია აქვთ, როდესაც სხვებისაგან იზოლირებულად არ მუშაობენ. მასწავლებელმა უნდა გაამხნევოს ისინი და მოუწოდოს, რომ არ დასჯერდნენ მხოლოდ თავიანთ პირველად მოსაზრებებს.

მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეებს იმით, რომ აჩვენოს მათ მხატვრული ხერხების გამოყენებით შესრულებული პოსტერები, რეკლამებიდან ამოღებული ილუსტრაციები, დიაგრამები და ა.შ. რომლებიც ამოჭრილია ჟურნალებიდან და გაზეთებიდან. მოსწავლეებს შეუძლიათ, გაკვეთილზე მოიტანონ წიგნები და ჟურნალები, რომლებიც ხელოვნებას ეძღვნება. არ არის აუცილებელი, ილუსტრაციები უკავშირდებოდეს ბავშვთა უფლებების თემას.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა აწარმოონ დისკუსია, ვიდრე ისინი ინდივიდუალურ საქმიანობას შეუდგებოდნენ; დისკუსია უნდა გაიმართოს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- როგორ მესმის ეს კონკრეტული უფლება?
- რომელი ფერი შეიძლება შევუხამო მას?
- რა შეიძლება დავუკავშირო ამ უფლებას?

რეკომენდაციები:

- თუ თქვენი მოსწავლეები გამოფენის მოწყობას სკოლის შენობაში, საკლასო ოთახში ან საზოგადოებრივი დატვირთვის შენობაში გეგმავენ, დაავალეთ მათ შეთანხმდნენ ფურცლის ფორმატსა და წარწერების სტილზე.
- მიეცით საშუალება მოსწავლეებს, დახმარება გაუწიონ ერთმანეთს. ამ შემთხვევაში, შეგიძლიათ მათ მისცეთ დამატებითი დრო, დამატებითი გაკვეთილის ან სახლში მუშაობის სახით.
- ნუ მოერიდებით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისათვის სპეციალური დავალების მიცემას. თქვენ შეგიძლიათ, მოიწვიოთ მხატვარი, რომელსაც მოსწავლეებიც იცნობენ, რათა მოსწავლეებში შთაგონება გააღვივოთ და დაეხმაროთ მათ, თავი გაართვან მიცემულ დავალებას.
- მოიფიქრეთ, გსურთ თუ არა, მოაწყოთ კონკურსი ან დააწესოთ რაიმე სახის ჯილდო საუკეთესო ნამუშევრებისათვის. ჩვენ ამის ნაცვლად გირჩევდით, გამოფენაზე მოგეწვიათ ადგილობრივი გაზეთის რეპორტიორები, რათა მათ გაზეთში გამოაქვეყნონ სტატია და ფოტო, მოსწავლეების მიერ ორგანიზებული გამოფენის შესახებ.

თავი 7

ის რაც მე მინდა, იგივეა, რაც ის, რაც მე მჭირდება?

გაკვეთილის გეგმა

	ძირითადი კითხვა/ გაკვეთილის თემა	ძირითადი ამოცანა	რესურსები
გაკვეთილი 1	რა მსურს?	მოსწავლეები აცნობიერებენ საკუთარ სურვილებს, ერთმანეთისათვის მათი გაზიარების საშუალებით.	სურათები მოსწავლეთა დასაწყვილებლად
გაკვეთილი 2	რა სჭირდებათ ადამიანებს? რისი ქონა იქნებოდა კარგი?	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ განასხვაონ ერთმანეთისაგან სურვი–ლები და საჭიროებები და, აგრეთვე, ძირითადი საჭიროებები და მეორეხარისხოვანი საჭიროებები.	მოსწავლეებმა შემდეგ გაკვეთილზე უნდა მოიტანონ: - ძველი ჟურნალები; - მაკრატლები ჯგუფის ყველა წევრისათვის; - წებო; - ცარიელი ფურცლები; - დიდი ზომის კონვერტი; - დაახლოებით 4 მეტრი სიგრძის ზონარი; - 10 ცალი სარჭი.
გაკვეთილი 3	რა არის სურვილები? რა არის საჭიროებები?	ხელმძღვანელობენ რა კრიტერიუმებით, მოსწავ-ლეები თანხმდებიან 10 მნიშვნელოვან სურვილსა და საჭიროებაზე.	მოსწავლეების მიერ მომარაგებული მასალა
გაკვეთილი 4	ბავშვთა უფლებები ესადაგება ჩვენ მიერ განსაზღვრულ სურვილებ-სა და საჭიროებებს?	მოსწავლეები საკუთარ მოსაზრებებს ადარებენ ბავშვთა უფლებებს და ამზადებენ პოსტერებს ბავშვთა საყოველთაო დღისათვის.	ბავშვთა უფლებების კონვენციის თითო ასლი თითო ჯგუფისათვის; დიდი ფორმატის ფურცელი.

სწავლების მიზნები

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაიგონ, თუ რას ეხება ადამიანისა და ბავშვის უფლებები, საჭიროა, გააცნობიერონ საკუთარი სურვილები და საჭიროებები. მათ კარგად უნდა იცოდნენ, რას ელიან მოცემულ მომენტში ცხოვრებისაგან. პირველ ეტაპზე, მოსწავლეები თავისუფლად საუბრობენ საკუთარ სურვილებსა და საჭიროებებზე და მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად რეალური თუ არარეალურია მათი მოსაზრებები.

მეორე ეტაპზე, მათ უნდა დაადგინონ, რა განსხვავებაა, მათი აზრით, სურვილებსა და ყოველდღიურ საჭიროებებს შორის. ამ ეტაპზე გაკეთებული არჩევანისას აუცილებლად გამოიკვეთება ის უფლებები, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად.

ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია, მასწავლებელი ამხნევებდეს მოსწავლეებს და მოსწავლეების მიერ გამართული დისკუსიისას თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებდეს. მასწავლებელი არ უნდა ჩაერიოს მოსწავლეთა მსჯელობაში და მათ თავს არ უნდა მოახვიოს საკუთარი ღირებულებები და ნორმები, იმ „კეთილი“ განზრახვით, რომ სწორი მიმართულება მისცეს მოსწავლეებს, მოსაზრებების ჩამოყალიბებისას. ნაცვლად ამისა, სათანადოდ წარმართული დისკუსიისას, მოსწავლეები ხშირად თავად აღმოაჩენენ ხოლმე ურთიერთგამომრიცხავ ცნებებსა და ღირებულებებს და თავადვე აგვარებენ ამასთან დაკავშირებულ პრობლემას.

ძირითადი კითხვები ბავშვთა უფლებების შესახებ შეძენილი ცოდნისა და უნარების შესაჯამებლად		
შესახებ	საშუალებით	მიზნით
	მასწავლებელი	
რა იციან მოსწავლეებმა ბავშვთა უფლებების შესახებ?	როგორ და რა საშუალებებით არის დაცული ბავშვთა უფლებები საკლასო გარემოსა და სასკოლო საზოგადოებაში?	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ იმოქმედონ სკოლის გარეთ შექმნილ სიტუაციებში: რა ცოდნა შეიძინეს, რომელიც მათ მომავალ ცხოვრებაში გამოადგებათ?
	წინამდებარე თავის გავლისას, მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, გამოთქვან სურვილები და ჩამოაყალიბონ თავიანთი საჭიროებები. მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ მათ უსმენენ და მათ მოსაზრებებს სერიოზულად აღიქვამენ. მოსწავლეები სწავლობენ, როგორ განასხვაონ ერთმანეთისაგან ძირითადი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჭიროებები და სურვილები.	მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მათ ყოველდღიურად უწევთ შეხება ცხოვრებისეულ საკითხებთან და რომ საზოგადოებაში მისი წევრებისათვის არათანაბარი პირობებია შექმნილი, ამგვარი პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, როგორ მოითხოვონ საკუთარი ინტერესების დაცვა ისე, რომ არ შელახონ სხვების ინტერესები.
	მოსწავლეები	
რა შევისწავლე ბავშვთა უფლებების შესახებ?	რა გამოცდილება მივიღე კლასში, ბავშვთა უფლებების თვალსაზრისით?	როგორ შემიძლია ვიმოქმედო ამის შემდეგ?
მე შევიტყვე, რომ ბავშვთა უფლებები მოიცავს ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ და მნიშვნელოვან საჭიროებებს — მონაწილეობა, განვითარება, სიცოცხლის შენარჩუნება და დაცვა და, აგრეთვე, შევიტყვე, რომ ამ უფლებებს ბევრი საერთო აქვს ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებასთან.	ჩემი სურვილების გამოთქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შემიძლია, თუ ჩემს თანაკლასელებსა და მასწავლებელს ვენდობი. მე ვისწავლე, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, გამოთქვა შენი სურვილების შესახებ და აგრეთვე მოუსმინო სხვებს, როდესაც ისინი თავიანთ სურვილებზე საუბრობენ.	მე ვეცდები, მეტი ყურადღება გამოვიჩინო სურვილებსა და საჭიროებებს შორის სხვაობისადმი. არ შევინახავ საიდუმლოდ ჩემს სურვილებსა და ოცნებებს და ვეცდები სისრულეში მოვიყვანო ისინი, მაგრამ ისე, რომ ამავდროულად გავითვალისწინო სხვათა საჭიროებები და არ მივაყენო ზიანი მათ.

რესურსები

ბარათები მოსწავლეთა უფლებების შესახებ;

მოსწავლეების მიერ გაკვეთილზე მოტანილი მასალა:

- ძველი ჟურნალები, ბევრი სურათით, მაგალითად, საბავშვო ჟურნალები ან ჟურნალები მოდის შესახებ;
- მაკრატლები ჯგუფის ყველა წევრისათვის;
- წებო;
- ცარიელი ფურცლები;
- დიდი ზომის კონვერტი;
- დაახლოებით 4 მეტრი სიგრძის ზონარი;
- 10 ცალი სარჭი.

მსვლელობა

გაკვეთილი 1

მასწავლებელი ლამაზი მანქანების, მოდური ტანისამოსის ან მიმზიდველი დასასვენებელი ადგილების ამსახველ სურათებს ოთხ-ოთხ ნაწილად ყოფს და არეულად ურიგებს მათ მოსწავლეებს. მოსწავლეებმა კლასში უნდა იპოვონ ის სხვა მოსწავლეები, რომლებსაც მათი სურათების დანარჩენი ნაწილები ერგო და ვისთან ერთადაც მათ უნდა შექმნან ჯგუფები. იმ შემთხვევაში, თუ კლასში მოსწავლეების რაოდენობის თანაბრად გადანაწილებისათვის საჭიროა სამ-სამი ან ხუთ-ხუთი მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფების შექმნა, მასწავლებელმა სურათები შესაბამისად უნდა დაჭრას, სამ-სამ ან ხუთ-ხუთ ნაწილად.

ზოგიერთი რეკომენდაცია მოსწავლეების აქტივობაში აქტიურად ჩასაბმელად.

ჯგუფი ირჩევს მომხსენებელს და მენეჯერს. მომხსენებლის ვალდებულებაში შედის სხვა ჯგუფების წევრებთან, კლასის წინაშე და მასწავლებელთან, საკუთარი ჯგუფის სახელით საუბარი. მის ვალდებულებას წარმოადგენს, გადმოსცეს ჯგუფის მოსაზრებები, და არა მისი საკუთარი მოსაზრებები. ჯგუფის მენეჯერი ორგანიზებას უკეთებს ჯგუფის საქმიანობას, აერთიანებს ჯგუფის წევრებს და აკონტროლებს დროის განრიგს.

რა სურვილები შეუძლიათ გაიხსენონ მოსწავლეებმა? რა იყო მათი სანუკვარი ოცნება, როდესაც ისინი პატარები იყვნენ?

რა ანიჭებდა მათ განსაკუთრებულ სიხარულს, როდესაც იყვნენ, დაახლოებით, 7 წლის ან, დაახლოებით, 10 წლის? რა მიანიჭებთ მათ განსაკუთრებულ სიხარულს ახლა, მოცემულ მომენტში?

რა სურვილები აქვთ იმ უფროს ადამიანებს, რომელთაც მოსწავლეები იცნობენ?

მოსწავლეები თავიანთ სურათს აკრავენ ფურცელზე და ამავე ფურცელზე ადგენენ თავიანთი სურვილების ჩამონათვალს, რომელიც ასაკის მიხედვით არის დახარისხებული.

მოსწავლეები თანხმდებიან სათაურზე და შედეგებს აცნობენ კლასის დანარჩენ მოსწავლეებს.

მოსწავლეების მიერ შექმნილი მინიპოსტერები უნდა გამოიკრას საკლასო ოთახის კედლებზე.

მომდევნო კვირის განმავლობაში მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ შემდეგი დავალება:

მოსწავლეებმა შემდეგი გაკვეთილისათვის უნდა მოიტანონ მასალა:

- ძველი ჟურნალები, ბევრი სურათით, მაგალითად, საბავშვო ჟურნალები ან ჟურნალები მოდის შესახებ;
- მაკრატლები ჯგუფის ყველა წევრისათვის;

- წებო;
- ცარიელი ფურცლები;
- დიდი ზომის კონვერტი;
- დაახლოებით 4 მეტრი სიგრძის ზონარი;
- 10 ცალი სარჭი.

გაკვეთილი 2

მოსწავლეები მუშაობას აგრძელებენ თავიანთ ჯგუფებში. განიხილავენ შემდეგ საკითხებს:

რას ვისურვებდით, რომ გვქონდეს? რისი ქონა იქნებოდა კარგი? რა გვჭირდება ყველაზე მეტად?

მოსწავლეები ჟურნალებსა და სხვა მასალებში ეძებენ სურათებს, რომლებიც ასახავს ან სიმბოლურად გამოხატავს მათ მიერ შედგენილ ჩამონათვალში შემავალ, მატერიალურ თუ არამატერიალურ სურვილებსა და საჭიროებებს; როდესაც ისინი სასურველ სურათს იპოვიან, ეს სურათები უნდა ამოჭრან და შეაგროვონ.

მოსწავლეთა თითოეული წყვილი აგროვებს, დაახლოებით, 10 სურათს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეთა თითოეულ ჯგუფს ჯამში, დაახლოებით, 20 სურათი ექნება. მოსწავლეებმა სურათები წინა მხრიდან უნდა დანომრონ, 1-დან 20-მდე.

მოსწავლეთა თითოეულმა ჯგუფმა უნდა შეადგინოს ჯგუფის წევრების მიერ შეგროვილი სურათების ჩამონათვალი და, ამავდროულად, უნდა განასხვაოს სურვილებისა და საჭიროებების ორი დონე: ძირითადი დონე და „მაღალი“ დონე. მოსწავლეების მიერ შედგენილი ჩამონათვალი შემდეგნაირად უნდა გამოიყურებოდეს:

ძირითადი დონე	**„მაღალი“ დონე**
ფეხბურთი მანქანა სახლი კარგი საკვები	მეგობრები ბედნიერება მშობლები

გაკვეთილი 3

მოსწავლეთა ჯგუფები იღებენ შემდეგ დავალებას: შეთანხმდით 10 სურათზე, რომელიც თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან სურვილებს გამოხატავს.

მოსწავლეთა ჯგუფები ამ დავალებას შემდეგნაირად ასრულებენ: დანომრილი სურათები აწყვია მაგიდაზე, რომელიც ჯგუფისთვის არის გამოყოფილი. ჯგუფის თითოეულ წევრს შეუძლია, სურათებს 10 ქულა მიანიჭოს, ამასთან, მათ შეუძლიათ, ეს 10 ქულა თანაბრად გადაანაწილონ 10 სურათზე, ან უფრო მცირე რაოდენობის სურათებზე; არჩევანის გაკეთებისას, ერთი სურათისათვის შესაძლებელია ორი ქულის მინიჭება.

ჯგუფის თითოეული წევრი ადგენს სურათების საკუთარ რეიტინგს, რა დროსაც ისინი ფურცელზე ჩამოწერენ სურათის ნომერს და მათ მიერ მინიჭებულ ქულას. ის 10 სურათი, რომელიც უმაღლეს ქულას დააგროვებს ჯგუფის წევრების მიერ მინიჭებული ქულების შეჯამების შედეგად, მიიჩნევა ჯგუფის შერჩეულ სურათებად. თუ ქულების რაოდენობა სურათებზე თანაბრად გადანაწილდა, მაშინ ამ სურათებიდან ყველა უნდა იქნას მიჩნეული ჯგუფის მიერ შერჩეულ სურათებად.

მოსწავლეები მათი ჯგუფის მიერ შერჩეულ სურათებს ჰკიდებენ თოკზე და ამაგრებენ სარჭებით, ამასთან, სურათების განლაგება თოკზე შემდეგი პრინციპით უნდა განისაზღვროს:

- მარცხნივ – სურათები, რომლებიც გამოხატავენ იმ საჭიროებებს, რომლებიც ჩვენ გვჭირდება, რათა ღირსეულად ვიცხოვროთ (ძირითადი საჭიროებები);
- მარჯვნივ – სურათები, რომლებიც გამოხატავენ საჭიროებებს, რომლებიც ჩვენ იმისათვის გვჭირდება, რომ ჩვენი ცხოვრება სასიამოვნო იყოს.

გაკვეთილი 4

მოსწავლეები აგრძელებენ მუშაობას შემდეგი მასალის გამოყენებით:

- ჯგუფის მიერ შერჩეული 10 სურათი;
- დაახლოებით A3 ფორმატის 10 ფურცელი;
- ბავშვის უფლებების კონვენციის ასლები (ორივე ვერსია).

მოსწავლეებს ეძლევათ შემდეგი დავალება:

თითოეული ჯგუფის წევრები რიგ-რიგობით კითხულობენ ბავშვთა უფლებებს ხმამაღლა.

რომელი უფლება რომელ საჭიროებას შეესაბამება?

მოსწავლეთა ჯგუფები ამზადებენ 10 -10 პოსტერს. თითოეული ფურცლის მარცხენა ნახევარში აკრავენ მათ მიერ შერჩეულ თითო სურათს; ფურცლის მარჯვენა ნახევარში წერენ ბავშვის იმ უფლებას, რომელიც ესადაგება მოცემულ სურათზე გამოსახულ საჭიროებას ან სურვილს. მოსწავლეები ურთავენ საკუთარ კომენტარს, სადაც მათ უნდა ახსნან, თუ რა კავშირია ფურცელზე დატანილ სურათს, სურვილსა და საჭიროებას და ბავშვის უფლებას შორის.

იხილეთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითი.

განათავსეთ თქვენი სურათი აქ.	მუხლი 7 ჩვენი სახელი, გვარი და ეროვნება ჩვენ დაბადებისთანავე გვაქვს უფლება, გვქონდეს სახელი, გვარი და მოქალაქეობა. ასევე, გვაქვს უფლება, ვიცნობდეთ საკუთარ მშობლებს და ვიზრდებოდეთ მათ გარემოცვაში, მათი მზრუნველობის ქვეშ. მუხლი 8 ჩვენი პიროვნულობის შენარჩუნება ჩვენ გვაქვს უფლება, დაცული იყოს და, საჭიროების შემთხვევაში, აღდგენილი, ჩვენი პიროვნულობის გამომხატველი ძირითადი ნიშნები: სახელი და გვარი, მოქალაქეობა და ოჯახური კავშირები. მუხლი 10 ოჯახური კავშირების აღდგენა საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს უფლება, დავტოვოთ ან დავბრუნდეთ საკუთარ ქვეყანაში, რათა ვიცხოვროთ ჩვენი ოჯახის წევრებთან ერთად, სახელმწიფო ვალდებულია, ჩვენ მიერ ქვეყნის დატოვებასა და ქვეყანაში დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები მოაგვაროს სწრაფად და ჰუმანურად. თუ ჩვენი მშობლები სხვა ქვეყანაში ცხოვრობენ, ჩვენ გვაქვს უფლება, პირადი ურთიერთობები და პირდაპირ ი კონტაქტები ვიქონიოთ მათთან.

იმ შემთხვევაში, თუ ეს ყველა მოსწავლის სურვილი იქნება, მოსწავლეთა ჯგუფების მიერ შედგენილი პოსტერები შესაძლებელია გამოიფინოს სკოლის შენობაში ბავშვთა საყოველთაო დღისათვის.

თავი 8
მე ვქმნი ჩემს პოსტერს!

გაკვეთილის გეგმა

	ძირითადი კითხვა/ გაკვეთილის თემა	ძირითადი ამოცანა	რესურსები
გაკვეთილი 1	გვესმის მუხლები ბავშვთა უფლებების შესახებ?	მოსწავლეები ირჩევენ მუხლებს ბავშვის უფლებების კონვენციიდან, რომლებიც მათ ამჯერად უნდა შეისწავლონ კრიტერიუმების გამოყენებით, შემდგომი ორი გაკვეთილის განმავლობაში.	ბავშვის უფლებების კონვენციის ასლები
გაკვეთილი 2	ყველასათვის გასაგებია კრიტერიუმები? როგორ შეუძლია მასწავლებელს, დახმარება გაუწიოს მოსწავლეებს ისე, რომ მეტისმეტად არ ჩაერიოს მოსწავლეთა აქტივობაში?	მოსწავლეები მათთვის ხელსაყრელ ტემპში მუშაობენ პატარ-პატარა ჯგუფებად. ისინი აანალიზებენ ბავშვის უფლებების კონვენციის მუხლებს და ქმნიან დიაგრამებს, რომლებმაც მნახველები უნდა დააინტერესოს.	ჟურნალები, ფურცელი, წებო, მაკრატლები
გაკვეთილი 3	რა ვისწავლეთ? რამდენად დიდ ძალისხმევას მოითხოვდა ჩვენგან მოცემული დავალების შესრულება? როგორ ვისარგებლეთ ჩვენთვის მონიჭებული თავისუფლებით?	მოსწავლეები აჯამებენ მუშაობისა და სწავლის პროცესებს და მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ მოაწყონ საკუთარი ნაშრომების ჩვენება.	დასრულებული პოსტერები

სწავლების მიზნები

ადამიანის უფლებები და ბავშვთა უფლებები მხოლოდ ფურცელზე დაწერილ არაფრისმთქმელ სიტყვებად რჩება, თუ ადამიანისათვის ისინი გარკვეულ მნიშვნელობას არ იძენს. აქედან გამომდინარე, საჭიროა ჩავწვდეთ მათ მნიშვნელობას და დავაკავშიროთ ისინი კონკრეტულ გამოცდილებასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს უფლებები ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა იყოს გამოყენებული და მათი დარღვევის შემთხვევები უნდა გამოვლინდეს. მაგრამ ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯებიც კი გარკვეულ დროს მოითხოვს.

თუ ჩვენ გვსურს, მოსწავლეებს ესმოდეთ ბავშვის უფლებები, რაც ჩვენს მიზანს ნამდვილად წარმოადგენს, მათ უნდა

მივცეთ საშუალება, იმუშაონ ამ უფლებებზე; ვინაიდან მხოლოდ კითხვითა და მოსმენით უფლებები არ ისწავლება.

აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ ტერმინზე „ბავშვის უფლებები“, რაც რიგ შემთხვევებში მოზარდთა შორის გაღიზიანებას იწვევს. მათი გაღიზიანება საფუძველს მოკლებული არ არის. მათ აღარ სურთ, ბავშვებად იწოდებოდნენ. თუმცა ბავშვთა უფლებები მათზეც ვრცელდება, სულ მცირე, 18 წლის ასაკამდე. მოზარდები უნდა აცნობიერებდნენ, რომ ბავშვთა უფლებები მათთვის ის ინსტრუმენტია, რომელიც მათ უსამართლოდ მოპყრობის შემთხვევების გამოვლენაში და სამართლიანობის მოთხოვნაში დაეხმარება. ბავშვის უფლებათა კონვენციაზე ხელის მოწერით, ყოველი სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებით, დანერგოს და დაიცვას ბავშვთა ეს უფლებები; თავის მხრივ, ეს გულისხმობს განხორციელების პროცესის პრიორიტეტულობას და მოიცავს ბავშვებისა და მოზარდების დახმარებასა და ხელშეწყობას, რათა მათ შეძლონ მათთვის მინიჭებული უფლებებით სარგებლობა.

მეშვიდე კლასის მოსწავლეებთან წინამდებარე პროექტის განხორციელებისას, ჩვენ გთავაზობთ, მოსწავლეებს დაავალოთ ბავშვის უფლებათა კონვენციის ძირფესვიანი შესწავლა, რა დროსაც მათ უნდა განიხილონ ყოველდღიურ ცხოვრებაში, მათ ირგვლივ, ამ უფლებათა დაცვის შემთხვევები და, შესაბამისად, იმავე უფლებათა დარღვევის შემთხვევებიც.

მოცემული პროექტის საბოლოო შედეგს წარმოადგენს მოსწავლეების მიერ მოწყობილი გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება მოსწავლეების მიერ დამზადებული პოსტერები ბავშვის ყველა უფლების შესახებ – თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, გამოფენის გახსნის თარიღი, უმჯობესია, ემთხვეოდეს ბავშვთა საყოველთაო დღეს – 20 ნოემბერს. გამოფენაზე გამოტანილი თითოეული პოსტერი უნდა შეიცავდეს შინაარსის აღწერის, ანალიზისა და ილუსტრაციის ელემენტებს, რომელთა შექმნაც განსხვავებულ მიდგომებს საჭიროებს, დაწყებული ანალიტიკური მიდგომიდან, დამთავრებული შემოქმედებითი მიდგომით.

დიდაქტიკის თვალსაზრისით, აღნიშნული გამოფენისათვის მზადება მოსწავლეებისაგან მოითხოვს კონვენციის კონკრეტული მუხლების ძირფესვიანად შესწავლას. გამოფენის ღონისძიება შესაძლებელია მოიცავდეს ერთგვარ კონკურსს, სადაც სხვა კლასის მასწავლებლები გამოვლენ ჟიურის როლში და შეარჩევენ საუკეთესო პოსტერს, რისთვისაც შესაძლებელია დაწესებული იყოს მცირედი ჯილდოც, როგორიცაა, მაგალითად, კინოს ბილეთი ან წიგნი.

ადგილობრივი ცხოვრებიდან ან საერთაშორისო კონტექსტიდან აღებული მაგალითების მოძიება შესაძლებელია იმ მასალაში, რომელიც მოსწავლეებმა გაკვეთილზე მოიტანეს. აქედან გამომდინარე, მოსამზადებელი ეტაპის ძირითად ელემენტს წარმოადგენს გაზეთებისა და ჟურნალების წაკითხვა. თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლის გარეშე (რაც მცირერიცხოვან ჯგუფებში მუშაობას გულისხმობს), მოსწავლეებს გაუჭირდებათ მიზნების განხორციელება. ეს მოცემული პროექტის კიდევ ერთ მიზანს წარმოადგენს.

პროექტი მოიცავს, დაახლოებით, ოთხ გაკვეთილს. მკითხველი აღმოაჩენს, რომ არც ერთ გაკვეთილს თავისთავად დასრულებული ფორმა არა აქვს, არამედ ისინი ერთმანეთზეა მიბმული. მოსწავლეთა ჯგუფებს ეძლევათ საშუალება, თავად შეიმუშაონ მუშაობის გრაფიკი, საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ძირითადი კითხვები ბავშვთა უფლებების შესახებ შეძენილი ცოდნისა და უნარების შესაჯამებლად		
შესახებ	საშუალებით	მიზნით
	მასწავლებელი	
რა იციან მოსწავლეებმა ბავშვთა უფლებების შესახებ?	როგორ და რა საშუალებებით არის დაცული ბავშვთა უფლებები საკლასო გარემოსა და სასკოლო საზოგადოებაში?	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ იმოქმედონ სკოლის გარეთ შექმნილ სიტუაციებში: რა ცოდნა შეიძინეს, რომელიც მათ მომავალ ცხოვრებაში გამოადგებათ?
მოსწავლეები სწავლობენ, როგორ გააანალიზონ ბავშვთა უფლებები, სისტემატური მიდგომის გამოყენებით.	მოსწავლეები საკლასო ოთახს და სკოლას აღიქვამენ, როგორც წამახალისებელ, სტიმულის მომცემ სასწავლო გარემოს. ყოველდღიური ჟურნალ-გაზეთები გამოყენებულია, როგორც სამუშაო მასალა. ამგვარად, სკოლა გარდაიქმნება ადგილად, სადაც მოსწავლეები თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებას განიხილავენ.	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ წარმოადგინონ საკუთარი ნამუშევრები (ამ შემთხვევაში, პოსტერები) და ამით ისინი იძენენ უნარს, წარმოადგინონ და იმსჯელონ იმ მნიშვნელოვან მოვლენებზე, რომლებსაც სკოლის გარეთ აქვს ადგილი.
	მოსწავლეები	
რა შევისწავლე ბავშვთა უფლებების შესახებ?	რა გამოცდილება მივიღე კლასში, ბავშვთა უფლებების თვალსაზრისით?	როგორ შემიძლია ვიმოქმედო ამის შემდეგ?
მე გავაცნობიერე, როგორი სიზუსტით და სიფრთხილით არის შედგენილი ბავშვის უფლებების კონვენციის მუხლები და რამდენ ასპექტს მოიცავს თითოეული მათგანი. მე ვისწავლე, როგორ გავაანალიზო ისინი და ამან მე მათზე ფიქრის საშუალება მომცა.	მუშაობის პროცესში, მე გამოვცადე ჩემი თანაკლასელებისა და მასწავლებლის მხრიდან როგორც წახალისება, ასევე, გამოწვევები, რომლებსაც ისინი ჩემ წინაშე აყენებდნენ. ორივე შემთხვევაში, ისინი მე დახმარებას მიწევდნენ.	მე მზად ვარ, მონაწილეობა მივიღო იმ საკითხების გამო გამართულ საჯარო დებატებში, რომელიც მე მესმის. მე მზად ვარ, დავიცვა ჩემი შეხედულება, რომელიც ბავშვთა უფლებებისა და ადამიანის უფლებების შესახებ გამაჩნია და, ასევე, მზად ვარ, მოვისმინო სხვა ადამიანების შეხედულებები.

რესურსები

- დიდი ფორმატის ფურცლები;
- ფერების მიხედვით დახარისხებული ფურცლები;
- ფლომასტერები;
- მაკრატლები;
- წებო;
- ძველი ჟურნალები და გაზეთები;
- სურათები და ფოტოები;
- ბავშვის უფლებათა კონვენციის ტექსტი;
- ბარათები ბავშვთა უფლებების შესახებ.

მსვლელობა

გაკვეთილები 1, 2 და 3

პირველ რიგში, მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს შემდგომი ოთხი გაკვეთილის დეტალურ გეგმას. მოსწავლეებისათვის გასაგები უნდა იყოს, რომ მათ ამოცანას პოსტერის შექმნა წარმოადგენს, რომელიც ბავშვთა უფლებების თემაზე უნდა იყოს შექმნილი და შესაძლებელია საუკეთესო პოსტერის შექმნაზე კონკურსიც კი გაიმართოს.

მოსწავლეები მუშაობენ სამ-სამი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებში. პროექტის სამუშაოს ორგანიზების შესახებ რეკომენდაციები მოწოდებულია ქვემოთ.

ბავშვის უფლებების კონვენცია შედგება 54 მუხლისაგან, რომელთაგანაც, პირველი 41 მუხლი, ან, მაქსიმუმ, 42 მუხლი, მოსწავლეებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. რა არჩევანიც უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, ნათელია, რომ მოსწავლეთა თითოეულ ჯგუფს ერთზე მეტ მუხლზე მოუწევს მუშაობა.

დასაწყის ეტაპზე თითოეულმა მოსწავლემ უნდა წაიკითხოს ბავშვის უფლებების კონვენციის სრული ვერსია და სამ მუხლზე გააკეთოს საკუთარი არჩევანი, რომელიც, მისი თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანია მისთვის. დაფაზე წებოვანი ლენტით დამაგრებულია ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლების შესაბამისი ნუმერაციით დალაგებული ბარათები ან ქაღალდის პატარა ფურცლები. მოსწავლეებმა მათ მიერ შერჩეული მუხლის შესაბამის ბარათზე უნდა დაიტანონ აღნიშვნა. ამის შემდეგ საჭიროა აღნიშვნების დათვლა და დაანგარიშება და შედეგების შესახებ ჩანაწერის გაკეთება. დაფაზე გაკრული ბარათები, მუხლების შესაბამისი ნომრებით, ამჯერად უნდა დალაგდეს მოსწავლეების მიერ მათთვის მინიჭებული პრიორიტეტის მიხედვით.

ამის შემდეგ მასწავლებელი უძღვება მოსწავლეებს შორის გამართულ საუბარს, რომლის დროსაც მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს; ამავე დროს, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს უკლებლივ ყველა მოსწავლის მონაწილეობა განხილვის პროცესში და აგრეთვე ის, რომ ყველა მათგანის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას დანარჩენი მოსწავლეები გულდასმით ისმენდნენ.

- მოსწავლეების მიერ მინიჭებული პრიორიტეტის მიხედვით დალაგებული მუხლები როგორ ასახავს ბავშვებისა და მოზარდების რეალურ სიტუაციას მოცემულ გარემოში?
- შეგიძლიათ განსაზღვროთ, რა პრინციპი უდევს საფუძვლად მუხლების თქვენ მიერ შედგენილ თანმიმდევრობას?
- რომელი ელემენტები იქნა გამოტოვებული?

ამჯერად დგება დრო, როდესაც მოსწავლეები უნდა გადანაწილდნენ ჯგუფებად. მოსწავლეების დაჯგუფება სამი გზით შეიძლება და მასწავლებელმა თავად უნდა აირჩიოს, რომელ მათგანს გამოიყენებს ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად.

პირველი გზა არის მოსწავლეების დაჯგუფება შემთხვევითობის პრინციპით და შესაბამისი პროცედურების დაცვით.

მეორე გზა არის, მოსწავლეებს მისცეთ არჩევანის გაკეთების საშუალება იმასთან დაკავშირებით, თუ ვისთან ერთად ისურვებდნენ მუშაობას. ეს მეთოდი გულისხმობს გადაწყვეტილებების მიღებას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ჯგუფის დინამიკა და ურთიერთობები მოსწავლეებს შორის; პრობლემამ ნებისმიერი ფორმით შეიძლება იჩინოს თავი, მაგალითად, გოგონებსა და ვაჟებს შორის, რომელიმე მოსწავლე შესაძლოა გარიყულ პოზიციაში აღმოჩნდეს, ან შესაძლებელია დაძაბული და უსიამოვნო სიტუაციები წარმოიქმნას. მასწავლებლის მიერ ამგვარი სიტუაციების გათვალისწინება და პრობლემების თავიდან ასაცილებლად წინასწარი ზომების მიღება მოსწავლეების სასარგებლოდ იმოქმედებს, მაგრამ დამატებით დროსა და ენერგიას მოითხოვს.

მესამე გზა არის მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის იმ კრიტერიუმების შეთავაზება, რომლის მიხედვითაც უნდა შედგეს ჯგუფები. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა ნათლად და გასაგებად უნდა განუმარტოს მოსწავლეებს ჯგუფების შედგენის კრიტერიუმები.

ვიდრე ჯგუფები მუშაობას შეუდგებიან, მათ მცირედი საორგანიზაციო სამუშაოები აქვთ ჩასატარებელი. მოსწავლეებმა საკუთარ ჯგუფს უნდა შეურჩიონ სახელი და ჯგუფის წევრებმა უნდა გადაინაწილონ მოვალეობები. ჯგუფის წევრებმა წერილობით უნდა განსაზღვრონ, თუ რომელ მოსწავლეს რა პასუხისმგებლობა აკისრია სამუშაოს შესრულებისას. ჯგუფების მიერ მომზადებული ეს სამუშაო გეგმები უნდა გამოიფინოს კლასში. მოგვიანებით, ჯგუფებმა თავიანთ სამუშაო გეგმაში უნდა მიუთითონ, თუ ბავშვთა უფლებების კონვენციის რომელ მუხლებზე მუშაობს ჯგუფი. მოსწავლეებს შორის მოვალეობების გადანაწილებას ამ კონკრეტული მეთოდით არანაირი კავშირი არა აქვს მოსწავლეების მიერ შესასრულებელ სამუშაოსთან, მაგრამ მოსწავლეებს ეხმარება, გამოიმუშაონ სოციალური კომპეტენცია და მიზნის მიღწევის გზების დასახვა ისწავლონ.

ამასობაში, მასწავლებელი დაფიდან ხსნის მოსწავლეების მიერ შედგენილი თანამიმდევრობიდან 10 ყველაზე პრიორიტეტული მუხლის შესაბამის ბარათებს და ათავსებს მათ მაგიდაზე, პირით ქვემოთ ისე, რომ მოსწავლეები ვერ ხედავდნენ მასზე დატანილ მუხლის ნომერს. ყოველი ჯგუფის კოორდინატორი იღებს მაგიდიდან ერთ-ერთ ბარათს და, ამის შემდეგ, მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, თუ რაში მდგომარეობს მათი ამოცანა.

> მოსწავლეთა ჯგუფები ამზადებენ პოსტერებს ბავშვთა ერთ-ერთი უფლების შესახებ.
> პოსტერი უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:
> — ბავშვის უფლებისათვის შერჩეული სახელწოდება;
> — ბავშვის უფლებათა კონვენციიდან აღებული მუხლის ტექსტი;
> — სურათი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს მოცემული მუხლის შინაარსს;
> — ჟურნალიდან ან გაზეთიდან ამოღებული სტატია, რომელიც ამ მუხლით გათვალისწინებულ უფლებას ეხება და მოსწავლეების მიერ დართული ახსნა, თუ როგორ უკავშირდება შერჩეული სტატია მოცემულ მუხლში ასახულ უფლებას (სტატია უნდა ეხებოდეს კონკრეტული უფლების დარღვევის ან დაცვის შემთხვევას).
> პოსტერზე მუშაობის დასრულების შემდეგ, მოსწავლეთა ჯგუფმა უნდა შეარჩიოს სხვა მუხლი, ბავშვის უფლებათა კონვენციის დარჩენილი მუხლებიდან და შექმნას მეორე პოსტერი, იმავე პრინციპების დაცვით. ჯგუფებმა მათ მიერ შერჩეული მუხლი უნდა მიუთითონ საერთო ჩამონათვალში.

მოსწავლეთა ჯგუფები ეცნობიან დავალების შინაარსს; ადგენენ საჭირო მასალის ჩამონათვალს და ინიშნავენ ნებისმიერ კითხვას, რომელიც მათ გაუჩნდებათ მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების პროცესში.

ამის შემდეგ ჯგუფის წევრები თანხმდებიან სამუშაო გეგმაზე. რა არის გასაკეთებელი? რა მასალა უნდა მოვიძიოთ? რა უნდა მოიტანოს გაკვეთილზე ჯგუფის თითოეულმა წევრმა? როგორ უნდა გადაანაწილოს სამუშაო დროის განრიგზე პასუხისმგებელმა მოსწავლემ? სად უნდა ინახებოდეს შეგროვილი მასალა?

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელს წინასწარ აქვს დაგეგმილი მოცემული პროექტის განხორციელება მოსწავლეთა კონკრეტულ ჯგუფში, მას შეუძლია, პროექტით გათვალისწინებულ პირველ გაკვეთილამდე რამდენიმე კვირით ადრე დაავალოს მოსწავლეებს გაზეთებისა და ჟურნალების შეგროვება. მოსწავლეებმა სკოლაში უნდა მოიტანონ ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი მასალა და, აგრეთვე, მასალა, რომელიც ეხება პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებს და რომელსაც დართული აქვს შესაბამისი ფოტომასალა ან ილუსტრაცია. მოსწავლეებს, ასევე, შესაძლებელია მოუწიოთ სკოლაში მაკრატ-

ლების, წებოს და ფერადი საღებავების მოტანაც, თუ სკოლაში ამ ინსტრუმენტთა და მასალის საკმარისი მარაგი არ არის. რეკომენდებულია, მოსწავლეებმა წინასწარ განსაზღვრონ, რა მასალა და ინსტრუმენტები დასჭირდებათ მათ სამუშაოს შესასრულებლად და ერთი კვირით ადრე მოიმარაგონ ყველაფერი.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ჯგუფებში მუშაობას შეუდგებიან, მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს დრო, რათა თავი მოუყაროს ყველა მოსწავლეს ერთად და მათ განიხილონ პროექტის გახორციელების ადრეულ ეტაპზე გაწეულ სამუშაოსთან დაკავშირებული საკითხები. მოსწავლეებს საკუთარი სამუშაოს შეფასებასა და შეჯამებაში დაეხმარება შემდეგი კითხვები:

- რას გავართვით თავი კარგად?
- რაში გვჭირდება დახმარება?
- კარგად გვესმის, რა ფუნქცია გვაკისრია ჯგუფში (კოორდინატორი, მასალაზე პასუხისმგებელი პირი, დროის განრიგზე პასუხისმგებელი პირი)?

მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა განიხილოს დაგეგმილი გამოფენაც. სად უნდა გაიმართოს იგი და როდის? ვის უნდა დაევალოს გამოფენის გახსნა? ვინ უნდა მოვიწვიოთ ღონისძიებაზე? ვინ უნდა შედიოდეს ჟიურის შემადგენლობაში?

გაკვეთილი 4

მოსწავლეთა ჯგუფების მიერ სამუშაოს შესრულების განმავლობაში, რომელიც მოიცავს პირველი გაკვეთილის დასაწყისს, ასევე, მეორე და მესამე გაკვეთილებს, მოსწავლეთა ჯგუფები დამოუკიდებლად მუშაობენ. მასწავლებლის ფუნქცია შემოიფარგლება მოსწავლეების გამხნევებით, რათა მათ მიერ შექმნილი პოსტერები საინტერესოც იყოს, ლამაზიც და შინაარსიანიც. მასწავლებელს შეუძლია, აჩვენოს მოსწავლეებს პოსტერის ნიმუში, მაგრამ არ არის აუცილებელი, მოსწავლეების მიერ შექმნილი პოსტერები ნიმუშად მიწოდებული პოსტერის ზუსტი ასლი იყოს, მოსწავლეებს შეუძლიათ, შეცვალონ ფორმატი ან დაამატონ რაიმე საკუთარი შეხედულებისამებრ. თუმცა მოსწავლეებისათვის ნიმუშად მიწოდებული პოსტერი უნდა შეიცავდეს ყველა საჭირო ელემენტს, რომელიც მოსწავლეებმა საკუთარ პოსტერებში უნდა ასახონ.

ის ჯგუფი, რომელიც დაასრულებს პირველ პოსტერზე მუშაობას, ირჩევს კიდევ ერთ მუხლს და ამზადებს ახალ პოსტერს ამ მუხლში მოცემული უფლების შესახებ.

პროექტზე მუშაობის დასასრულს, მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად განიხილავენ შესრულებულ სამუშაოს. თითოეულმა ჯგუფმა კლასის წინაშე უნდა წარმოადგინოს მის მიერ დამზადებული ერთი პოსტერი. ახლა დგება დრო, როდესაც საჭიროა განვიხილოთ და ავხსნათ, რა სურათი გვაქვს სახეზე ბავშვთა უფლებების თვალსაზრისით მოცემულ მომენტში.

- რა შეიძლება გაკეთდეს არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად?
- ჩვენ რისი გაკეთება შეგვიძლია არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?
- ვის შეიძლება მივაწოდოთ ინფორმაცია და ვინ შეიძლება ჩავრთოთ ამ საქმეში?

მოსწავლეებმა, ასევე, ერთად უნდა გადაწყვიტონ, სად უნდა განთავსდეს ან გამოიფინოს მათ მიერ შექმნილი პოსტერები. კარგი იქნებოდა სპეციალური გამოფენის მოწყობა ბავშვთა საყოველთაო დღის აღსანიშნავად (20 ნოემბერს), ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობაში, ან კარგი იქნებოდა, თუ ამ გამოფენის ორგანიზებას რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია აიღებდა თავის თავზე.

თავი 9
რატომ უნდა დავემორჩილოთ წესებს?

გაკვეთილის გეგმა

	ძირითადი კითხვა/ გაკვეთილის თემა	ძირითადი ამოცანა	რესურსები
მოსამზადებელი ეტაპი	მოსწავლეები აგროვებენ ინფორმაციას სკოლის წესის დარღვევის ან გატარების შემთხვევაზე.	დამოუკიდებელი სამუშაო: ინფორმაციის შეგროვება.	ფორმა მონაცემთა აღნუსხვისთვის.
გაკვეთილი 1	მოსწავლე, რომელსაც პრობლემა აქვს (სიტუა-ცია ანალიზისათვის)	ჯგუფური სამუშაო: კონკრეტული სიტუაციის ანალიზი	სამუშაო ფურცლები „სიტუაცია ანალიზისათვის“.
გაკვეთილი 2	რატომ აქვს სკოლას წესები?	ჯგუფური სამუშაო: სკოლაში მოქმედი წესების განხილვა ბავშვთა უფლებების ჭრილში. საშინაო დავალება: რომელი წესები მოქმედებენ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში?	დიდი ფორმატის ფურცლები და სამუშაო ფურცლები: „რატომ აქვს სკოლას წესები?“ სკოლის წესების ჩამონათვალის ასლები; სამუშაო ფურცლები: „რომელი წესები უნდა დავიცვათ ყოველდღიურად?“
გაკვეთილი 3	რა სიტუაციაში გვჭირდება წესები ყოველდღიურ ცხოვრებაში?	ჯგუფური სამუშაო: ვინ „ქმნის“ და ვინ ატარებს არაფორმალურ წესებს?	
გაკვეთილი 4	ვინ უნდა ქმნიდეს კანონებს? (კანონების შექმნის წესები)	ჯგუფური სამუშაო: რომელი წესები უზრუნ-ველყოფს კანონების სამართლიანობას?	
დამატებითი აქტივობა	შემაჯამებელი განხილვა სკოლის ხელმძღვანელის ან მეთოდისტის მონაწილეობით		

სწავლების მიზნები

სკოლა ჩვენი ცხოვრების ნაწილია — სკოლის წესებს იგივე დატვირთვა აქვს, რაც კანონებს პოლიტიკურ საზოგადოებაში, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვას ემსახურება.

ვსწავლობთ გამოცდილების საშუალებით — ვსწავლობთ მაგალითის გამოყენებით.

პარალელები სკოლის წესებსა და პოლიტიკურ საზოგადოებაში მოქმედ კანონებს შორის:

— ვერც ერთი საზოგადოება ვერ იარსებებს, მის წევრებს შორის არსებული შეთანხმების გარეშე, იმის თაობაზე, რომ საჭიროა, ყველა ექვემდებარებოდეს კანონებს.

- კანონები იცავს სუსტებს. კანონები წარმოადგენს ადამიანისა და ბავშვების უფლებათა დაცვის ინსტრუმენტს.
- კანონები გატარებას საჭიროებს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ კანონები მხოლოდ მაშინ მოქმედებს, თუ ისინი საზოგადოდ არის აღიარებული და მოწონებული. ამ მიზნით, კანონები უნდა იყოს სამართლიანი.

სხვაობა სკოლის საზოგადოებასა და პოლიტიკურ საზოგადოებას შორის:

- კანონების შექმნა და მათი გატარება ძალაუფლების გამოყენებას ნიშნავს. ძალაუფლება კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს. აქედან გამომდინარე, დემოკრატიულ საზოგადოებაში, კანონები უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებათა პრინციპებს, ხოლო კანონების შექმნისა და მათი გატარების ძალაუფლება უნდა იყოს გადანაწილებული და კონტროლდებოდეს.
- სასკოლო საზოგადოებაში სკოლის წესების შექმნასა და მათ გატარებაზე პასუხისმგებლობა აკისრია სკოლის ხელმძღვანელსა და სკოლის შესაბამის პერსონალს, თუმცა (ისევე, როგორც პოლიტიკურ საზოგადოებაში მოქმედი კანონების შემთხვევაში) სკოლის წესების შესახებ უნდა იმართებოდეს დისკუსიები, მათი განხილვა უნდა წარმოებდეს ბავშვთა უფლებების ჭრილში და მოსწავლეები უნდა აცნობიერებდნენ სკოლაში წესების არსებობის აუცილებლობას.

ძირითადი კითხვები ბავშვთა უფლებების შესახებ შეძენილი ცოდნისა და უნარების შესაჯამებლად		
შესახებ	საშუალებით	მიზნით
	მასწავლებელი	
რა იციან მოსწავლეებმა ბავშვთა უფლებების შესახებ?	როგორ და რა საშუალებებით არის დაცული ბავშვთა უფლებები საკლასო გარემოსა და სასკოლო საზოგადოებაში?	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ იმოქმედონ სკოლის გარეთ შექმნილ სიტუაციებში: რა ცოდნა შეიძინეს, რომელიც მათ მომავალ ცხოვრებაში გამოადგებათ?
ბავშვთა უფლებები სახელმწიფო კანონის ნაწილს წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, მათი დაცვა სავალდებულოა. მიუხედავად ამისა, ამ უფლებების სრული განხორციელება არც ერთ სახელმწიფოში არ ხდება.	მოსწავლეები სწავლობენ, როგორ იმოქმედონ, როდესაც ხვდებიან ძალაუფლების არათანაბარ განაწილებას. მოსწავლეები სარგებლობენ მათთვის მინიჭებული უფლებებით, მაგრამ, ამავე დროს, აცნობიერებენ, რომ გარკვეული ზღვარი გააჩნია იმას, რასაც მათ შეუძლიათ მიაღწიონ.	მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანია მიღებული გამოცდილება, რადგან ეს მათ მომავალ ცხოვრებაში დაეხმარება, როგორც ზრდასრულ მოქალაქეებს, რათა მათ თავი გაართვან სამოქალაქო საზოგადოებაში მოლაპარაკებებისას წარმოქმნილ სირთულეებს და გადალახონ პოლიტიკური მარცხი, რომლისგანაც არავინ არის დაზღვეული.
	მოსწავლეები	
რა შევისწავლე ბავშვთა უფლებების შესახებ?	რა გამოცდილება მივიღე კლასში, ბავშვთა უფლებების თვალსაზრისით?	როგორ შემიძლია ვიმოქმედო ამის შემდეგ?
მე ვიცი, რომ უფლებები და მოვალეობები აუცილებელია საზოგადოებაში თანაცხოვრებისათვის. მე აგრეთვე ვიცი, რომ ბავშვთა უფლებებიც ამ ჩარჩოებშია მოქცეული.	მე ვისწავლე, როგორ გავართვა თავი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ მოლაპარაკებებისას წამოჭრილ სირთულეებს. მე ვისწავლე, როგორ გადავლახო იმედგაცრუება და მარცხი.	მე შემიძლია, ვიმსჯელო უფლებებსა და მოვალეობებზე, იმ ცოდნის გამოყენებით, რომელიც მე შევიძინე. მე შემიძლია, მოლაპარაკებები ვაწარმოო და საკითხები განვიხილო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, შემიძლია დავიცვა საკუთარი პოზიცია და, აგრეთვე, მოვუსმინო სხვებს.

დიდაქტიკური მიდგომა

წინამდებარე თავში შესული გაკვეთილები აგებულია ერთი ცენტრალური საკითხის გარშემო, ეტაპობრივად მზარდი სპექტრის პრინციპზე. პირველი გაკვეთილის მსვლელობისას, მოსწავლეები განიხილავენ კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც ირღვევა სკოლის წესი და შემდეგ კი იცავენ მას. მეორე გაკვეთილის მსვლელობისას, მოსწავლეები განიხილავენ, თუ რას ემსახურება სკოლის წესები და მიდიან იმ დასკვნამდე, რომ სკოლის წესები ემსახურება ბავშვთა კონკრეტული უფლებების დაცვას და, აგრეთვე, სკოლის წესები სკოლის ნორმალურად ფუნქციონირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. მესამე გაკვეთილის მსვლელობისას, მოსწავლეების მიერ განსახილველი საკითხი სცდება სკოლაში მიღებული გამოცდილების ფარგლებს და მოსწავლეები განიხილავენ სხვა სფეროებში მოქმედ წესებს. მეოთხე გაკვეთილის მსვლელობისას, მოსწავლეები, წესების განხილვიდან, გადადიან კანონების განხილვაზე და ისინი ცდილობენ, პასუხი გასცენ კითხვას, თუ ვის უნდა ჰქონდეს იმ კანონების შექმნისა და გატარების უფლება, რომელთა შესრულების ვალდებულებაც ყველა ჩვენგანზე ვრცელდება.

მოსამზადებელი სამუშაო

პირველ გაკვეთილამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე, მასწავლებელი მოსწავლეებს შემდეგ დავალებას აძლევს: მოსწავლეებმა უნდა შეაგროვონ ინფორმაცია შემთხვევაზე, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინ მოხდა და რომელიც ეხება მოსწავლის მიერ სკოლაში მოქმედი წესის დარღვევასა და დამრღვევის მიმართ გატარებულ ღონისძიებებს. მოსწავლეებმა მოპოვებული ინფორმაციის შესახებ უნდა აწარმოონ ჩანაწერები, რომლებიც დადგენილ კითხვებზე პასუხების სახით უნდა იქნას შესრულებული. საბედნიეროდ, სკოლის წესების დარღვევის გამო მოსწავლეთა დასჯის შემთხვევები სკოლაში იშვიათია; მოსწავლეები უნდა შეთანხმდნენ იმაზე, თუ რომელ შემთხვევას აირჩევენ ისინი.

რესურსები

ფორმა მონაცემთა აღნუსხვისთვის

ძირითადი კითხვები 1. რა მოხდა? 2. ვინ არის ჩართული მომხდარში? 3. რა ღონისძიებები გატარდა სკოლის წესის დამრღვევის მიმართ?

გაკვეთილი 1: მოსწავლე, რომელსაც პრობლემა აქვს (სიტუაცია ანალიზისათვის)

შესავალი

რამდენიმე მოსწავლე კლასის წინაშე გამოდის მოხსენებით, მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

მოსწავლეებმა უნდა შეძლონ, განსაზღვრონ მოცემულ შემთხვევასთან დაკავშირებული პრობლემის არსი, რა დროსაც საჭირო ხდება საზოგადოებისათვის სკოლის წესების შეხსენება და მათი გატარება. მასწავლებელი ამხნევებს მოსწავლეებს, რათა მათ თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები ამ შემთხვევასთან დაკავშირებით. კომენტარი უნდა გააკეთოს ხუთიდან ათამდე მოსწავლემ. შემთხვევის არსიდან გამომდინარე, მათ მიერ გაკეთებული კომენტარები შესაძლებელია ურთიერთგამომრიცხავი იყოს ან შეიძლება მოსწავლეების გამოსვლებში ერთსულოვნება იგრძნობოდეს (მაგალითად, „ამ ნაბიჯის გადადგმა სავსებით მართებული იყო“, ან „მე ვფიქრობ, ეს სასჯელი არ იყო სამართლიანი ან გადაჭარბებული იყო“).

მასწავლებელი რომელიმე მოსწავლეს სთხოვს, შეაჯამოს მოსწავლეების მიერ ამ შემთხვევის შესახებ გაკეთებული კომენტარები, ან თავად გამოდის კლასის წინაშე შემაჯამებელი სიტყვით. მაგალითისათ-

ვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევა: მოსწავლე რეგულარულად აგვიანებს სკოლაში მოსვლას; მას შემდეგ, რაც მან ამის გამო უამრავი შენიშვნა და გაფრთხილება მიიღო, სკოლამ გადაწყვიტა, არ დაუშვას იგი გაკვეთილებზე.

მოსწავლეთა კომენტარი სხვადასხვა ასპექტს შეიძლება ეხებოდეს: სკოლის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, ყველა მოსწავლემ და მასწავლებელმა ზუსტად დაიცვას განრიგი; მოსწავლის ამგვარი ქცევა არა მარტო სხვა მოსწავლეების ინტერესებს ეწინააღმდეგება, არამედ მისი საკუთარი ინტერესების წინააღმდეგაც არის მიმართული; შესაძლოა, ამ მოსწავლეს პირადი მიზეზი გააჩნია სკოლაში დაგვიანებით გამოცხადებისათვის, ამ შემთხვევაში, მას დახმარება და ხელშეწყობა სჭირდება, და არა დასჯა და მსგავსი ღონისძიებები.

მასწავლებელი მოსწავლეებს ანაწილებს ჯგუფებში და აძლევს მათ შემდეგი ტიპის დავალებას: ერთი შეხედვით მცირედი დარღვევის უკან შესაძლებელია ძალიან სერიოზული პრობლემა იმალებოდეს, რომელიც შემთხვევის დეტალურ შესწავლასა და სათანადო გაანალიზებას საჭიროებს. მასწავლებელი მოსწავლეთა ჯგუფებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს, რომლებზეც ჩამოწერილია კითხვები, რომლებიც შეიცავს იმ კითხვებს, რომლებზეც მოსწავლეებმა უკვე გასცეს პასუხი და აგრეთვე იმ კითხვებს, რომლებზეც მოსწავლეებს ჯერ არ გაუციათ პასუხი და მათ აიძულებს, დაფიქრდნენ სკოლის წესების ფუნქციაზე იმ პრობლემაზე, რომელიც მოცემული დარღვევის უკან იმალება.

ჯგუფის წევრები ერთმანეთს უზიარებენ მოცემული შემთხვევის შესახებ მათ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას და გადააქვთ ინფორმაცია სამუშაო ფურცელზე, რის შემდეგაც უნდა განიხილონ ეს შემთხვევა, განსაკუთრებით, მე-4 და მე-7 კითხვებზე პასუხები, რაც მათ საშუალებას აძლევს, ჩასწვდნენ პრობლემის არსს. მას შემდეგ, რაც ჯგუფის წევრები განხილვას დაასრულებენ, თითოეული ჯგუფის თითო წევრი, რომელიც მომხსენებლის ფუნქციას ასრულებს, უნდა წარსდგეს კლასის წინაშე და გააცნოს სხვა მოსწავლეებსაც ამ ორ კითხვაზე მისი ჯგუფის მიერ გაცემული პასუხები. გაკვეთილის დარჩენილი დრო ამ აქტივობას ეთმობა. მოსწავლეები პრეზენტაციებით უნდა წარსდგნენ კლასის წინაშე მომდევნო, მეორე გაკვეთილის დასაწყისში.

სიტუაცია ანალიზისათვის: მოსწავლე, რომელსაც პრობლემა აქვს
1. რა მოხდა?
2. ვინ აღმოაჩინა მომხდარი და ვინ გაახმოვანა ეს შემთხვევა?
3. ვინ არის ჩართული მომხდარში?
4. რას წარმოადგენს პრობლემა? (რატომ გახდა აუცილებელი სკოლის მუშაობისა თუ ცხოვრების წესის დასაცავად გამოსვლა?)
5. სკოლაში მოქმედი რომელი წესი (წესები) ესადაგება მომხდარს?
6. რა სადამსჯელო ღონისძიებები იქნა გატარებული?
7. რა ზემოქმედება აქვს გატარებულ სადამსჯელო ღონისძიებას სკოლაში მოქმედი წესის დამრღვევ მოსწავლეზე და სხვა მოსწავლეებზე?
8. ...

მასწავლებელს საკუთარი შეხედულების მიხედვით შეუძლია ჩამოაყალიბოს სამუშაო ფურცელზე მოცემული კითხვები, ან დაამატოს მას შეკითხვები, საჭიროების შემთხვევაში.

გაკვეთილი 2: რატომ აქვს სკოლას წესები?

ანალიზისათვის აღებული სიტუაციის განზოგადება: რას წარმოადგენდა პრობლემა? (საერთო საკლასო დიალოგი და ლექცია)

გაკვეთილის დასაწყისში ჯგუფები კლასის წინაშე წარსდგებიან პრეზენტაციებით, რომელიც ორ რაუნდს მოიცავს: პირველი რაუნდის დროს მოსწავლეები სიტყვით გამოდიან მე-4 კითხვის შესახებ (რას წარმოადგენს პრობლემა?), ხოლო მეორე რაუნდის დროს ისინი საკუთარ პრეზენტაციებს აგებენ მე-7 კითხვის პასუხის გარშემო (რა ზემოქმედება აქვს გატარებულ სადამსჯელო ღონისძიებას სკოლაში მოქმედი წესის დამრღვევ მოსწავლეზე და სხვა მოსწავლეებზე?).

მოსწავლეებმა ერთმანეთს გულდასმით უნდა მოუსმინონ. მათ ამოცანას, მოცემულ ეტაპზე, წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რა ასპექტებში ეთანხმებიან მოსწავლეთა ჯგუფები ერთმანეთს და რა ასპექტებში აქვთ მათ განსხვავებული მოსაზრებები. საერთო საკლასო დისკუსიის შემდეგ რაუნდში ზოგიერთ მსმენელს ეძლევა საშუალება, გამოვიდეს კლასის წინაშე და ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება მოსწავლეთა ჯგუფების მიერ გამართულ პრეზენტაციებზე. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს და, საჭიროების შემთხვევაში, აწვდის მათ გარკვეულ ინფორმაციას დამატებით ასპექტებზე.

არა მხოლოდ სკოლაში დაგვიანების შემთხვევასთან დაკავშირებით, არამედ ყველა შემთხვევის განხილვისას, ზოგადად, მოსწავლეები შემდეგ დასკვნამდე მივლენ: ჩვენ ყველა ვსარგებლობთ ადამიანის უფლებებით და სამოქალაქო უფლებებით, რომლებიც ასევე დაცული უნდა იყოს სკოლაში. იმისათვის, რომ სკოლას მიეცეს ამ უფლებათა განხორციელების საშუალება, საჭიროა გარკვეული პირობების შექმნა. რომელიმე მოსწავლე ან მასწავლებელი ამ მოსაზრებას შემდეგნაირად აჯამებს: სკოლა წარმოადგენს ადგილს, სადაც განსხვავებული ასაკის ბევრ ადამიანს უწევს ერთმანეთთან ურთიერთობა და ერთად მუშაობა. ეს პროცესი ორგანიზებასა და მართვას საჭიროებს, რაც სკოლაში მოქმედი წესების აუცილებლობას განაპირობებს, მათ შორის ისეთი წესების, რომლებიც არეგულირებს გაკვეთილების დროულად დაწყებასა და დამთავრებას, ყველა შესაბამისი პირის თანდასწრებით, მათ შორის, მასწავლებლის.

გარდა ამისა, სკოლა ზრუნავს ბავშვებისა და მოზარდების უფლებათა დაცვაზე; უპირველეს ყოვლისა, იგი იცავს მათ უფლებას, მიიღონ განათლება.

ამ თემაზე მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის ლექციის წაკითხვის აუცილებლობა არ არსებობს. ყველა მოსწავლისათვის ნათელი და გასაგებია, რომ სკოლის ძირითად ფუნქციას სწორედ ეს შეადგენს. მოსწავლეებისათვის შესაძლებელია არ იყოს ცნობილი, რომ ისინი სარგებლობენ უფლებით, მიიღონ განათლება, მაგრამ მათთვის აბსოლუტურად გასაგებია, რისთვის დადიან სკოლაში და როგორ უნდა ფუნქციონირებდეს კარგი სკოლა.

სად ჩაეყარა საფუძველი ამ უფლებას? მოსწავლეებს დასჭირდებათ, ჩაიხედონ ბავშვის უფლებების კონვენციაში; თუ მოსწავლეებისათვის იგი უცნობია, საჭიროა, მასწავლებელმა მიაწოდოს მათ ინფორმაცია ამის თაობაზე.

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება ბავშვის უფლებებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია სკოლისათვის.

მასწავლებელი ლექციისას იყენებს ფლიპჩარტს, რომელიც წარმოადგენს მოსწავლეთა იმ სამუშაო ფურცლის გადიდებულ ვარიანტს, რომელზე მუშაობაც მათ მოუწევთ გაკვეთილის შემდეგ ეტაპზე. ფლიპჩარტზე და, შესაბამისად, მოსწავლეებისათვის დასარიგებლად განკუთვნილ სამუშაო ფურცლებზე დატანილი ინფორმაცია, რომელიც ბავშვთა უფლებებს მოიცავს, შემდეგნაირად გამოიყურება:

რატომ აქვს სკოლას წესები?	
ბავშვთა და მოზარდთა უფლებები (1989 წლის კონვენცია)	ჩვენს სკოლაში მოქმედი რომელი წესები ემსახურება მოცემული კონკრეტული უფლების დაცვას?
მუხლი 13: გამოხატვის თავისუფლება	
მუხლი 14: აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება	
მუხლი 24: ჯანმრთელობის დაცვა	
მუხლი 28: განათლების მიღების უფლება, მათ შორის, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა და სკოლაში რეგულარული დასწრების უზრუნველყოფისაკენ მიმართული ღონისძიებები	
მუხლი 31: დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება	
მუხლი 33: ნარკოტიკული საშუალებების ავადმოხმარებისაგან დაცვა	
მუხლი 37: არასათანადო მოპყრობისაგან დაცვა	

მოსწავლეები სკოლაში მოქმედ წესებს განიხილავენ ბავშვთა უფლებების ჭრილში: რისთვის შეიქმნა ეს წესები?

ამჯერად მოსწავლეები ასრულებენ კონკრეტულ სიტუაციაზე საუბარს და სკოლაში მოქმედ წესებს უფრო დაწვრილებით განიხილავენ.

მასწავლებელი გაკვეთილის თემის სათაურს წერს დაფაზე: „რატომ აქვს სკოლას წესები?“ იგი მოსწავლეებს აცნობს დავალებას:

- მოსწავლეები ქმნიან ოთხ-ოთხი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებს. ამ პროცედურას, დაახლოებით, 10-15 წუთი სჭირდება.
- მასწავლებელი ყველა მოსწავლეს აწვდის სკოლაში მოქმედი წესების ჩამონათვალის ასლს.
- თითოეულ ჯგუფს ურიგდება თითო ფლიპჩარტი და მარკერი.

მოსწავლეთა ჯგუფების მიერ შესასრულებელი დავალება:

1. თავდაპირველად მოსწავლეები მუშაობენ დამოუკიდებლად. ისინი ეცნობიან სკოლაში მოქმედ წესებს; ცდილობენ, სადაც ეს შესაძლებელია, სკოლაში მოქმედი წესი დაუკავშირონ ბავშვთა რომელიმე უფლებას.
2. ამის შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად. ისინი თავიანთ მოსაზრებებს უზიარებენ ერთმანეთს და ცდილობენ, შეთანხმდნენ იმაზე, თუ სკოლაში მოქმედი რომელი წესი ბავშვთა რომელი უფლების დაცვას უზრუნველყოფს. მოსწავლეებს საკუთარი დასკვნები და შედეგები გადააქვთ სამუშაო ფურცელზე.

3. იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევთ, რომ სკოლაში მოქმედი არც ერთი წესი არ უზრუნველყოფს ბავშვთა რომელიმე კონკრეტული უფლების დაცვას, კიდევ ერთხელ დაკვირვებით გადაიკითხეთ სკოლის კანონები.

4. მოსწავლეთა ჯგუფები ირჩევენ ჯგუფის ორ წევრს, რომელიც კლასის წინაშე პრეზენტაციით უნდა წარსდგეს.

ვიდრე მოსწავლეთა ჯგუფები დავალებას ასრულებენ, მასწავლებელი მათ ყურადღებით აკვირდება, მაგრამ არ აკეთებს არანაირ კომენტარს და არ უსწორებს მათ შეცდომებს.

ჯგუფის წევრები კლასის წინაშე უნდა წარსდგნენ თავიანთი შედეგებით. მასწავლებელი აკონტროლებს, რომ მოსწავლეთა პრეზენტაცია, ისევე, როგორც ნებისმიერი განხილვა, რომელიც ამ პრეზენტაციებს შეიძლება მოჰყვეს, საღ მსჯელობას ეფუძნებოდეს.

გაკვეთილისათვის განკუთვნილი დროის ბოლო ხუთი წუთის განმავლობაში, მასწავლებელი ცდილობს, მოსწავლეების ყურადღება გაამახვილოს გაკვეთილის ძირითად თემაზე, რომელიც კითხვის სახით არის მოცემული დაფაზე: რატომ გააჩნია სკოლას წესები?

მოსწავლეები, ამ კითხვაზე პასუხად, სავარაუდოდ, შეეცდებიან, შეაჯამონ გაკვეთილის განმავლობაში გაკეთებული დასკვნები: სკოლა უზრუნველყოფს ყველა ბავშვისა თუ მოზარდის იმ უფლების დაცვას, რომელიც მათთვის განათლების მიღების შესაძლებლობების მიცემაში მდგომარეობს. სკოლაში წესების არსებობა მისი ამ ფუნქციის უხარვეზო და ეფექტურ შესრულებას ემსახურება. დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ზოგიერთ მოსწავლეს უკვე ჰქონდეს გაკეთებული მსგავსი დასკვნა გაკვეთილის განმავლობაში, რა დროსაც მასწავლებელმა მათი კომენტარი, რომელიც ამ საკითხს ეხება, დაფაზე უნდა დაიტანოს.

თუ დრო ამის საშუალებას იძლევა, მოსწავლეების მიერ გაკეთებული ამგვარი დასკვნა მასწავლებელმა დაფაზე უნდა გადაიტანოს. ყველა შემთხვევაში, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაკვეთილის ძირითად თემასთან დაკავშირებული კითხვა და შესაბამისი პასუხი, რომელიც მოსწავლეების მსჯელობიდან გამომდინარეობს, სამუშაო რვეულებში შეიტანონ.

დაფაზე წარმოდგენილი დასკვნები შემდეგნაირად შეიძლება გამოიყურებოდეს:

მასწავლებელი მოსწავლეებს, საშინაო დავალების სახით, შემდეგი ამოცანის შესრულებას სთხოვს, რომელიც მათთვის გაკვეთილის განმავლობაში გამოყენებული სამუშაო ფურცლის მეორე მხარეს არის დაბეჭდილი:

ზოგიერთი წინასწარი მოსაზრება	**რატომ აქვს სკოლას წესები?**
წესების გარეშე ვერც ერთი დაწესებულება ვერ იფუნქციონირებს. ჩვენი მიმოსვლა სკოლაში ჩვენს ნებასურვილზე იქნებოდა დამოკიდებული. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა და როგორ უნდა მოვიმოქმედოთ.	ყველა ბავშვსა და მოზარდს აქვს უფლება, მიიღოს განათლება. სკოლაში არსებული წესები უზრუნველყოფს სკოლის შესაბამის მუშაობას, რათა ყველა ბავშვს შეუქმნას განათლების მიღების საუკეთესო შესაძლებლობა.

მასწავლებელი მოსწავლეებს, საშინაო დავალების სახით, შემდეგი ამოცანის შესრულებას სთხოვს, რომელიც მათთვის გაკვეთილის განმავლობაში გამოყენებული სამუშაო ფურცლის მეორე მხარეს არის დაბეჭდილი:

რომელი წესების შესრულება გვიწევს დღის განმავლობაში?
აირჩიეთ კვირის რომელიმე დღე, დასვენების დღეების გარდა. დაწერეთ ამ დღის განრიგი და მიაწერეთ, რომელ დროს რომელი წესის დაცვა გევალებათ. გამოიყენეთ ის წესები, რომლებიც გკარნახობთ, როგორ მოიქცეთ და რა გააკეთოთ, მაგალითად: – როდესაც იმყოფებით სახლში, თქვენს ოჯახთან ერთად; – როდესაც ხვდებით მეგობრებს; – როდესაც რაიმეს ყიდულობთ მაღაზიაში; – როდესაც მოძრაობთ ქალაქში. სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა წესი იქნება მნიშვნელოვანი. დაფიქრდით და გადაწყვიტეთ, რომელი წესები წარმოადგენს დაწერილ, ფორმალურ წესებს და რომელი – დაუწერელ, არაფორმალურ წესებს. მაგალითად, სკოლის წესები ფორმალურ წესებს განეკუთვნება. წესები, რომლებიც გვკარნახობს, როგორ უნდა მოვიქცეთ მაგიდასთან ჯდომის დროს, ან ჩვენი ოჯახის წევრებისა ან მეგობრების გარემოცვაში ყოფნის დროს, განეკუთვნება არაფორმალურ წესებს.

დრო	**წესი**	**ფორმალური/არაფორმალური**
.....		
07:00		
08:00		
09:00		
10:00		
11:00		
12:00		
13:00		
14:00		
15:00		
16:00		
17:00		
18:00		
19:00		
20:00		
21:00		
22:00		
.....		

გაკვეთილი 3: ვინ ქმნის წესებს ყოველდღიურ ცხოვრებაში?

მიზანი

გაკვეთილზე მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ექსპერტების როლში გამოვიდნენ, ვინაიდან მათ საუბარი უწევთ პირად გამოცდილებაზე, რომლის გაანალიზებასაც ისინი ახალი პერსპექტივიდან

შეეცდებიან. შეუძლებელია, წინასწარ იქნას განსაზღვრული, როგორ მოხერხდება მოსწავლეების მიერ ამ შესაძლებლობის გამოყენება, ამგვარად, ჩვენ გთავაზობთ გაკვეთილზე მოვლენების განვითარების შესაძლო კურსს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, კლასის წინაშე ამოიკითხონ მაგალითები მათ მიერ საშინაო დავალების სახით შესრულებული ნამუშევრიდან; თითოეულ მოსწავლეს მოჰყავს ერთი ან ორი მაგალითი. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ის, რომ მოსწავლეების მიერ მოყვანილი მაგალითები შეიცავდეს როგორც ფორმალურ, ასევე, არაფორმალურ წესებს.

მას შემდეგ, რაც ყველა მოსწავლე ამოიკითხავს საკუთარი ნამუშევრიდან მაგალითებს, მასწავლებელი არჩევს ორ მაგალითს და, მათი გამოყენებით, დაფაზე ადგენს მარტივ მატრიცას; ამავდროულად, მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს მათი შემდგომი ამოცანის არსს; ნიმუშად გაწვდით ორ მაგალითს, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ, მაგრამ მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სხვა მაგალითები, რომლებიც მოსწავლეებისათვის კარგად არის ცნობილი და მათ საშუალებას მისცემს, ექსპერტების როლში გამოვიდნენ.

წესის ტიპი	წესის არსი	შედგენილია ... მიერ	გატარებას უზრუნველყოფს ...
ფორმალური წესი (მაგალითად, კანონი):	ქუჩის გადაკვეთა აკრძალულია, როდესაც შუქნიშანი წითლად ანათებს.		
არაფორმალური წესი:	მაგიდასთან ჯდომის დროს არ შეიძლება სკამზე ქანაობა		

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გამოავლინონ თავიანთი ცოდნა და გამოთქვან მოსაზრებები მოყვანილ მაგალითებთან დაკავშირებით. ქუჩაში მოძრაობის წესი — რომელიც სინამდვილეში კანონს წარმოადგენს — აბსულუტურად ნათელია (შემუშავებულია ტრანსპორტის სამინისტროს მიერ და დამტკიცებულია პარლამენტის მიერ (შესულია კანონმდებლობაში)); მის გატარებას უზრუნველყოფს პოლიცია და, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო (მაგალითად, კანონდამრღვევი პირისათვის ჯარიმის დაწესებით). მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს საშუალება, ექსპერტების როლში გამოვიდნენ და რაც შეიძლება ბევრმა მოსწავლემ მიიღოს მონაწილეობა საერთო საკლასო განხილვაში. მოსწავლეების მიერ მოწოდებული ინფორმაცია მასწავლებელს შეაქვს მატრიცაში.

მოსწავლეებისათვის უფრო რთული იქნება, დაასახელონ, ვის მიერ იქნა შემოტანილი არაფორმალური წესი. მოსწავლეებმა შეიძლება ივარაუდონ, რომ ზემოთ მოყვანილ მაგალითში მოცემული წესი (მაგიდასთან მოქცევის წესები) ტრადიციის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს, რომლის დაცვასაც ითხოვენ მათი მშობლები და უფროსები. ზოგიერთი ბავშვი, შესაძლებელია, გვერდსაც კი უვლის ამ წესს! შეიძლება მოსწავლეებმა აღმოაჩინონ, რომ ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, გარკვეული სადამსჯელო ღონისძიებები ტარდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ გვერდით მათი მშობლები ან მასწავლებლები იმყოფებიან. მათ შეიძლება მიუთითონ დარღვევაზე, ან მაგიდიდან ადგომა მოსთხოვონ. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი სადამსჯელო ზომა, ეს არის ცუდი შთაბეჭდილების მოხდენა. თუ მაგალითს ამ კუთხით განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ დაუწერელი, არაფორმალური წესის გატარებაში ყველა ჩვენგანს შეაქვს წვლილი.

თუმცა შესაძლებელია, მოსწავლეების დიალოგმა ამგვარი დასკვნების გაკეთებამდე არ მიიყვანოს ისინი. მოსწავლეებმა შეიძლება მხოლოდ იმაზე დაიწყონ მსჯელობა, თუ ვინ შექმნა და ვინ ატარებს და-

უწერელ წესებს. ყველა შემთხვევაში, მოსწავლეები ექსპერტების როლში არიან, ვინაიდან ამ წესების მაგალითები მათ შეაგროვეს და ეს ის წესებია, რომლებიც მათ ყოველდღიურ ქცევას განაპირობებს.

მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები ერთიანდებიან ოთხი ან ხუთი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებად. მათ ამოცანას წარმოადგენს, ერთმანეთს გააცნონ არაფორმალური წესების ის მაგალითები, რომლებიც მათ თავიანთ სამუშაო ფურცლებზე აქვთ დატანილი და იმსჯელონ, თუ რა საშუალებით შეუძლიათ მათ უზრუნველყონ ამ წესების დაცვა და გატარება.

ამ აქტივობისათვის მოსწავლეებს ეძლევათ 10 წუთი. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, მოსწავლეებმა შედეგები უნდა გააცნონ კლასს.

მოსწავლეების მიერ გაკეთებული დასკვნები და შედეგები შესაძლებელია შემდეგში მდგომარეობდეს: მათი გავლენა საკმაოდ ძლიერია, როდესაც საქმე ეხება თანატოლებთან ურთიერთობას, ხოლო უფროსებთან ურთიერთობისას, მაგალითად, მშობლებთან ან მასწავლებლებთან, მათ ნაკლებად შეუძლიათ უზრუნველყონ ამა თუ იმ წესის დაცვა ან გატარება. მოსწავლეები ასევე მივლენ იმ დასკვნამდე, რომ არაფორმალური წესების შემოღება, ისევე, როგორც შეცვლა, შესაძლებელია მოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ წესი ბევრ კითხვას ბადებს, ან ხშირად ირღვევა, ადამიანებს შეუძლიათ, ახალი წესით ჩაანაცვლონ, რომელიც მათთვის უფრო მისაღები და მოსაწონია.

გაკვეთილის ბოლოს, შემაჯამებელი დისკუსიის დროს, მოსწავლეებმა შეიძლება აღმოაჩინონ, რომ არაფორმალური წესის შესახებ მოლაპარაკებაში მონაწილეობა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობის ტოლფასია და ამგვარი წესის შემოტანა და მისი გატარება ნიშნავს, რომ პიროვნება გარკვეულ ძალაუფლებას ფლობს.

გაკვეთილი 4: ვინ უნდა ქმნიდეს კანონებს? (კანონების შექმნის წესები)

მასწავლებელი, გაკვეთილის დასაწყისში, მოსწავლეებს შეახსენებს იმ აღმოჩენების შესახებ, რომლებიც მათ წინა გაკვეთილზე გააკეთეს. მოსწავლეებმა განიხილეს არაფორმალური წესები და, შესაძლოა, აღმოაჩინეს ის პრობლემებიც, რომლებიც მათ შემოღებასა და გატარებას უკავშირდება. მოსწავლეებმა, აგრეთვე, მოიყვანეს არაფორმალური წესების მაგალითები. მოცემულ გაკვეთილზე მათ მოუწევთ დაფიქრება და მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ იქმნება კანონები.

მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის მაგალითს, რომელიც დიდი ფორმატის ქაღალდზე ან მუყაოს ფურცელზე მარკერით დაწერილ წინადადებას წარმოადგენს.

ყველა კაცი, რომელიც აპრილშია დაბადებული, თავისუფლდება გადასახადების გადახდისაგან.

მოსწავლეებს თავისუფლად შეუძლიათ გააკეთონ კომენტარები მოცემულ მაგალითზე; მასწავლებელს შეუძლია, დაეხმაროს მათ რამდენიმე კითხვის დასმით. მოსწავლეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები უნდა ეხებოდეს შემდეგ ასპექტებს:

- კანონი არ არის სამართლიანი, ვინაიდან იგი არღვევს დისკრიმინაციის დაურღვევლობის პრინციპს.
- იგი გენდერულ დისკრიმინაციასაც კი მოიცავს, ვინაიდან აპრილში დაბადებული მხოლოდ კაცები თავისუფლდებიან გადასახადებისაგან, და არა ქალები;
- აშკარაა, რომ იგი ადამიანთა მხოლოდ მცირერიცხოვანი ჯგუფის ინტერესებს ემსახურება – კაცებისა, რომლებიც აპრილში არიან დაბადებული. ამ ჯგუფს ამის საშუალება რომ მიეცეს, შესაძლებელია, გაუჩნდეს კიდეც ამგვარი კანონის შემოღების სურვილი.

- კანონი ყველას კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს. აქედან გამომდინარე, ამგვარი კანონები მიუღებელია.
- არასამართლიანი კანონები საზოგადოებაში კონფლიქტის გაღვივების საფუძველს ქმნის და შესაძლებელია ამ საზოგადოების ნგრევაც კი გამოიწვიოს.

მასწავლებლის მითითებით, მოსწავლეები ერთიანდებიან ოთხი ან ხუთი მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებად. მათი ამოცანა შემდეგში მდგომარეობს: მოსწავლეებმა უნდა განიხილონ, რა წესები და პრინციპებია საჭირო იმისათვის, რომ არ დაუშვან არასამართლიანი კანონმდებლობის შემოღება. მოსწავლეთა ჯგუფები უნდა შეთანხმდნენ მაქსიმუმ სამ ძირითად წესზე ან პრინციპზე, რომელსაც ისინი შემდგომ სხვა მოსწავლეებს გააცნობენ.

ამ აქტივობისათვის მოსწავლეებს ეძლევათ 10 წუთი. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, მოსწავლეებმა თავიანთი შედეგები უნდა გააცნონ კლასს. ჯგუფების მიერ შემოთავაზებული მოსაზრებები შესაძლებელია ერთმანეთისაგან განსხვავებული იყოს, ან შესაძლებელია ერთმანეთს ემთხვეოდეს.

მოსწავლეებმა კარგად იციან, რომ მათი მოსაზრებები რეალურ პოლიტიკურ ცხოვრებას არ ასახავს და შეიძლება დაინტერესდნენ იმით, თუ როგორ იქმნება კანონები მათ ქვეყანაში. მასწავლებელი მზად უნდა იყოს, პასუხი გასცეს მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებს, მათთვის ამ საკითხის შესახებ მოკლე ლექციის წაკითხვით. ინფორმაცია, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის, განსხვავებული იქნება სხვადასხვა ქვეყანაში. ნიმუშის სახით, ქვევით გაწვდით მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის მისაწოდებელ ინფორმაციას:

ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია მოიცავს ადამიანის უფლებებს, მათ შორის, თანასწორობისა და პიროვნული თავისუფლების პრინციპებს. იგი ასევე შეიცავს მუხლს, რომელიც განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი კანონების შექმნაზე: ეს არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც კანონის მიღებას ხმათა უმრავლესობით ახორციელებს. ამ წარმომადგენლების თანამდებობაზე მოსვლა არჩევნების საშუალებით წარმოებს და, მაშასადამე, მათზე კონტროლს მოქალაქეები ახორციელებენ (იმ შემთხვევაში, თუ კანონის შემოღება მოქალაქეების მიერ პირდაპირი ხმის მიცემით წარმოებს, ამის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მოსწავლეებს).

დამატებითი აქტივობა

იმ შემთხვევაში, თუ გაკვეთილისათვის გამოყოფილი დრო ამის საშუალებას იძლევა და მოსწავლეები გამოთქვამენ ინტერესს, მათ შეუძლიათ, მაგალითის სახით განიხილონ სკოლაში მოქმედი ერთ-ერთი წესი; იმსჯელონ იმის შესახებ, თუ როგორ შემოიღეს და როგორ იცავენ, ან რამდენად ემსახურება იგი ბავშვებისა და მოზარდების უფლებების დაცვას. მოსწავლეებს შეუძლიათ, მოამზადონ პრეზენტაცია ან მოხსენება, რომლითაც ისინი უნდა წარსდგნენ სკოლის ხელმძღვანელის ან მეთოდისტის წინაშე. მოცემული დამატებითი აქტივობა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკოლის ცხოვრებასა და მის ფარგლებში მიმდინარე პროცესებში და, აგრეთვე, გამოიყენონ შეძენილი ცოდნა რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციაში.

ნაწილი II

ძირითადი ინფორმაცია, დოკუმენტები და სასწავლო მასალა

„ეს იმას ნიშნავს, რომ მე მაქვს უფლება, ვისარგებლო დასვენებით, ხომ?“ — ბავშვთა უფლებები საკლასო ოთახში

მაგალითი: ბავშვები სხედან ჯგუფებად. მერხები ჯგუფის წევრებისათვის სამუშაო მაგიდების ფუნქციას ასრულებს; მაგიდებზე დევს კონვერტებში მოთავსებული ბარათები. ერთი მაგიდის გარშემო სხედან „ბაჭიები“, მეორე მაგიდის გარშემო — „დათვები“, ხოლო მესამე მაგიდის გარშემო — „ვეფხვები“. ერთ-ერთი „ბაჭია“ ხსნის მაგიდაზე დადებულ კონვერტს. მასწავლებელი სთხოვს 8 წლის მოსწავლეს, ხმამაღლა წაიკითხოს ბარათზე დაწერილი წინადადება.

„ბაჭია“ კითხულობს: „ბავშვს აქვს უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე უფრო სრულყოფილი მომსახურებით“ და იკავებს თავის ადგილს. მასწავლებელი ახსენებს მას: „ბარათზე რიცხვიც წერია; ჩვენ მათემატიკის გაკვეთილი არ გვაქვს, მაგრამ რიცხვები მნიშვნელოვანია!“ მორჩილი „ბაჭია“ კვლავ დგება „უკანა თათებზე“ და კითხულობს: „მუხლი 24.“ მასწავლებლის სახეზე კმაყოფილებაა აღბეჭდილი. „ბაჭიას“ ახლა შეუძლია, გამოვიდეს დაფასთან. 24-ე მუხლი ბუშტის ფორმის ფერად ქაღალდზეა დაწერილი; „ბაჭია“ ამ ფერად ბუშტს დაფაზე ამაგრებს.

დაფაზე საკმარისი სივრცეა და მასზე ბევრი ბუშტის მოთავსებაა შესაძლებელი. მოსწავლეებს სათითაოდ შეუძლიათ დაამაგრონ დაფაზე ფერადი ბუშტები, რომლებზეც „ბავშვთა უფლებებია“ დაწერილი. მასწავლებელი სიხარულით ადევნებს თვალყურს მათ საქმიანობას. „ეს თქვენი უფლებებია,“ — ამხნევებს იგი მოსწავლეებს და აგრძელებს: „კონვერტებში კიდევ ბევრი უფლებაა მოთავსებული. ყველა მათგანს შესაბამისი ბუშტი აქვს“. მოსწავლეებს ესმით, რა არის მათი ამოცანა; ახლა ისინი მოწადინებულები არიან, გახსნან შემდეგი კონვერტი, გამოვიდნენ კლასის წინაშე, ბუშტი დაფაზე დაამაგრონ და მასწავლებლის შექება დაიმსახურონ. ყველა მათგანი ხელს იწევს.

მოსწავლეები შემდეგი ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში ამით არიან დაკავებული. ახლა „დათვის“ ჯერია; პატარა „დათუნიამ“ უნდა დაიმსახუროს შექება. იგი ხსნის კონვერტს, იღებს იქიდან ბარათს და კითხულობს 30-ე მუხლს: „ბავშვს, რომელიც უმცირესობას მიეკუთვნება, არ შეიძლება უარი ეთქვას უფლებაზე, რომ ეზიაროს საკუთარ კულტურას, აღიაროს თავისი რელიგია და შეასრულოს მისი წეს-ჩვეულებები, აგრეთვე, გამოიყენოს მშობლიური ენა“. შემდეგი მაგიდიდან „ვეფხვი“ კითხულობს: „ბავშვს გააჩნია დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება, მისი ასაკისათვის შესაფერის თამაშობებსა და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება, აგრეთვე, უფლება, თავისუფლად მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში, ეზიაროს ხელოვნებას. მუხლი 31“.

მესამე კლასის მოსწავლეები მხიარულ განწყობაზე არიან; ისინი სიამოვნებითა და ენთუზიაზმით ებმებიან აქტივობაში. კლასში აქტიური მიმოსვლა და ჩურჩულია, ყველას აქვს სურვილი, მასაც მოუსმინონ.

ეს სწავლების კარგი მეთოდია? ბავშვთა უფლებების სწავლების სათანადო მეთოდია?

როგორ უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს ბავშვთა უფლებები?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ელემენტია გასათვალისწინებელი. კარგი სწავლების მიდგომები და კრიტერიუმები დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან და, აქედან გამომდინარე, მზა პასუხი ამ კითხვაზე არ არსებობს. მაგრამ მაინც, მოდით, შევეცადოთ, ვუპასუხოთ შემდეგ კითხვას: როგორ უნდა შევიტანოთ გაკვეთილზე ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლები?

პრინციპში, არანაირი სხვაობა არ შეიძლება არსებობდეს ზოგადად კარგი სწავლების მეთოდებსა და, კონკრეტულად, ბავშვთა უფლებების კარგი სწავლების მეთოდებს შორის. განსხვავება მხოლოდ შემ-

დეგში შეიძლება გამოიხატოს: ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, მოსწავლეთა აქტივობა წარიმართოს მასწავლებლის ინსტრუქციის გარეშე, ვინაიდან თავად მოსწავლეთა აქტივობა გულისხმობას ამას. თუმცა როდესაც მოსწავლეებისათვის ბავშვთა უფლებების სწავლებას ვცდილობთ, გვერდს ვერ ავუვლით სწავლების ისეთ ფორმას, რომელიც მოსწავლეების საჭიროებებს, მათ რეალურ გამოცდილებას და საკითხთან დაკავშირებით წარმოქმნილ მათ კითხვებს უკავშირდება. ავიღოთ ბავშვის უფლებების კონვენციის მე-12 მუხლი. როგორ უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს, რომ მათ აქვთ „თავიანთი შეხედულებების თავისუფლად გამოთქმის უფლება“ და რომ „ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა“? და რას აქვს ბავშვებსა და მოზარდებზე განათლების პროცესსა და სკოლაზე მეტი გავლენა?

ინტერაქტიული სწავლება

ბავშვთა უფლებების სწავლება იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ ეს უფლებები მხოლოდ ფურცელზე დაწერილ ინფორმაციად არ დარჩეს, რომელიც მოსწავლეებმა ზეპირად უნდა ისწავლონ, მათემატიკური ფორმულების ან დროების გამოყენებასთან დაკავშირებული გრამატიკული წესების მსგავსად. ამ ფორმულებისა და წესების სწავლებისას, მკაცრი დიდაქტიკური მიდგომისა და მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების მეთოდის გამოყენების საფუძვლები ბუნდოვანია, ხოლო როდესაც სწავლების საგანს ბავშვთა უფლებები წარმოადგენს, განსაკუთრებით საჭიროა მთლიანად ინტერაქტიული სწავლების მეთოდზე გადართვა. ინტერაქტიული სწავლების მეთოდის გამოყენებით, მიზანი, სულ მცირე, ნახევრად მაინც იქნება მიღწეული. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდის გამოყენება სიახლეს არ წარმოადგენს. ბავშვთა უფლებების სწავლება, სრულყოფილად განხორციელებისათვის, სამ ეტაპს უნდა მოიცავდეს. ჩვენ ამ ეტაპებს შეგვიძლია სწავლების პროცესის კატეგორიებიც ვუწოდოთ.

მოსწავლეებმა უნდა:

- გაიაზრონ და ისწავლონ ბავშვთა უფლებები (ცოდნა);
- აქტიურად ისარგებლონ ბავშვთა უფლებებით (უნარები); და
- ჩამოიყალიბონ თავიანთი ღირებულებები და შეხედულებები (დამოკიდებულებები).

სწავლებისა და სწავლის სფეროში, ცოდნა, დამოკიდებულებები და უნარები წარმოადგენს იმ ძირითად საფუძვლებს, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ და დღესაც ხელმძღვანელობენ მრავალი თაობის მასწავლებლები თავიანთი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას და ვალდებულებების შესრულებისას. მათ შესახებ ყველასათვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ ხანდახან მათი უგულებელყოფის შემთხვევებსაც ვაწყდებით. სწავლება ხშირად ამ კატეგორიათაგან მხოლოდ ერთ-ერთზეა ორიენტირებული, რაც მოსწავლეებს ართმევს გააზრებული სწავლისა და განათლების შესაძლებლობას.

ცოდნა

რა თქმა უნდა, გონივრულია იმის მტკიცება, რომ ბავშვები უნდა ფლობდნენ ცოდნას მათი უფლებების შესახებ. მაგრამ რამდენად გონივრულია მათთვის ამ უფლებების მიწოდება დიდაქტიკური მეთოდებით, მათი ჩართვა ბავშვებისათვის მომაბეზრებელ სავარჯიშოთა წიგნების ჩამონათვალში? უმჯობესია, თავიანთი უფლებების შესახებ ბავშვებმა თავად გააკეთონ აღმოჩენები და თავად გამოიკვლიონ ისინი. ბავშვებს უნდა მივცეთ საშუალება, თავად გამოყონ ძირითადი საკითხები, მოიპოვონ ინფორმაცია მათზე და გაანალიზონ ისინი. ამგვარად, ეს ინფორმაცია საჭიროებს მოპოვებას, დამუშავებას და უამრავ კითხვაზე პასუხის გაცემას; ამისათვის მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ საკუთარ გამოცდილებებზე და დააკავშირონ ისინი მათთვის მიწოდებულ ძირითად ინფორმაციასა და კატეგორიებთან, მათ თავად უნდა გააცნობიერონ წესები, ცნებები და პრინციპები. მოკლედ რომ ვთქვათ, ცოდნის შეძენა შეუძლებელია სათანადო აღქმისა და გაგების გარეშე, ხოლო აღქმა შეუძლებელია შემეცნებითი სტრუქტურების აქტიური კონსტრუირების გარეშე.

უნარები

მოსწავლეებს უნდა მიეცეთ იმის შესაძლებლობა, რომ პრაქტიკაში გამოიყენონ ის, რაც გაიგეს და შეიძინეს ცოდნის სახით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწავლება უნდა მოიცავდეს პროექტის ელემენტებს. სხვა შემთხვევაში, მთელი ძალისხმევა და მცდელობა ძალიან ხელოვნური და რეალურ ცხოვრებას მოწყვეტილი იქნება. ბავშვთა უფლებები რეალურ, ხშირად ძალიან სერიოზულ საკითხებს ეხება და სტიმულს აძლევს მათ, მონაწილეობა მიიღონ მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე სამართლიანობის დამკვიდრებისა და სოციალური ცვლილებების გახორციელებისაკენ სწრაფვაში. ამ მიმართულებით, ისინი პირველ ნაბიჯებს იმ გარემოში დგამენ, სადაც ცხოვრობენ და სწავლობენ: როგორ უნდა მოვაწყოთ სკოლის ეზო, როგორ ვაკონტროლოთ სკოლაში მიმავალი გზის უსაფრთხოება, როგორ უნდა დავიცვათ ისინი ნარკოტიკების ავადმოხმარებისაგან, როგორ ვაკონტროლოთ მათი ქცევა გაკვეთილების მსვლელობისას, როგორი უნდა იყოს გაკვეთილზე მოქცევის წესები, როგორი უნდა იყოს დასვენებისა და გართობის საშუალებები და ა. შ. სკოლაში მიმდინარე სწავლების ყველა ეტაპზე და ყველა დისციპლინის სწავლებისას ამგვარი საკითხების დიდი მრავალფეროვნება იჩენს თავს. არსებითი მნიშვნელობისაა ის, რომ ამ საკითხებზე მუშაობა პირდაპირ და აშკარად უკავშირდებოდეს ბავშვთა უფლებების კონვენციის პრინციპებს. ძალიან ბევრი მასწავლებელი ხელმძღვანელობს ამ პრინციპებით, თუმცა ხშირად ამას გაცნობიერების გარეშე აკეთებენ.

დამოკიდებულებები

სწავლა და მიღებული ცოდნის გამოყენება მიზნისაკენ მიმავალი გზის მხოლოდ ორ მესამედს შეადგენს. თუ მოსწავლეს არ უყალიბდება საკუთარი შეხედულებები, არ ეძლევა საშუალება, გამოხატოს საკუთარი პიროვნული დამოკიდებულებები ან შეცვალოს ის დამოკიდებულებები, რომელიც მას აქამდე გააჩნდა, მისთვის ბავშვთა უფლებების სწავლება იქნება კიდევ ერთი საგანი, რომელიც სხვა, მისთვის არასაინტერესო საგნების ჩამონათვალში აღინიშნება, როგორც გავლილი მასალა, მაშინვე, როგორც კი ის სახელმძღვანელოს დახურავს და მასწავლებლისაგან დადებით შეფასებას მიიღებს.

საჭიროა, მოსწავლეების სიტუაციურ თამაშებში ჩართვისას, მათ მიერ გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრების გამოცდა, ამავდროულად, მოსწავლეები უნდა გავამხნევოთ, აქტიურად შეეცადონ თავიანთი მოსაზრებების დაცვას. უთანხმოებასა და აზრთა სხვადასხვაობის წარმოაქმნას ხელი არ უნდა შევუშალოთ. მასწავლებელმა არ უნდა მოახვიოს თავს მოსწავლეებს, რომელია სწორი მოსაზრება და საკითხისადმი სწორი მიდგომა.

წინსვლისათვის აუცილებელია თუნდაც მცირე ნაბიჯების გადადგმა

მოდით, დავუბრუნდეთ მაგალითს, სადაც მესამე კლასის მოსწავლეებისათვის ბავშვთა უფლებების გაცნობა ბუშტებში ჩასმული ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლების საშუალებით მიმდინარეობს. ჩვენ შეგვიძლია ეს მაგალითი ზემოთ მოცემული, სწავლებისადმი კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი მიდგომის თვალსაზრისით განვიხილოთ. ეს მიდგომა განასხვავებს ცოდნას, უნარების რეალიზებას, დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასა და მოსაზრების გამოხატვას. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემული სტანდარტების ფონზე განხილვისას, ამ გაკვეთილს სრულყოფა აკლდა. თუმცა მოცემული კრიტერიუმების გამოყენება მექანიკურად არ ხდება. ჩვენ არ ვიცით, რა უძღოდა წინ ამ გაკვეთილს და როგორი ფორმა და შინაარსი ექნება მომდევნო გაკვეთილს. ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ამ გაკვეთილში იყო ის, რომ ყველა მოსწავლე აქტიურად იყო ჩართული, მათ მოსწონდათ მხიარული გაკვეთილი და გაკვეთილის მსვლელობისას შესამჩნევი იყო მასწავლებლის ენთუზიაზმი. ამ გაკვეთილის შემდეგ, მოსწავლეთა ცნობიერებაში, ბავშვთა უფლებები ფერად ბუშტებთან, შექებასა და მხიარულებასთან იქნება ასოცირებული, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მათ ბოლომდე არ ესმოდეთ ყველაფერი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც ამ გაკვეთილთან დაკავშირებით უნდა ითქვას, არის ის, რომ გაკვეთილი ჩატარდა გორაძეში 1998 წლის შემოდგომაზე. გორაძე არის ქალაქი ბოსნია და ჰერცოგოვინა-

ში, რომელიც მაშინ მიმდინარე ომის დროს მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს, იზოლირებული და თითქმის ყველასაგან მივიწყებული. ამ ფონზე, გაკვეთილზე, რელიგიის თავისუფლებასა და უმცირესობის უფლებათა დაცვის საკითხებზე მსჯელობა არც თუ მარტივი ამოცანა იყო, როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე, მასწავლებლებისათვის. ამ გაკვეთილთან დაკავშირებულ კიდევ ერთ მომენტზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას. ზარის დარეკვამდე სულ ცოტა ხნით ადრე, მასწავლებელმა კითხვა დაუსვა მე-3 კლასის მოსწავლეებს იმის თაობაზე, თუ რა ისწავლეს ამ გაკვეთილიდან. ერთ-ერთმა გოგონამ, რომელიც „ბაჭიების“ მაგიდას უჯდა, ხელი აიწია და თამამად წარმოთქვა სიტყვები, რომლებმაც მთელი კლასის სიცილი დაიმსახურა: „ მე ახლა ვიცი იმის შესახებ, რომ არსებობს 31-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ მე მაქვს დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ მე მაქვს უფლება ვისარგებლო შესვენებით, ხომ?“

ბავშვთა უფლებების სწავლება: ძირითადი კითხვები, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ სწავლების მეთოდების შერჩევისას

წინამდებარე სახელმძღვანელოში ჩვენ შევეცადეთ, მოგვეწოდებინა ბავშვთა უფლებების სწავლებასთან დაკავშირებული ცხრა მცირე ზომის პროექტის აღწერა, რომლებიც იძლევა იმის საშუალებას, რომ აღწერილი მიდგომები, როგორიცაა, ამოცანაზე დაფუძნებული სწავლა, პრობლემის გადაჭრაზე კონცენტრირება, ინტერაქტიული და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა, სკოლის, როგორც ადამიანისა და ბავშვთა უფლებების პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების მოდელის წარმოჩენა, მასწავლებლის შეხედულების მიხედვით გამოყენებულ და მისადაგებულ იქნას მის მიერვე შერჩეულ ამოცანებსა და საკითხებზე. ამ მიდგომისას გამოყენებული სწავლების მეთოდები მნიშვნელოვან გზავნილს შეიცავს, ხოლო ისეთი მეთოდის შერჩევის კომპეტენცია, რომელიც ესადაგება შესწავლის საგნის შინაარსსა და გარემოს, გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება იქნას გადაჭრილი მეთოდის შერჩევასთან დაკავშირებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, პროექტის მოდულის შემუშავების საშუალებით. ქვემოთ მოცემული ძირითადი კითხვები დაგეხმარებათ სახელმძღვანელოში მოცემული პროექტების მსგავსი სხვა პროექტების შემუშავებაში.

ძირითადი კითხვა	წინამდებარე სახელმძღვანელოში შესული მოდული
შერჩეული თემები და მეთოდები ესადაგება იმ ცოდნის დონეს, რომელსაც მოსწავლეები ფლობენ? მათ დამოკიდებულებებსა და მათ მოლოდინებს?	ეს მასწავლებელმა თავად უნდა გადაწყვიტოს და, ამავდროულად, განსაზღვროს, რა ტიპის ინსტრუქციები დასჭირდებათ მის მოსწავლეებს.
კლასის სტრუქტურა (მაგალითად, გენდერული თანაფარდობა, ეთნიკური წარმოშობა, სწავლის საჭიროებები) წარმოადგენს კლასში სასწავლო გარემოს. მეთოდის შერჩევისას გათვალისწინებულია კლასის სპეციფიკური გარემო?	მხოლოდ მასწავლებელს აქვს ამ კითხვაზე პასუხი. ზოგიერთ კლასში არსებული სპეციფიკური გარემო შეიძლება მოითხოვდეს შესასწავლი თავის მოდიფიცირებას და მის მორგებას გარკვეულ საკითხებსა თუ საჭიროებებზე.
შერჩეული მეთოდები აღვივებს მოსწავლეებში სწავლისადმი იმ ენთუზიაზმს, რომელიც მასწავლებლისათვის დამაკმაყოფილებელია და უწყობს ხელს ამ ენთუზიაზმის შენარჩუნებას?	წინამდებარე სახელმძღვანელოში შესული მოდულებით გათვალისწინებული, ამოცანაზე დაფუძნებული სწავლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობასა და ჩართულობას.
შერჩეული მეთოდები უწყობს ხელს მოსწავლეთა მხრიდან ინიციატივის გამოჩენასა და მათ მიერ საკუთარი სწავლის პროცესების ორგანიზებას?	წინამდებარე სახელმძღვანელოში შესული ყველა მოდული პროექტის სახით არის წარმოდგენილი, მოსწავლეების მიერ შესასრულებელ სამუშაოზე პასუხისმგებლობის აღებასა და სამუშაოსათვის გამოყოფილი დროის განაწილებას გულისხმობს. მოსწავლეების მიერ სამუშაოს შესრულებაზე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა რეალური მარცხის ტოლფასია, რაც, ფართო პერსპექტივით განხილვის შემთხვევაში, სწავლის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სთავაზობს მათ.

ძირითადი კითხვა	წინამდებარე სახელმძღვანელოში შესული მოდული
შერჩეული მეთოდები აძლევს მოსწავლეებს იმის საშუალებას, რომ შეაჯამონ და შეაფასონ საკუთარი გამოცდილება და ქმედებები?	წინამდებარე სახელმძღვანელოში შესულ ყველა მოდულში გათვალისწინებულია შემაჯამებელი ეტაპი და ზოგიერთი მათგანი მოსწავლეებისაგან სწავლის პროცესში შეძენილი გამოცდილების შესახებ კომენტარის გაკეთებას მოიცავს.
შერჩეული მეთოდები აძლევს საშუალებას მოსწავლეებს, სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილონ პრობლემები და თემები?	თავი 1 — მე მაქვს სახელი. მოსწავლეები აცნობიერებენ, თუ როგორ აღიქვამენ ერთმანეთს და რომ ყოველი ადამიანი განუმეორებელ და უნიკალურ პიროვნებას წარმოადგენს. თავი 8 — პოსტერი. მიმდინარეობს ბავშვთა უფლებებიდან შერჩეული ერთ-ერთი უფლების ანალიზი სხვადასხვა პერსპექტივიდან.
შერჩეული მეთოდები უწყობს ხელს კრიტიკულ აზროვნებასა და მოსწავლეებს შორის დისკუსიის გამართვას?	წინამდებარე სახელმძღვანელოში შესული ყველა მოდული ითვალისწინებს დისკუსიას და მოითხოვს კრიტიკულ მიდგომასა და აზროვნებას.
შერჩეული მეთოდები გულისხმობს სწავლას „გონებით, გულითა და ხელით“?	ხელოვნების ნაწარმი, საგანძურის ყუთი, ჩვენ ჯადოქრები ვართ.
შერჩეული მეთოდები აძლევს მოსწავლეებს იმის საშუალებას, რომ თავიანთი კომპეტენციები გამოსცადონ?	სწავლა მიმდინარეობს სხვადასხვა გარემოში (დამოუკიდებელი მუშაობა, მუშაობა ჯგუფებში თანამშრომლობის საფუძველზე, საერთო საკლასო განხილვები). პროექტების შედეგს წარმოადგენს რაიმე პროდუქტი. სწავლის პროცესებისა და შედეგების შეჯამება მოსწავლეებს ეხმარება, გააცნობიერონ თავიანთი წარმატებები და მიღწევები.
შერჩეული მეთოდები, სწავლის შესაძლებლობების თვალსაზრისით, სხვადასხვა კატეგორიის მოსწავლეებს აძლევს სხვადასხვა გზით სწავლის საშუალებას (კონსტრუქტივისტული სწავლა)?	სწავლის პროცესში ინდივიდუალური მუშაობის გარემო და აქტივობების ფართო სპექტრი სწავლის შესაძლებლობების თვალსაზრისით განსხვავებულ მოსწავლეებს აძლევს იმის საშუალებას, რომ ისწავლონ თავიანთი საჭიროებების შესაბამისად.
შერჩეული მეთოდები უზრუნველყოფს მოსწავლეებში ძირითადი უნარების განვითარებას (მაგალითად, ინფორმაციის შეგროვება, პრეზენტაციების გამართვა, პროექტის დაგეგმვა, გუნდური მუშაობა)?	ძირითადი უნარების განვითარების საუკეთესო საშუალებას პროექტზე მუშაობა წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას, პრეზენტაციების გამართვას, პროექტის დაგეგმვას, გუნდურ მუშაობას.

ზოგიერთი ხშირად დასმული შეკითხვა ბავშვის უფლებების შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციასთან დაკავშირებით

რას წარმოადგენს იგი?

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას ადამიანის უფლებათა შესახებ, რომელიც ახალგაზრდა თაობას ეხება. იგი მიღებულ იქნა 1989 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე. კონვენცია მოიცავს 41 მუხლს, რომელიც ეხება ბავშვების უფლებებს, 1 მუხლს, რომელიც საზოგადოების ინფორმირების დონისა და ცნობიერების ამაღლებას ემსახურება და 12 მუხლს, რომელიც კონვენციაში შესული დებულებების დაცვის კონტროლს, კონვენციის რატიფიცირებასა და მის გატარებას ეხება. ბავშვის უფლებების კონვენციას ხელს აწერს უფრო მეტი ქვეყანა, ვიდრე რომელიმე სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვას ემსახურება. 1996 წლის იანვრისათვის მასზე უკვე 187 ქვეყანას ჰქონდა ხელი მოწერილი ან რატიფიცირებული ჰქონდა აღნიშნული დოკუმენტი.

ამრიგად, რას წარმოადგენს ტერმინი „ბავშვი“ კონვენციის მიხედვით?

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმარტებით, ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი, რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას. ასეა ნათქვამი კონვენციის პირველ მუხლში.

როგორ მოქმედებს კონვენცია?

მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ წარმოადგენს სახელმწიფო კანონს, მოცემული კონვენციის პრინციპები ასახული უნდა იყოს იმ ქვეყნების სახელმწიფო კანონმდებლობაში, პოლიტიკასა და პროგრამებში, რომლებიც ხელს აწერენ მას. ამ ქვეყნების მთავრობები ვალდებული არიან, რეგულარულად წარადგინონ ანგარიშები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე, კონვენციის მუხლებით გათვალისწინებული დებულებების გახორციელებაში მიღწეული პროგრესის შესახებ. ანგარიშების წარდგენის სისტემა ქვეყნების მთავრობებზე განხორციელებული კონტროლის საშუალებას წარმოადგენს, რათა ამ ქვეყნებში ადგილი არ ჰქონდეს ბავშვების უფლებების დარღვევის შემთხვევებს.

რა გავლენა აქვს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას ბავშვის უფლებების შესახებ?

გაეროს მოცემული კონვენციის რატიფიცირებით, ქვეყნის მთავრობა საკუთარ თავზე იღებს ვალდებულებას, პატივი სცეს 18 წლამდე ასაკის ადამიანთა უფლებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ ეძლევათ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ იმ საკითხების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში, რომლებიც მათ ეხება, სახელმწიფო ზრუნავს მათი სიცოცხლის შენარჩუნებასა და მათ დაცვაზე ნებისმიერი ზიანისაგან. კონვენციის მე-4 მუხლში ნათქვამია, რომ კონვენციაზე ხელმომწერი და, მაშასადამე, მონაწილე სახელმწიფოები ყველა სათანადო ზომების მიღებით ეცდებიან, განახორციელონ კონვენციით აღიარებული უფლებები, გარდა ამისა, იქვე ნათქვამია, რომ მონაწილე სახელმწიფოები ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა რეალიზაციისათვის ღებულობენ ზომებს, მათ ხელთ არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით. როდესაც ჩვენთვის ცნობილია, რა წერია და რა იგულისხმება კონვენციაში, ჩვენ შეგვიძლია უზრუნველვყოთ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა დაკანონება და წესად ქცევა, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ბავშვების მიმართ მოპყრობას.

ბავშვთა უფლებები – ადამიანის უფლებათა დაცვის პროცესის ნაწილი

ბავშვთა უფლებები და ის სტანდარტები, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს ყველა სახელმწიფო, უკლებლივ ყველა ბავშვისათვის ამ უფლებათა რეალიზაციის თვალსაზრისით, ყველაზე კონკრეტულად და სრულყოფილად ადამიანის უფლებათა შესახებ არსებულ ერთ საერთაშორისო ხელშეკრულებაშია ჩამოყალიბებული, ეს არის ბავშვის უფლებების კონვენცია. მოცემული კონვენცია ისტორიაში ყველაზე ფართოდ და საყოველთაოდ მიღებულ ინსტრუმენტს წარმოადგენს, ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტებს შორის - მას ხელს აწერს მსოფლიოს ყველა ქვეყანა, ორი ქვეყნის გამოკლებით - და, შესაბამისად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო რეალიზაციისაკენ სწრაფვის საქმეში, ბავშვთა უფლებების დაცვა უმნიშვნელოვანეს და ცენტრალურ ადგილს იმკვიდრებს. მოცემული დოკუმენტის რატიფიცირებით, სახელმწიფოთა მთავრობები საკუთარ თავზე იღებენ ვალდებულებას, თავად დაიცვან და ყველა შესაძლო საშუალებით უზრუნველყონ ბავშვთა უფლებების დაცვა და, აგრეთვე, ისინი თანხმდებიან, ანგარიშვალდებულნი იყვნენ ან მიმართულებით მათ მიერ გადადგმული ნაბიჯებისა თუ მიღწევების შესახებ, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე.

მიუხედავად განსხვავებული სამართლებრივი სისტემებისა და კულტურული ტრადიციებისა, ბავშვის უფლებების კონვენცია საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული სტანდარტებისა და ვალდებულებების კრებულს წარმოადგენს, რომელიც არ ექვემდებარება მოლაპარაკებებს. მასში ასახულია ადამიანის ის ძირითადი უფლებები, რომლებიც, მსოფლიო მასშტაბით, განურჩევლად ყველა ბავშვს ეკუთვნის:

- სიცოცხლის შენარჩუნების უფლება;
- სრულყოფილი და ჯანსაღი განვითარების უფლება;
- საზიანო ზემოქმედებისაგან, არასათანადო მოპყრობისა და ექსპლუატაციისგან დაცვის უფლება;
- ოჯახის, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული მონაწილეობის უფლება.

ყოველი უფლება, რომელიც შესულია აღნიშნულ კონვენციაში, წარმოადგენს ხელშეუვალ უფლებას, რომელიც ადამიანური ღირსების შენარჩუნებისა და ბავშვის ჰარმონიული განვითარების საფუძველს ქმნის. კონვენცია ბავშვთა უფლებების დაცვას უზრუნველყოფს, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სამართლებრივ, სამოქალაქო და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში სტანდარტების დაწესების საშუალებით. ეს სტანდარტები ერთგვარ ნიშნულებს ანუ საზომს წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ხდება ქვეყნების მიღწევების ამ თვალსაზრისით შეფასება. კონვენციაზე ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებული არიან, ნებისმიერი ქმედებისა თუ პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისას, იხელმძღვანელონ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებით.

ბავშვის უფლებების კონვენცია წარმოადგენს საერთაშორისო მასშტაბით სავალდებულო პირველ ინსტრუმენტს, რომელშიც გაერთიანებულია ადამიანის უფლებათა სრული სპექტრი – სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, ისევე, როგორც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. შემუშავებულ და მიღებულ იქნა ორი დამატებითი ოქმი, რომელთაგანაც ერთი ეხება შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობასა და ბავშვებით ვაჭრობას, ხოლო მეორე – ბავშვთა პროსტიტუციასა და ბავშვთა პორნოგრაფიას, აღნიშნული ოქმების დამატება ემსახურებოდა კონვენციის იმ დებულებათა გამყარებას, რომლებიც ამ სფეროს ეხება. აღნიშნული ოქმები ძალაში შევიდა 2002 წლის 12 თებერვალსა და 2002 წლის 18 იანვარს, შესაბამისად.

თანამედროვე საზოგადოების განვითარების დონე კიდევ ერთ კითხვას აჩენს: თავისუფლების უფლება პლურალისტური საზოგადოებების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რაც სეკულარიზაციისა და ინდივიდუალური ცხოვრების წესის მაღალ დონეს განაპირობებს. ამგვარ საზოგადოებაში როგორ უნდა უზრუნველვყოთ მინიმალური კონსენსუსი იმ ძირითად ღირებულებებზე, რომლებიც საერთო იქნება ყველა მოქალაქისათვის?

ადამიანის უფლებებმა და ბავშვთა უფლებებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენი მსოფლიოს გაუმჯობესების საქმეში, მსოფლიო გახდა ადგილი, სადაც ცხოვრება უფრო უსაფრთხო და ჰუმანურია, ვიდრე აქამდე იყო და, ასევე, დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო მასშტაბით პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სისტემების მოდერნიზების საქმეში. თუმცა არ უნდა დავუშვათ, რომ ეს უფლებები ოდესმე ყურადღების მიღმა დარჩეს, ყოველმა ახალმა თაობამ საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს მათ განვითარებაში, ახალ შეთანხმებებს მიაღწიოს მათ შესახებ და იბრძოლოს მათ დასაცავად, რათა აღასრულოს ადამიანის უფლებებისა და ბავშვთა უფლებების საყოველთაო დოკუმენტებში ჩადებული პირობა.

ადამიანის უფლებებს, რომლებსაც ეფუძნება ბავშვთა უფლებები, ხანგრძლივი ტრადიცია აქვს, მათ წინამორბედად გვევლინება მსოფლიოს უდიდესი რელიგიები და ფილოსოფია. თანამედროვე ადამიანის უფლებებს განმანათლებლობის ხანაში ჩაეყარა საფუძველი და სათავე დაუდო ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციებს. დღეს ისინი უფლებათა შესახებ კანონების სახით არის შესული თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნების დაწერილ თუ დაუწერელ კონსტიტუციებში. მათი არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში ადამიანის უფლებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ძლიერთა წინაშე სუსტების დაცვის საქმეში. სწორედ ამ ასპექტშია ბავშვთა უფლებები ყველაზე მნიშვნელოვანი: მცირეწლოვანები განეკუთვნებიან იმ ჯგუფებს, რომელთა სამართლებრივი სტატუსი აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე ძალიან სუსტია.

ადამიანის უფლებათა დაცვის როგორც სტიქიურად მიმდინარე, ასევე, ეტაპობრივმა პროცესმა, სათავე დაუდო ადამიანის უფლებათა შემდგომი თაობის დოკუმენტების ჩამოყალიბებას, როგორიცაა კლასი-

კური უფლებები, სოციალური უფლებები, რომლებიც თანასწორობის ღირებულებაზეა კონცენტრირებული და ეკოლოგიური და საზოგადოებრივი უფლებები, რომლებზე მსჯელობაც დღევანდელ დღემდე გრძელდება და რომლებიც მოიცავს განვითარებისა და ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს, მზარდი გლობალიზაციის პირობებში, ერთიან მსოფლიოში, და ბოლოს, ბავშვთა უფლებები.

ადამიანის უფლებებზე და ბავშვთა უფლებებზე მუშაობა, მათი დახვეწისა და განვითარების მიზნით, კვლავ გრძელდება და ალბათ მუდამ გაგრძელდება: ადამიანის უფლებებისა და ბავშვთა უფლებების საყოველთაო ხასიათი არაერთხელ დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ. დიქტატორული და დესპოტური რეჟიმების მიერ ადამიანის უფლებებისა და ბავშვთა უფლებების ხელყოფის შემთხვევები მრავლად არის მთელ მსოფლიოში; გარდა ამისა, თანამედროვე საზოგადოებისა და ტექნოლოგიების განვითარების დინამიკა ახალ-ახალ საფრთხეებს ქმნის, ახალ კითხვებს წარმოშობს და ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს. მაგალითად, როგორ შეიძლება დავიცვათ კომუნიკაციის კონფიდენციალობა ინტერნეტის ხანაში?

ადამიანის უფლებებმა უდიდესი დატვირთვა და მნიშვნელობა შეიძინა და საერთო ეთიკის საფუძვლად და ჩარჩოდ იქცა მას შემდეგ, რაც მათი გაერთიანება მოხდა კანონთა კრებულის სახით ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია და ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანის უფლებათა შესახებ. ეს დოკუმენტები წარმოადგენს იმ ერთადერთ ღირებულებათა კრებულს, რომელსაც აქვს პერსპექტივა, საყოველთაოდ იქნას მიღებული და აღიარებული მსოფლიო საზოგადოების მიერ.

თუმცა სახელმწიფოს შეუძლია, არამართებულად გამოიყენოს საკუთარი სუვერენიტეტის უფლება და ამით გაამართლოს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და ბავშვთა უფლებების დარღვევები საკუთარ მოქალაქეებთან ურთიერთობაში. აქედან გამომდინარე, უპასუხოდ რჩება კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა უზრუნველვყოთ ადამიანის უფლებებისა და ბავშვთა უფლებების დაცვა დღევანდელ მსოფლიოში, რომელიც სუვერენული, როგორც დემოკრატიული, ასევე, დიქტატორული სახელმწიფოებისაგან შედგება. როგორც ჩანს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია სრულყოფას საჭიროებს, რათა დაცული იყოს მშვიდობა არა მარტო სახელმწიფოებს შორის, არამედ სახელმწიფოებს შიგნითაც.

ბავშვთა უფლებები – ბუნებრივი უფლებები

ადამიანის უფლებები საყოველთაო უფლებებს წარმოადგენს. მათი დაცვა და უგულებელყოფა მათი პირობის დარღვევაში გამოიხატება. ეს უფლებები განუყოფელია, დაუშვებელია მათი ქცევა ვაჭრობის საგნად, მათი აღქმა მხოლოდ დასავლური სამყაროს პოლიტიკური კულტურის ნაწილად.

ადამიანის უფლებები ბუნებრივ უფლებებს წარმოადგენს - ისინი ხელშეუვალია. ამრიგად, არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება მიანიჭოს ან ჩამოართვას მის მოქალაქეებს თუ არამოქალაქეებს ეს უფლებები, მათ შეუძლიათ, მხოლოდ აღიარონ და დაიცვან ისინი. ადამიანის უფლებები გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს პიროვნებაზე, და არა პირიქით. ადამიანის უფლებებით სარგებლობს უკლებლივ ყველა ადამიანი, მიუხედავად ასაკისა, სქესისა, ეთნიკური წარმომავლობისა, ეროვნებისა და ა.შ.

თუმცა ადამიანის უფლებები ვალდებულებებსაც მოიცავს. მაგალითად, ადამიანის უფლება, იყოს თავისუფალი, წონასწორობაში უნდა იყოს სხვების უფლებასთან, იყვნენ თავისუფალნი. თავისუფლების უფლებით სარგებლობა არ ნიშნავს სხვების თავისუფლების უფლების შეზღუდვას. მაგალითად, გამოხატვის თავისუფლება არ გულისხმობს სხვების შეურაცხყოფის უფლებას. ზოგიერთ ქვეყანაში საკუთრების უფლება, რომელიც ვრცელდება ფაბრიკა-ქარხნებსა და წარმოების საშუალებებზე, დაბალანსებულია კანონით, რომელიც აკონტროლებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეიძლება ეხებოდეს დაქირავებულთა უფლებებს. ადამიანის უფლებათა დაბალანსებისა და შეზღუდვის საკითხები მუდმივად დგას განსახილველ თუ სადავო საკითხთა დღის წესრიგში, რომლებიც საჭიროებენ მოგვარებას პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურებისა თუ კონსტიტუციური იურისდიქციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების საშუალებით. ამით აიხსნება ადამიანთა უფლებების სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების შექმნა დემოკრატიული ქვეყნების მიერ მსოფლიო მასშტაბით.

როგორ შეიქმნა ბავშვთა უფლებები

1945 წელი	მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს ბევრი ქვეყნა გაერთიანდა და შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია – გაერო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სურვილს წარმოადგენდა მსოფლიოში მშვიდობისა და თავისუფლების დამკვიდრება.
1948 წლის 10 დეკემბერი	ამ დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. ამ დეკლარაციაში შესულ უფლებებში, რომელიც მსოფლიოში ყველა ადამიანის უფლებებს წარმოადგენს, მოიაზრებოდა ბავშვების უფლებებიც. ძალიან მალე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბავშვები განსაკუთრებულ დაცვასა და მზრუნველობას საჭიროებდნენ.
1950 წელი	მომზადდა ბავშვთა უფლებების დოკუმენტის პირველი პროექტი, რომლის შესახებ მსჯელობაც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის, რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა.
1959 წლის 20 ნოემბერი	ამ დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო დეკლარაცია ბავშვის უფლებების შესახებ. ამგვარი დეკლარაცია სახელმწიფოების მხრიდან ვალდებულების შემცველ დოკუმენტს არ წარმოადგენს, მაგრამ მისი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ყველა სახელმწიფოსათვის წარმოადგენს რეკომენდაციას, რომლითაც მათ შეუძლიათ ისარგებლონ შემდგომი პოლიტიკის შემუშავებისას.
1979 წელი	მსოფლიო მასშტაბით ეს წელი გამოცხადდა ბავშვის წლად. ბავშვთა უფლებების შესახებ დისკუსიები იმართებოდა ყველგან. ბავშვების კეთილდღეობით დაინტერესებული დღითიდღე სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი გამოთქვამდა სურვილს, ბავშვთა უფლებები უფრო დეტალურად ყოფილიყო შემუშავებული და, რაც ყველაზე მთავარია, სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტის სახე მიეღო.
1989 წლის 20 ნოემბერი	ამ დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო ბავშვის უფლებების კონვენცია, ან, როგორც ჩვენ ვუწოდებდით მას, შეთანხმება ბავშვის უფლებების შესახებ. ამ დღიდან მოყოლებული, მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფომ ხელი მოაწერა კონვენციას ბავშვის უფლებების შესახებ. ამ დოკუმენტზე ხელის მოწერით, სახელმწიფოების მთავრობებმა აიღეს ვალდებულება, ბავშვთა უფლებების შესახებ ინფორმაცია გაევრცელებინათ თავთავიანთ ქვეყნებში, დაეცვათ ეს უფლებები და განსაკუთრებული მზრუნველობა გამოეჩინათ ბავშვების მიმართ. მაგრამ მსოფლიოში ჯერ კიდევ არის ადგილები, სადაც ბავშვებს უსამართლოდ ეპყრობიან. ყოველი ჩვენგანი პასუხისმგებელი და ვალდებულია, მიიღოს ზომები, რათა მთელ მსოფლიოში ყველა ბავშვი სარგებლობდეს მათთვის მინიჭებული უფლებებით.

ბავშვის უფლებათა დეკლარაცია (1959 წლის 20 ნოემბერი)

პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც ბავშვის განსაკუთრებული უფლებები იქნა მოხსენიებული, იყო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წელი), კერძოდ, მისი 25-ე (2) მუხლი, რომელშიც ნათქვამია: „დედობა და ჩვილი ყრმის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას."

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციას, რომელიც არ შეიცავს ვალდებულებებს. საჭიროა, იგი განვასხვაოთ ბავშვის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტისაგან, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ, წინამდებარე დოკუმენტის საიუბილეო წლისთავზე იქნა მიღებული, 1989 წლის 20 ნოემბერს და რომელიც წარმოადგენს სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტს მასზე ხელის მომწერი 176 სახელმწიფოსათვის.

პრინციპი 1

ბავშვს უნდა ჰქონდეს ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება. თითოეული ბავშვი აღჭურვილია ამ უფლებებით მისი ან მისი ოჯახის წევრების კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობის საფუძველზე, რაიმე განსხვავების ან დისკრიმინაციის, ან რაიმე გამონაკლისის გარეშე.

პრინციპი 2

ბავშვი ექვემდებარება განსაკუთრებულ დაცვას. საჭიროა საკანონმდებლო და სხვა შესაბამისი გზების მოძიება, რათა ბავშვს მიეცეს შესაძლებლობა და საშუალებები, განვითარდეს ფიზიკურად, გონებრივად, მორალურად, სულიერად და სოციალურად ჯანსაღი და მისაღები ფორმით, თავისუფლებისა და პატივისცემის ატმოსფეროში.

პრინციპი 3

ბავშვი დაბადებიდანვე აღჭურვილია სახელისა და ეროვნების უფლებით.

პრინციპი 4

ბავშვი უნდა იყოს სოციალურად დაცული. მას აქვს ჯანსაღ გარემოში აღზრდისა და განვითარების უფლება; ამ მიზნით, როგორც ბავშვი, ისე დედა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს განსაკუთრებული მზრუნველობითა და დაცვით როგორც ბავშვის დაბადებამდე, ისე მისი დაბადების შემდგომ პერიოდში. ბავშვს აქვს სათანადო კვების, საცხოვრებლის, დასვენებისა და სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება.

პრინციპი 5

ფიზიკურად, გონებრივად ან სოციალურად არასრულფასოვანი ბავშვი აღჭურვილია მისი მდგომარეობის შესაფერისი განსაკუთრებული მოპყრობის, განათლებისა და მზრუნველობის მიღების უფლებით.

პრინციპი 6

ბავშვი, მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის, საჭიროებს სიყვარულსა და გაგებას. იგი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა იზრდებოდეს მშობლების ყურადღებისა და პასუხისმგებლობის ქვეშ და, ნებისმიერ შემთხვევაში, სიყვარულისა და მორალური თუ მატერიალური დაცვის ატმოსფეროში; მცირეწლოვანი ბავშვი, განსაკუთრებული გარემოებების გარდა, არ უნდა იქნას დედისაგან დაშორებული. საზოგადოებასა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ევალებათ ოჯახისა და საარსებო საშუალებების გარეშე დარჩენილ ბავშვებზე ზრუნვა. სახელმწიფოს მხრიდან სასურველია მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ფინანსური და სხვაგვარი დახმარების აღმოჩენა.

პრინციპი 7

ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება, რომელიც დაწყებით დონეზე მაინც უფასო და სავალდებულო უნდა იყოს. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის ზოგადი კულტურის დონის ამაღლებას, თანაბარი შესაძლებლობების პირობებში მისი უნარის, მასში დამოუკიდებელი აზროვნებისა და მორალური და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას, რათა იგი აქციოს საზოგადოების სრულფასოვან წევრად. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მის აღზრდასა და განათლებაზე პასუხისმგებელი ყველა პირისათვის სახელმძღვანელო პრინციპია; ეს პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, ეკისრებათ მშობლებს.

ბავშვს აქვს თამაშისა და დასვენების უფლება, რომელიც მიმართული უნდა იყოს იმავე მიზნის განხორციელებისაკენ, რომელსაც ისახავს მისი განათლება; საზოგადოებამ და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა ამ უფლების განხორციელებისაკენ უნდა მიმართონ თავიანთი ძალისხმევა.

პრინციპი 8

ბავშვი, ნებისმიერ გარემოებაში, პირველი იღებს დაცვასა და დახმარებას.

პრინციპი 9

ბავშვი დაცული უნდა იყოს უგულებელყოფის, სასტიკი მოპყრობისა და ექსპლუატაციისაგან. იგი არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე ფორმის იძულებით დაქირავებულ შრომას.

არ შეიძლება ბავშვის შრომის გამოყენება, სანამ იგი შესაბამის მინიმალურ ასაკს არ მიაღწევს; არ შეიძლება ბავშვის იძულება ან მისთვის ნების დართვა, დაიკავოს ადგილი ან ეწეოდეს შრომით საქმიანობას, რომელიც მის ჯანმრთელობაზე ან განათლებაზე უარყოფითად მოქმედებს ან ხელს უშლის ფიზიკურ, გონებრივ ან მორალურ განვითარებას.

პრინციპი 10

ბავშვი დაცული უნდა იყოს ისეთი ჩვეულებების გავლენისაგან, რომლებიც აღვივებს რასობრივ, რელიგიურ და სხვა ფორმის დისკრიმინაციას. იგი უნდა იზრდებოდეს ურთიერთგაგების, შემწყნარებლობის, ხალხთა შორის მშვიდობისა და საყოველთაო ძმობის სულისკვეთებით, სრული გაცნობიერებით, რომ მისი ენერგია და ნიჭი ეძღვნება თანამედროვეობის სამსახურს.

კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ

მიღებულია და ღიაა ხელმოსაწერად გენერალური ასამბლეის
1989 წლის 20 ნოემბრის რეზოლუციით 44/25

49-ე მუხლის თანახმად, ძალაში შედის 1990 წლის 2 სექტემბერს

პრეამბულა

წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები,

მიაჩნიათ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად საზოგადოების ყველა წევრის ღირსების, თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება ქვეყნად თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საფუძველია,

ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ფასეულობებისადმი, და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების დონის ამაღლებას მეტი თავისუფლების პირობებში,

აღიარებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა საყოფელთაო დეკლარაციაში და ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტებში გამოაცხადა და დაეთანხმა იმას, რომ ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს ამ დოკუმენტებში მითითებული ყველა უფლება და თავისუფლება რა განსხვავებაც უნდა იყოს ისეთი ნიშნების მიხედვით, როგორიცაა რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებანი, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობა, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება თუ სხვა გარემოებანი,

აღნიშნავენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გამოაცხადა, რომ ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული ზრუნვისა და დახმარების უფლება.

დარწმუნებული არიან, რომ ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი, და ბუნებრივი გარემოცვა ყველა მისი წევრისა და განსაკუთრებით ბავშვების აღზრდისა და კეთილდღეობისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საჭირო დაცვითა და ხელშეწყობით, რათა შეეძლოთ მთლიანად იკისრონ ვალდებულებანი საზოგადოების ფარგლებში,

აღიარებენ, რომ ბავშვი, მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის, უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოცვაში, ბედნიერების, სიყვარულისა და გაგების ატმოსფეროში,

მიაჩნიათ, რომ ბავშვი მთლიანად მომზადებული უნდა იყოს საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აღიზარდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებულ იდეალებზე, და, განსაკუთრებით, მშვიდობის, ღირსების, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით,

მხედველობაში იღებენ, რომ ბავშვის ასეთი განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობა გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა ჟენევის 1924 წლის დეკლარაციით და გენერალური ასამბლეის მიერ 1959 წლის 20 ნოემბერს მიღებული ბავშვის უფლებათა დეკლარაციით და აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, 23 და 24 მუხლებით), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, 10 მუხლით), აგრეთვე, იმ სპეციალიზებული დაწესებულებების და საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებებითა და შესაბამისი დოკუმენტებით, რომლებიც ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე მუშაობენ,

ითვალისწინებენ, რომ, როგორც ადამიანის უფლებათა დეკლარაციაშია აღნიშნული, „ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი სიმწიფის გამო, საჭიროებს სპეციალურ დაცვას და ზრუნვას, მათ შორის, სათანადო სამართლებრივ დაცვას, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ“,

ეფუძნებიან სოციალური და სამართლებრივი პრინციპების შესახებ დეკლარაციის დებულებებს, რომლებიც ეხება ბავშვთა დაცვას და კეთილდღეობას, განსაკუთრებით ბავშვების აღსაზრდელად გადაცემისას და მათი შვილად აყვანისას ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულებასთან დაკავშირებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალურ სტანდარტულ წესებს („პეგინის წესები“) და დეკლარაციას საგანგებო ვითარებაში და შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში ქალებისა და ბავშვების დაცვის შესახებ,

აღიარებენ, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არიან უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მცხოვრები ბავშვები და რომ ასეთი ბავშვები განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ,

სათანადოდ ითვალისწინებენ ყველა ხალხის ტრადიციებისა და კულტურული ღირებულებების მნიშვნელობას ბავშვის დაცვისა და ჰარმონიული განვითარებისათვის,

აღიარებენ საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას ყოველ ქვეყანაში, კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში ბავშვთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მუხლი 1

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი, სანამ 18 წლის ასაკს მიაღწევდეს, თუ კანონით, რომელიც ამ ბავშვისადმი გამოიყენება, ის უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.

მუხლი 2

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა ბავშვის წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ ყველა უფლებას, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაბადების, მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების ანდა რაიმე სხვა გარემოებების მიუხედავად.

2. მონაწილე სახელმწიფოები ყველა ზომას მიმართავენ ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრების სტატუსის, საქმიანობის, გამოთქმული შეხედულებების ან მრწამსის საფუძველზე ყველა ფორმის დისკრიმინაციის ან დასჯისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 3

1. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.

2. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან, ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას.

3. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვებზე ზრუნვისათვის ან მათი დაცვისათვის პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები და ორგანოები შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დადგენილ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, და

მათი პერსონალის რიცხვისა და ვარგისიანობის, აგრეთვე კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით.

მუხლი 4

მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა ზომას, რათა განახორციელონ წინამდებარე კონვენციით აღიარებული უფლებები, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების მიმართ მონაწილე სახელმწიფოები ასეთ ზომებს მიმართავენ მათ ხელთ არსებული რესურსების მაქსიმალურ ფარგლებში და, აუცილებლობის შემთხვევაში, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

მუხლი 5

მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობლების და, შესაბამის შემთხვევებში, გაფართოებული ოჯახის ან თემის წევრების, როგორც ეს გათვალისწინებულია ადგილობრივი წეს–ჩვეულებებით, მეურვეების ან კანონით ბავშვისათვის პასუხისმგებელი სხვა პირების პასუხისმგებლობას, უფლებებსა და მოვალეობებს, რომ სათანადოდ მართავდნენ და ხელმძღვანელობდნენ ბავშვს მის მიერ წინამდებარე კონვენციით აღიარებული უფლებების განხორციელებაში და ამას აკეთებდნენ ბავშვის განვითარებადი უნარების შესაბამისად.

მუხლი 6

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუვალი უფლება.

2. მონაწილე სახელმწიფოები მაქსიმალურად შესაძლო დონეზე უზრუნველყოფენ ბავშვის გადარჩენასა და ჯანმრთელ განვითარებას.

მუხლი 7

1. ბავშვი რეგისტრირდება დაბადებისთანავე და დაბადების მომენტიდან აქვს სახელისა და მოქალაქეობის მოპოვების უფლება, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფლება, იცნობდეს თავის მშობლებს, და მათი მხრიდან ზრუნვის უფლება.

2. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამ უფლებების განხორციელებას თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად და თავიანთი ვალდებულებების შესრულებას ამ სფეროში შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების თანახმად, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ სხვაგვარად ბავშვს არ ექნებოდა მოქალაქეობა.

მუხლი 8

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, პატივი სცენ ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, მათ შორის, მოქალაქეობა, სახელი და ოჯახური ურთიერთობა, როგორც გათვალისწინებულია კანონით, ამასთან ერთად, არ დაუშვან კანონსაწინააღმდეგო ჩარევა.

2. თუ ბავშვი უკანონოდ კარგავს თვისი ინდივიდუალობის ნაწილს ან ყველა ელემენტს, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მას საჭირო დახმარებით და დაცვით მისი ინდივიდუალობის რაც შეიძლება სწრაფად აღდგენისათვის.

მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ განშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. ასეთი განსაზღვრა შეიძლება

საჭირო გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს ან არ ზრუნავენ მასზე, ანდა, როცა მშობლები ცალ–ცალკე ცხოვრობენ და საჭიროა გადაწყვეტილების მიღება ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით.

2. ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს გარჩევაში და გამოთქვას თავისი თვალსაზრისი.

3. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

4. იმ შემთხვევაში, როცა ასეთი განშორება გამომდინარეობს მონაწილე სახელმწიფოს მიერ მიღებული რაიმე გადაწყვეტილებიდან, მაგალითად, ერთი ან ორივე მშობლის ან ბავშვის დაპატიმრების, დატუსაღების, გასახლების, დეპორტაციის ან სიკვდილის (მათ შორის სიკვდილისა, რომელიც დადგა ნებისმიერი მიზეზით სახელმწიფოს გამგებლობაში ამ პირის ყოფნის დროს) შემთხვევაში, ასეთი მონაწილე სახელმწიფო მშობლებს, ბავშვს ან, თუ ეს აუცილებელია, ოჯახის სხვა წევრს მათი თხოვნით გადასცენ საჭირო ინფორმაცია ოჯახის შესაბამისი წევრის (წევრების) ადგილსამყოფელის თაობაზე, თუ ამ ინფორმაციის გადაცემა ზიანს არ აყენებს ბავშვის კეთილდღეობას. მონაწილე სახელმწიფოები შემდგომში უზრუნველყოფენ, რომ ასეთი თხოვნის წარდგენა თავისთავად არ იწვევდეს შესაბამისი პირისათვის (პირებისათვის) საზიანო შედეგებს.

მუხლი 10

1. 9 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებათა შესაბამისად, ბავშვის ან მისი მშობლების განცხადება ოჯახის შეერთების მიზნით მონაწილე სახელმწიფოში შესვლის ან იქიდან გამოსვლის თაობაზე მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ პოზიტიურად, ჰუმანურად და ოპერატიულად. შემდეგ მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ასეთი თხოვნის წარდგენა არ იწვევდეს განმცხადებლისა და მათი ოჯახის წევრებისათვის საზიანო შედეგებს.

2. ბავშვს, რომლის მშობლები სხვადასხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ, უფლება აქვს, რეგულარულ საფუძველზე იქონიოს პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები ორივე მშობელთან. ამ მიზნით და 9 მუხლის 2 პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულების შესაბამისად მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვისა და მისი მშობლების უფლებას, დატოვონ ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის, საკუთარიც, და დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში. ნებისმიერი ქვეყნის დატოვების უფლების მიმართ მოქმედებს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, როგორიც კანონითაა დაწესებული და საჭიროა სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის (ordre public), მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის, ანდა სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის და შეთავსებადია წინამდებარე კონვენციის აღიარებულ სხვა უფლებებთან.

მუხლი 11

1. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ზომებს ბავშვების უკანონო გადაადგილებისა და საზღვარგარეთიდან შინ არდაბრუნების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

2. ამ მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების დადებას ან მოქმედ შეთანხმებებთან მიერთებას.

მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს ეს შეხედულებანი ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, ამასთან ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკისა და მოწიფულობის შესაბამისად.

2. ამ მიზნით, ბავშვს, კერძოდ, ეძლევა შესაძლებლობა, მოსმენილი იქნეს ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი შეხედულება, ან წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით.

მუხლი 13

1. ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს ნებისმიერი სახის ინფორმაციისა და იდეის მოძიების, მიღების და გადაცემის თავისუფლებას საზღვრების მიუხედავად, ზეპირი, წერილობითი ან ბეჭდვითი ფორმით, ხელოვნების ნაწარმოების ფორმით ან ბავშვის არჩევანის შესაბამისად, სხვა საშუალებების დახმარებით.

2. ამ უფლების განხორციელებას შეიძლება შეეხოს ზოგიერთი შეზღუდვა, მაგრამ ასეთი შეზღუდვები შეიძლება იყოს მხოლოდ ის შეზღუდვები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და რომლებიც აუცილებელია:

ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის; ან

ბ) სახელმწიფო უშიშროების, ან საზოგადოებრივი წესრიგის (ordre public), ან მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის.

მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის თავისუფლების, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას.

2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობლების და, შესაბამის შემთხვევაში, კანონიერი მეურვეების უფლებებსა და მოვალეობებს, უხელმძღვანელონ ბავშვს მისი უფლების განხორციელებაში მეთოდით, რომელიც შეესაბამება ბავშვის განვითარებად უნარებს.

3. რელიგიის ან რწმენის თავისუფლებას შეიძლება შეეხოს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ზნეობის და ჯანმრთელობის ან სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

მუხლი 15

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის ასოციაციის თავისუფლებისა და მშვიდობიანი კრებების თავისუფლების უფლებას.

2. ამ უფლების განხორციელების მიმართ არ შეიძლება რაიმე შეზღუდვების გამოყენება, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებიც გამოიყენება კანონის შესაბამისად და რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის (ordre public) ინტერესებისათვის, მოსახლეობის ზნეობის და ჯანმრთელობის ან სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

მუხლი 16

1. არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს მისი პირადი ცხოვრების, ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლების განხორციელებაში ნებისმიერი ან უკანონო ჩარევის ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის შელახვის ობიექტი.

2. ბავშვს უფლება აქვს, კანონით იყოს დაცული ასეთი ჩარევისაგან ან ხელყოფისაგან.

მუხლი 17

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვან როლს და უზრუნველყოფენ, რომ ბავშვს ხელი მიუწვდებოდეს სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო

წყაროს ინფორმაციასა და მასალებზე, განსაკუთრებით, ისეთი ინფორმაციასა და მასალებზე, რომლებიც მოწოდებულია, ხელს უწყობდეს ბავშვის სოციალურ, სულიერ და მორალურ კეთილდღეობას, აგრეთვე, ჯანსაღ ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებას. ამ მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები:

ა) ხელს უწყობენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, გაავრცელონ ინფორმაცია და მასალები, რომლებიც ბავშვებისთვის სასარგებლოა სოციალური და კულტურული თვალსაზრისით და შეესაბამება 29 მუხლი სულისკვეთებას;

ბ) ხელს უწყობენ საერთაშორისო თანამშრომლობას ასეთი ინფორმაციისა და მასალების მომზადების, გაცვლისა და სხვადასხვა კულტურული, ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან გავრცელების სფეროში;

გ) ხელს უწყობენ საბავშვო ლიტერატურის გამოშვებასა და გავრცელებას;

დ) ხელს უწყობენ მასობრივ ინფორმაციას, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს იმ ბავშვის ენობრივ მოთხოვნილებებს, რომელიც უმცირესობათა რომელიმე ჯგუფს ან ძირეულ მოსახლეობას განეკუთვნება;

ე) ხელს უწყობს ისეთი ინფორმაციისა და მასალებისაგან ბავშვის დაცვის სათანადო პრინციპების შემუშავებას, რომლებიც ზიანს აყენებს მის კეთილდღეობას, 13 და 18 მუხლების გათვალისწინებით.

მუხლი 18

1. მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია.

2. წინამდებარე კონვენციაში ჩამოყალიბებული უფლებების განხორციელების უზრუნველყოფისა და ხელშეწყობის მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები მშობლებსა და კანონიერ მეურვეებს სათანადო დახმარებას უწევენ, რათა მათ შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი ბავშვების აღზრდაში და უზრუნველყოფენ საბავშვო დაწესებულებების ქსელის განვითარებას.

3. მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ, რომ ბავშვებს, რომელთა მშობლებიც მუშაობენ, უფლება ჰქონდეთ, ისარგებლონ მათთვის განკუთვნილი სამსახურებით და ბავშვთა მოვლის დაწესებულებებით.

მუხლი 19

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს მიმართავენ, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისაგან, იმისაგან, რომ ბავშვი მოკლებული იყოს ზრუნვას ან დაუდევრად ექცეოდნენ, უხეშად ეპყრობოდნენ ან ექსპლუატაციას უწევდნენ, აგრეთვე, სექსუალურ ძალადობას იჩენდნენ.

2. დაცვის ასეთი ზომები, აუცილებლობის შემთხვევაში, მოიცავს ეფექტიან პროცედურებს სოციალური პროგრამების შესამუშავებლად, იმ მიზნით, რომ მხარდაჭერა გაუწიონ ბავშვს და მასზე მზრუნველ პირებს, აგრეთვე, განახორციელონ გაფრთხილებისა და გამოვლენის, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის სხვა ფორმები და შემდგომი ღონისძიებანი ბავშვისადმი სასტიკი მოპყრობის ზემოთ ნახსენებ შემთხვევებთან დაკავშირებით, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლო პროცედურის აღძვრისათვის.

მუხლი 20

1. ბავშვი, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია თავის ოჯახურ გარემოცვას ან რომელსაც საკუთარი საუკეთესო ინტერესებისათვის არ შეუძლია ასეთ გარემოცვაში დარჩეს, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების უფლება აქვს.

2. მონაწილე სახელმწიფოები, თავიანთი ეროვნული კანონების შესაბამისად, უზრუნველყოფენ ასეთი ბავშვის მოვლის შეცვლას.

3. ასეთი მოვლა შეიძლება შეიცავდეს, კერძოდ, აღსაზრდელად გადაცემას, ისლამური სამართლით „კაფალას“, შვილად აყვანას ან, აუცილებლობის შემთხვევაში, ბავშვთა მოვლის შესაბამის დაწესებულებებში მოთავსებას. შეცვლის ვარიანტების განხილვისას, სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის აღზრდის მემკვიდრეობითობა და მისი ეთნიკური წარმომავლობა, რელიგიური და კულტურული კუთვნილება და მშობლიური ენა.

მუხლი 21

მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ და/ან ეთანხმებიან შვილად აყვანის სისტემის არსებობას, უზრუნველყოფენ, რომ პირველ რიგში გათვალისწინებული იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები, და ისინი:

ა) უზრუნველყოფენ, რომ შვილად აყვანის ნებას რთავდნენ მხოლოდ კომპეტენტური ხელისუფალნი, რომლებიც შესაბამისი კანონისა და პროცედურების საფუძველზე და საქმესთან დაკავშირებული და უტყუარი მთელი ინფორმაციის საფუძველზე ადგენენ, რომ შვილად აყვანა დასაშვებია მშობლების, ნათესავების და კანონიერი მეურვეების მიმართ ბავშვის სტატუსის თანახმად და რომ თუ საჭიროა, დაინტერესებულმა პირებმა შვილად აყვანაზე გაცნობიერებული თანხმობა განაცხადონ ისეთი კონსულტაციის საფუძველზე, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს;

ბ) აღიარებენ, რომ სხვა ქვეყანაში გაშვილება შეიძლება გახდეს ბავშვის მოვლის ალტერნატიული საშუალება, თუ ბავშვი აღსაზრდელად ვერ გადაეცემა ან ვერ მიებარება ოჯახს, რომელიც უზრუნველყოფდა მის აღზრდას ან შვილად აყვანას, და თუ ბავშვის წარმოშობის ქვეყანაში რაიმე შესაფერისი მოვლის უზრუნველყოფა შეუძლებელია;

გ) უზრუნველყოფენ, რომ სხვა ქვეყანაში გაშვილების შემთხვევაში, გამოიყენებოდეს ისეთივე გარანტიები და ნორმები, რომლებიც შვილად აყვანის მიმართ გამოიყენება ქვეყნის შიგნით;

დ) ყველა საჭირო ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ, რომ სხვა ქვეყანაში გაშვილების შემთხვევაში, ბავშვის მიბარებას არ მოჰყვეს ამასთან დაკავშირებული პირების მიერ გაუმართლებელი ფინანსური სარგებლის მიღება;

ე) ხელს უწყობენ, საჭიროების შემთხვევაში, ამ მუხლის მიზნების მიღწევას ორმხრივი და მრავალმხრივი მორიგებებისა და შეთანხმებების დადების გზით და ესწრაფვიან, ამ საფუძველზე უზრუნველყოფენ, რომ ბავშვის სხვა ქვეყანაში გაშვილებას კომპეტენტური ხელისუფალნი ან ორგანოები ახორციელებდნენ.

მუხლი 22

1. მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვი, რომელსაც ლტოლვილის სტატუსის მიღება უნდა ან მიჩნეულია ლტოლვილად საერთაშორისო ან შიდა სამართლის და პროცედურების შესაბამისად, ახლავს ან არ ახლავს მშობლები ან ნებისმიერი სხვა პირი, სათანადო დაცვით და ჰუმანიტარული დახმარებით იმ უფლებათა გამოყენებაში, რომლებიც ჩამოყალიბებულია წინამდებარე კონვენციაში და ადამიანის უფლებათა შესახებ სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში ან ჰუმანიტარულ დოკუმენტებში, რომელთა მონაწილენიც არიან აღნიშნული სახელმწიფოები.

2. ამ მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები, იმ შემთხვევაში, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევენ, ხელს უწყობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და სხვა კომპეტენტურ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს ან არასამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობენ, ასეთი ბავშვის დაცვაში და მისთვის დახმარების გაწევაში და ნებისმიერი ლტოლვილი ბავშვის მშობლების ან ოჯახის სხვა წევრების მოძებნაში, რათა მიიღონ მისი ოჯახში დაბრუნებისათვის საჭირო ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, როცა მშობლები ან ოჯახის სხვა წევრები ვე მოიძებნებიან, ამ ბავშვს ისეთივე დაცვას უწევენ, როგორც ნებისმიერ სხვა ბავშვს, რომელიც რაღაც მიზეზის გამო მუდმივად ან დროებით მოწყვეტილია თავის ოჯახურ გარემოცვას, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე კონვენციით.

მუხლი 23

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ გონებრივი თუ ფიზიკური თვალსაზრისით, არასრულფასოვანი ბავშვი სრულფასოვან და ღირსეულ ცხოვრებას უნდა ეწეოდეს პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს მის ღირსებას, ეხმარება საკუთარი თავის რწმენის ჩანერგვაში და უადვილებს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოების ცხოვრებაში.

2. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ არასრულფასოვანი ბავშვის უფლებას განსაკუთრებულ ზრუნვაზე და ხელს უწყობენ და უზრუნველყოფენ, რესურსების არსებობის შემთხვევაში, ამის უფლების მქონე ბავშვს და მასზე ზრუნვისათვის პასუხისმგებელ პირს იმ დახმარებით, რომლის თაობაზეც შეტანილია თხოვნა და რომელიც შეესაბამება ბავშვის და მისი მშობლების ან ისეთი სხვა პირების მდგომარეობას, რომლებიც ბავშვზე ზრუნვას უზრუნველყოფენ.

3. არასრულფასოვანი ბავშვის განსაკუთრებული საჭიროებების აღიარებით დახმარების აღმოჩენა, ამ მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად, შეძლებისდაგვარად, უსასყიდლოდ ხდება, მშობლების ან ბავშვზე ზრუნვის უზრუნველმყოფი სხვა პირების ფინანსური რესურსების გათვალისწინებით და მიზნად ისახავს, არასრულფასოვანი ბავშვი უზრუნველყოფილ იქნეს იმით, რომ მისთვის ეფექტიანად ხელმისაწვდომი იყოს განათლების, პროფესიული მომზადების, სამედიცინო მომსახურების, ჯანმრთელობის აღდგენის, შრომითი საქმიანობისათვის მომზადების სფერო და დასვენების საშუალებები იმგვარად, რომ მოხდეს ბავშვის რაც შეიძლება სრულად ჩაბმა სოციალურ ცხოვრებაში და მიღწეულ იქნეს მისი პიროვნების განვითარება, მათ შორის, ბავშვის კულტურული და სულიერი განვითარება.

4. მონაწილე სახელმწიფოები, საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებით, ხელს უწყობენ შესაბამისი ინფორმაციის გაცვლას პროფილაქტიკური ჯანმრთელობის დაცვის და არასრულფასოვანი ბავშვების სამედიცინო, ფსიქოლოგიური და ფუნქციური მკურნალობის სფეროში, მათ შორის, რეაბილიტაციის, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების მეთოდების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, აგრეთვე, იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რათა მონაწილე სახელმწიფოებმა გაუმჯობესონ თავიანთი შესაძლებლობანი და ცოდნა და გააფართოონ თავიანთი გამოცდილება ამ სფეროში. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებებს.

მუხლი 24

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე სრულყოფილი მომსახურებით და ავადმყოფობათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებებით. მონაწილე სახელმწიფოები ესწრაფვიან უზრუნველყონ, რომ არც ერთ ბავშვს არ შეელახოს უფლება, ხელი მიუწვდებოდეს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ამგვარ მომსახურებაზე.

2. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ, სრულად განახორციელონ ეს უფლება და, კერძოდ, მიმართავენ საჭირო ღონისძიებებს, რათა:

ა) შეამცირონ ახალშობილთა სიკვდილიანობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის დონეები;

ბ) ყველა ბავშვი უზრუნველყონ საჭირო სამედიცინო დახმარებით და ჯანმრთელობის დაცვით, ამასთან, უპირველესი ყურადღება დაუთმონ პირველადი სამედიცინო–სანიტარიული დახმარების განვითარებას;

გ) ებრძოლონ დაავადებებსა და საკვების ნაკლებობას, მათ შორის, პირველადი სამედიცინო–სანიტარიული დახმარების ფარგლებში, სხვა საშუალებებთან ერთად, იმ გზით, რომ გამოიყენონ ადვილად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები და უზრუნველყონ საკმარისი ყუათიანი სურსათითა და სუფთა სასმელი წყლით, გარემოს დაბინძურების საფრთხისა და რისკის გათვალისწინებით;

დ) დედებს სათანადო მომსახურება გაუწიონ ჯანმრთელობის დასაცავად მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ პერიოდებში;

ე) უზრუნველყონ, რომ საზოგადოების ყველა ფენა, კერძოდ, მშობლები და ბავშვები, სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული ბავშვთა ჯანმრთელობისა და კვების, ძუძუთი კვების უპირატესობის, ბავშვის საცხოვრებელ გარემოში ჰიგიენის, სანიტარიის და უბედური შემთხვევების თავიდან აცილების შესახებ, აგრეთვე, რომ მათთვის ხელმისაწვდომი იყოს განათლება და დახმარება ეწეოდეთ ასეთი ცოდნის გამოყენებაში;

ვ) განავითარონ საგანმანათლებლო მუშაობა და მომსახურება პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარებისა და ოჯახის სიდიდის დაგეგმვის სფეროში.

3. მონაწილე სახელმწიფოები ყველა ეფექტიან და საჭირო ზომას მიმართავენ, რათა აღმოფხვრან ტრადიციული პრაქტიკა, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ბავშვების ჯანმრთელობაზე.

4. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, ხელი შეუწყონ საერთაშორისო თანამშრომლობას და განავითარონ იგი, რათა თანდათან მიაღწიონ ამ მუხლით აღიარებული უფლების სრულად განხორციელებას. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებებს.

მუხლი 25

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ კომპეტენტური ორგანოების მიერ მოვლის მიზნით მზრუნველობისათვის გადაცემული ბავშვის უფლებას დაცვაზე ან ფიზიკურ, ანდა ფსიქიკურ მკურნალობაზე, ბავშვის მკურნალობის პერიოდულ შეფასებაზე და ბავშვისადმი ასეთ ზრუნვასთან დაკავშირებულ ყველა სხვა პირობაზე.

მუხლი 26

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყველა ბავშვის უფლებას, ისარგებლოს სოციალური უზრუნველყოფის სიკეთეებით, მათ შორის, სოციალური დაზღვევით, და საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ ამ უფლების სრული განხორციელების მისაღწევად თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ეს სიკეთეები ეძლევათ არსებული რესურსებისა და ბავშვისა და მისი მოვლისათვის პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობათა გათვალისწინებით, აგრეთვე, ნებისმიერი მოსაზრებით, რომლებიც უკავშირდება მისი სახელით ბავშვის მიერ სიკეთის მიღებას.

მუხლი 27

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი ბავშვის უფლებას მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების დონეზე.

2. მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ თავიანთი შესაძლებლობებისა და ფინანსური საშუალებების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.

3. მონაწილე სახელმწიფოები, ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, მიმართავენ საჭირო ზომებს, რათა დახმარება გაუწიონ მშობლებს და ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში და, აუცილებლობის შემთხვევაში, მატერიალურ დახმარებას უწევენ და ხელს უწყობენ პროგრამებს, განსაკუთრებით, კვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პროგრამებს.

4. მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვი მოსავლელად დაუბრუნდეთ მშობლებს ან ბავშვისათვის ფინანსურად პასუხისმგებელ სხვა პირებს როგორც მონაწილე სახელმწიფოში, ისე საზღვარგარეთ. კერძოდ, თუ ბავშვისათვის ფინანსურად პასუხისმგებელი პირი და ბავშვი სხვადასხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ, მონაწილე სახელმწიფო ხელს უწყობს საერთაშორისო შეთანხმებებთან მიერთებას ან ასეთ შეთანხმებათა დადებას, აგრეთვე, სხვა შესაბამის მორიგებათა დადებას.

მუხლი 28

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის განათლების უფლებას და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე ამ უფლების განხორციელების თანდათანობით მიღწევის მიზნით, კერძოდ:

ა) აწესებენ უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას;

ბ) ხელს უწყობენ საშუალო განათლების, როგორც ზოგადის, ისე პროფესიულის, სხვადასხვა ფორმების განვითარებას, უზრუნველყოფენ მის ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისათვის და აგრეთვე მიმართავენ ისეთ საჭირო ღონისძიებებს, როგორიცაა უფასო განათლების შემოღება და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური დახმარების გაწევა;

გ) უზრუნველყოფენ უმაღლესი განათლების ყველასთვის ხელმისაწვდომობას თითოეულის უნარის საფუძველზე, ყველა საჭირო საშუალების დახმარებით;

დ) უზრუნველყოფენ ყველა ბავშვისათვის განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას;

ე) მიმართავენ ხელშეწყობის ღონისძიებებს, რომ რეგულარულად დადიოდნენ სკოლაში და შემცირდეს იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებმაც მიატოვეს სკოლა.

2. მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასკოლო დისციპლინას იცავდნენ ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემის გამომხატველი მეთოდების დახმარებით და წინამდებარე კონვენციის შესაბამისად.

3. მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ და განავითარებენ საერთაშორისო თანამშრომლობას განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კერძოდ, მთელ მსოფლიოში უმეცრებისა და უწიგნურობის ლიკვიდაციის ხელშეწყობის და სამეცნიერო–ტექნიკური ცოდნისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ხელმისაწვდომობის გაადვილების მიზნით. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებებს.

მუხლი 29

1. მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან იმაზე, რომ ბავშვის განათლება გამიზნული უნდა იყოს იმისათვის, რომ:

ა) ბავშვის პიროვნება, ნიჭი და გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები რაც შეიძლება სრული მოცულობით განვითარდეს;

ბ) აღიზარდოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, აგრეთვე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპების პატივისცემა;

გ) აღიზარდოს ბავშვში მშობლების, მისი კულტურული თავისთავადობის, ენისა და ღირებულებების, თავის საცხოვრებელი ქვეყნის, თავისი წარმომავლობის ქვეყნის და მისი საკუთრებისგან განსხვავებული ცივილიზაციების ღირებულებათა პატივისცემა;

დ) ბავშვი მომზადდეს თავისუფალ საზოგადოებაში შეგნებული ცხოვრებისათვის გაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, მამაკაცებისა და ქალების თანასწორობის, ყველა ხალხს, ეთნიკურ, ეროვნულ და რელიგიურ ჯგუფებს, აგრეთვე მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით;

ე) აღიზარდოს გარემოსადმი პატივისცემის გრძნობით.

2. ამ მუხლის ან 28 მუხლის არც ერთი ნაწილი არ უნდა იყოს გაგებული, როგორც ცალკეული პირებისა და ორგანოების შემზღუდველი იმაში, რომ შექმნან სასწავლო დაწესებულებები და უხელმძღვანელონ მათ ამ მუხლის 1 პუნქტში ჩამოყალიბებული პრინციპების განუხრელი დაცვის პირობით და შეასრულონ ის მოთხოვნები, რომ ასეთი სასწავლებლებში მიცემული განათლება შეესაბამებოდეს მინიმალურ ნორმებს, რომლებიც სახელმწიფომ შეიძლება დაადგინოს.

მუხლი 30

იმ სახელმწიფოებში, სადაც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ჯგუფები ან მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი პირები, ბავშვს, რომელიც ასეთ უმცირესობებს ან მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნის, უარი არ უნდა ეთქვას უფლებაზე, თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლოს თავისი კულტურით, თავისი რელიგიით და აღასრულოს მისი რიტუალები, აგრეთვე, ისარგებლოს მშობლიური ენით.

მუხლი 31

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის დასვენების უფლებას, იმ უფლებას, რომ მონაწილეობდეს თამაშებსა და გასართობ ღონისძიებებში, რომლებიც შეესაბამება მის ასაკს, და თავისუფლად მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებასა და ხელოვნებაში.

2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და ხელს უწყობენ ბავშვის უფლებას, ყოველმხრივ მონაწილეობდეს კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში და ხელს უწყობენ, რომ შესაბამისი და თანასწორი შესაძლებლობანი მიეცეთ კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობისა და დასვენებისათვის.

მუხლი 32

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისაგან და ნებისმიერი ისეთი სამუშაოსგან, რომელიც შეიძლება საშიში იყოს მისი ჯანმრთელობისათვის ან დაბრკოლებას უქმნიდეს მას განათლების მიღებაში, ანდა ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას და ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას.

2. მონაწილე სახელმწიფოები ახორციელებენ საკანონმდებლო და სოციალურ ღონისძიებებს, აგრეთვე ღონისძიებებს განათლების სფეროში, რათა უზრუნველყონ ამ მუხლის შესრულება. ამ მიზნით, ხელმძღვანელობენ რა სხვა საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი დებულებებით, მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ:

ა) ადგენენ მინიმალურ ასაკს ან მინიმალურ ასაკებს სამუშაოზე მიღებისათვის;

ბ) ადგენენ საჭირო მოთხოვნებს სამუშაო დღის ხანგრძლივობისა და შრომის პირობების შესახებ;

გ) ითვალისწინებენ შესაბამისი სახის სასჯელს ან სხვა სანქციებს ამ მუხლის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 33

მონაწილე სახელმწიფოები ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, მათ შორის, საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სოციალურ ღონისძიებებს, აგრეთვე ღონისძიებებს განათლების სფეროში, რათა დაიცვან ბავშვები ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო მოხმარებისაგან, როგორც ისინი განსაზღვრულია შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებაში, და არ დაუშვან ბავშვების გამოყენება ასეთი ნივთიერებების უკანონო წარმოებასა და ვაჭრობაში.

მუხლი 34

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, დაიცვან ბავშვი ყველა ფორმის სექსუალური ექსპლუატაციისაგან და სექსუალური ცდუნებისაგან. ამ მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, ეროვნულ, ორმხრივ და მრავალმხრივ დონეებზე ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა აღკვეთონ:

ა) ბავშვის დაყოლიება ან იძულება ნებისმიერ უკანონო სექსუალურ საქმიანობაზე;

ბ) ბავშვების გამოყენება ექსპლუატაციის მიზნით პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში;

გ) ბავშვების გამოყენება ექსპლუატაციის მიზნით პორნოგრაფიაში და პორნოგრაფიულ მასალებში.

მუხლი 35

მონაწილე სახელმწიფოები ეროვნულ, ორმხრივ და მრავალმხრივ დონეებზე ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა აღკვეთონ ბავშვების მოტაცება, ბავშვებით ვაჭრობა ან მათი კონტრაბანდა ნებისმიერი მიზნით და ნებისმიერი ფორმით.

მუხლი 36

მონაწილე სახელმწიფოები ბავშვს იცავენ ყველა სხვა ფორმის ექსპლუატაციისაგან, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის კეთილდღეობის ნებისმიერ ასპექტს.

მუხლი 37

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ:

ა) არც ერთმა ბავშვმა არ განიცადოს წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა. არც სიკვდილით დასჯა, არც სამუდამო პატიმრობა, რაც გათავისუფლების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, არ მიესჯებათ დანაშაულისათვის 18 წლამდე ასაკის პირებს;

ბ) არც ერთ ბავშვს არ აღეკვეთოს თავისუფლება უკანონო ან ნებისმიერი სახით. დაპატიმრება, დაკავება ან დატუსაღება ხორციელდება კანონის თანახმად და გამოიყენება მხოლოდ უკიდურეს ზომად და დროის რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში;

გ) ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა სარგებლობდეს ჰუმანური მოპყრობით და მისი პიროვნების განუყოფელი ღირსების პატივისცემით მისი ასაკის პირთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით. კერძოდ, ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი განცალკევებული უნდა იყოს უფროსებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიჩნეულია, რომ ამის გაკეთება არ ღირს

ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის, და ჰქონდეს უფლება, კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმოწერის და პაემნის მეშვეობით, გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა;

დ) ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ჰქონდეს უფლება, დაუყოვნებლივ ისარგებლოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარებით, აგრეთვე, უფლება, გაასაჩივროს თავისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და უფლება, რომ დაუყოვნებლივ მიიღონ მათ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი პროცესუალური მოქმედების მიმართ.

მუხლი 38

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, პატივი სცენ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, რომელიც მათ მიმართ გამოიყენება შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში და უკავშირდება ბავშვებს, და უზრუნველყონ მათი დაცვა.

2. მონაწილე სახელმწიფოები ყოველ შესაძლო ზომას მიმართავენ, რათა უზრუნველყონ, რომ 15 წლამდე ასაკის პირები უშუალო მონაწილეობას არ მიიღებდნენ საომარ მოქმედებებში.

3. მონაწილე სახელმწიფოები თავს იკავებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის 15 წლამდე ასაკის ნებისმიერი პირის გაწვევისაგან. იმ პირების გაწვევისას, რომლებმაც 15 წლის ასაკს მიაღწიეს, მაგრამ ჯერ 18 წელი არ შესრულებიათ, მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ, უპირატესობა უფროსი ასაკის პირებს მიანიჭონ.

4. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, თავიანთ მოვალეობათა თანახმად, რომლებიც უკავშირდება სამოქალაქო მოსახლეობის დაცვას შეიარაღებული კონფლიქტების დროს, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, ყველა შესაძლო ღონეს მიმართონ, რათა უზრუნველყონ შეიარაღებულ კონფლიქტში მოქცეულ ბავშვთა დაცვა და მათი მოვლა.

მუხლი 39

მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო ზომას მიმართავენ, რათა ხელი შეუწყონ იმ ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ აღდგენას და სოციალურ რეინტეგრაციას, რომელიც არის ყველა სახის უგულებელყოფის, ექსპლუატაციისა და ბოროტმოქმედების, წამების ან ნებისმიერი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის, დასჯის ან შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლი. ასეთი აღდგენა და რეინტეგრაცია უნდა ხორციელდებოდეს ბავშვის ჯანმრთელობის, საკუთარი თავის პატივისცემის და ღირსების უზრუნველმყოფ პირობებში.

მუხლი 40

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი იმ ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც მიჩნეულია, დაარღვია სისხლის სამართლის კოდექსი, ბრალად ედება მისი დარღვევა ან ბრალეულადაა მიჩნეული მის დარღვევაში, ისეთ მოპყრობაზე, რომელიც ხელს უწყობს ბავშვში ღირსების და პიროვნული მნიშვნელობის გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებს ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას და რომლის დროსაც გათვალისწინებულია ბავშვის ასაკი და სასურველია ხელი შეუწყონ მის რეინტეგრაციას და მის მიერ საზოგადოებაში სასარგებლო როლის შესრულებას.

2. ამ მიზნებით და საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით, მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, უზრუნველყოფენ, რომ:

ა) არც ერთი ბავშვი არ ჩაითვალოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამრღვევად, არ ედებოდეს ბრალი და არ აღიარონ ბრალეულად მის დარღვევაში მოქმედების ან უმოქმედობის მიზეზით, რომლებიც არ იყო აკრძალული ეროვნული ან საერთაშორისო სამართლით მისი ჩადენის დროს;

ბ) ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც მიჩნეულია, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა ან ბრალად ედება მისი დარღვევა, ჰქონდეს, სულ ცოტა, შემდეგი გარანტიები:

i) უდანაშაულობის პრეზუმპცია, სანამ მისი ბრალი კანონის თანახმად არ დამტკიცდება;

ii) დაუყოვნებლივ და უშუალოდ იყოს ინფორმირებული მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების შესახებ და, აუცილებლობის შემთხვევაში, მშობლების ან კანონიერი მეურვეების მეშვეობით და მიიღოს სამართლებრივი ან სხვა საჭირო დახმარება თავისი დაცვის მომზადებისას და განხორციელებისას;

iii) განსახილველ საკითხზე დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ ან სასამართლო ორგანომ კანონის შესაბამისად სასამართლო მოსმენის დროს ადვოკატის ან სხვა შესაბამისი პირის თანდასწრებით და, თუ ეს არ მიიჩნევა ბავშვის საუკეთესო ინტერესების საწინააღმდეგოდ, კერძოდ, მისი ასაკისა და მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების მდგომარეობის გათვალისწინებით;

iv) არ განიცადოს იძულება, რომ მისცეს მოწმის ჩვენება ან აღიაროს ბრალეულობა; შეისწავლოს ბრალდების მოწმეთა ჩვენებები ან დამოუკიდებლად, ან სხვა პირების დახმარებით და უზრუნველყოფილი იქნეს დაცვის მოწმეთა თანასწორი მონაწილეობა და მათი ჩვენებების შესწავლა;

v) თუ მიჩნეულია, რომ ბავშვმა დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ზემდგომმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ კანონის თანახმად ხელახლა განიხილოს შესაბამისი გადაწყვეტილება და ამასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ზომები;

vi) თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ ბავშვს არ ესმის გამოყენებული ენა ან არ ლაპარაკობს ამ ენაზე;

vii) მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემა გარჩევის ყველა სტადიაში.

3. მონაწილე სახელმწიფოები ესწრაფვიან, ხელი შეუწყონ ისეთ ბავშვებთან უშუალოდ დაკავშირებული კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დაწესებულებების დადგენას, რომლებმაც, როგორც მიჩნეულია, დაარღვიეს სისხლის სამართლის კოდექსი, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან ბრალეულად არიან მიჩნეული მის დარღვევაში, და კერძოდ:

ა) მინიმალური ასაკის დადგენას, რომლის ქვემოთაც მიჩნეულია, რომ ბავშვებს არ შეუძლიათ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევა;

ბ) თუ აუცილებელია და სასურველი, ასეთი ბავშვებისადმი მიიღონ ზომები სასამართლო გარჩევის გამოუყენებლად ადამიანის უფლებების და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვის პირობით.

4. საჭიროა ისეთი სხვადასხვა ღონისძიება, როგორიცაა მოვლა, ზრუნვისა და ზედამხედველობის შესახებ დებულება, საკონსულტაციო მომსახურება, გამოსაცდელი ვადის დანიშვნა, აღზრდა, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები და მოვლის სხვა ფორმები, რომლებიც დაწესებულებებში მოვლის მაგივრობას გასწევს, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს ბავშვისადმი ისეთი მოპყრობა, რომელიც შეესაბამება მის კეთილდღეობას, აგრეთვე მის მდგომარეობას და დანაშაულის ხარისხს.

მუხლი 41

ამ კონვენციაში არაფერი არ არღვევს ნებისმიერ დებულებას, რომელიც უმეტესწილად უწყობს ხელს ბავშვის უფლებათა განხორციელებას და რომელსაც შეიძლება შეიცავდეს:

ა) მონაწილე სახელმწიფოს კანონი: ან

ბ) მოცემული სახელმწიფოს მიმართ მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმები.

ნაწილი II

მუხლი 42

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, სათანადო და ქმედითი საშუალებების გამოყენებით, კონვენციის პრინციპები და დებულებები ფართოდ გააცნონ როგორც უფროსებს, ასევე ბავშვებს.

მუხლი 43

1. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ წინამდებარე კონვენციის შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში მიღწეული პროგრესის განხილვის მიზნით, არსდება ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომელიც ქვემოთ გათვალისწინებულ ფუნქციებს ასრულებს.

2. კომიტეტი შედგება ათი ექსპერტისაგან, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ზნეობრივი თვისებებით და აღიარებული კომპეტენციით სფეროში, რომელსაც წინამდებარე კონვენცია მოიცავს. კომიტეტის წევრებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ მოქალაქეთა წრიდან და ისინი თავიანთი სახელით მოქმედებენ, ამასთან ყურადღება ეპყრობა სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებას, აგრეთვე, მთავარ სამართლებრივ სისტემებს.

3. კომიტეტის წევრებს მონაწილე სახელმწიფოთა მიერ დასახელებული პირების სიიდან ფარული კენჭისყრით ირჩევენ. ყოფილ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია თავის მოქალაქეთა წრიდან ერთი პირი დაასახელოს.

4. კომიტეტში თავდაპირველი არჩევნები იმართება არაუგვიანეს ექვსი თვის შემდეგ წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან, შემდგომში – ორ წელიწადში ერთხელ. ყოველი არჩევნების გამართვის დღემდე სულ ცოტა ოთხი თვით ადრე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს მიმართავს წერილით, რომელშიც სთავაზობს მათ ორი თვის განმავლობაში წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურები. შემდეგ გენერალური მდივანი ანბანის მიხედვით ადგენს ამგვარად დასახელებული პირების სიას მონაწილე სახელმწიფოების მითითებით, რომლებმაც ეს პირები დაასახელეს, და ამ სიას წარუდგენს წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს.

5. არჩევნები იმართება მონაწილე სახელმწიფოების თათბირზე, რომლებსაც გენერალური მდივანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში იწვევს. ამ თათბირებზე, რომლებზეც მონაწილე სახელმწიფოების ორი მესამედი შეადგენს კვორუმს, კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულად ითვლებიან კანდიდატები, რომლებმაც მონაწილე სახელმწიფოების კენჭისყრის დამსწრე და მონაწილე წარმომადგენლების ხმების უმეტესი რაოდენობა და ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვეს.

6. კომიტეტის წევრებს ოთხი წლის ვადით ირჩევენ. მათ უფლება აქვთ, ხელახლა იყვნენ არჩეული მათი კანდიდატურების განმეორებით დასახელების შემთხვევაში. პირველ არჩევნებში არჩეული ხუთი წევრის უფლებამოსილების ვადა ორწლიანი პერიოდის დამლევს იწურება; პირველი არჩევნების შემდეგ ამ ხუთი წევრის სახელებს დაუყოვნებლივ ადგენს წილის ყრით თათბირის თავმჯდომარე.

7. კომიტეტის რომელიმე წევრის სიკვდილის ან გადადგომის შემთხვევაში ან თუ მას რაიმე მიზეზით აღარ შეუძლია კომიტეტის წევრის მოვალეობის შესრულება, მონაწილე სახელმწიფო, რომელმაც კომიტეტის ეს წევრი წამოაყენა, დარჩენილი ვადისთვის ნიშნავს სხვა ექსპერტს თავის მოქალაქეთა წრიდან კომიტეტის მიერ მოწონების პირობით.

8. კომიტეტი პროცედურის საკუთარ წესებს ადგენს.

9. კომიტეტი ორი წლის ვადით ირჩევს თავის თანამდებობის პირებს.

10. კომიტეტის სესიები, როგორც წესი, იმართება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში ან კომიტეტის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა შესაფერის ადგილას. კომიტეტი, როგორც წესი, თავის სესიებს ყოველწლიურად მართავს. კომიტეტის სესიის ხანგრძლივობა განისაზღვრება ან საჭიროების შემთხვევაში გადაისინჯება წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების თათბირზე, გენერალური ასამბლეის მოწონების პირობით.

11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი გამოყოფს საჭირო პერსონალს და მატერიალურ სახსრებს კომიტეტის მიერ წინამდებარე კონვენციის შესაბამისად თავისი ფუნქციების ეფექტიანი განხორციელებისათვის.

12. წინამდებარე კონვენციის შესაბამისად დაარსებული კომიტეტის წევრები იღებენ გენერალური ასამბლეის მიერ დაწესებულ გასამრჯელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახსრებიდან და გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი პირობებით.

მუხლი 44

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით, კომიტეტს წარუდგინონ მოხსენებები კონვენციით აღიარებული უფლებების დამკვიდრებისათვის მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ და ამ უფლებათა განხორციელებაში მიღწეული პროგრესის შესახებ:

ა) ორი წლის განმავლობაში შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოსათვის კონვენციის ძალაში შესვლიდან;

ბ) შემდგომში ყოველ ხუთ წელიწადში.

2. ამ მუხლის შესაბამისად წარდგენილ მოხსენებებში მითითებულია ფაქტორები და სირთულეები, თუკი ასეთები არსებობს, რომლებიც გავლენას ახდენს წინამდებარე კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ხარისხზე. მოხსენებები შეიცავს აგრეთვე საკმარის ინფორმაციას იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომიტეტმა სრულად შეიტყოს კონვენციის მოქმედება მოცემულ ქვეყანაში.

3. არ არის აუცილებელი, რომ მონაწილე სახელმწიფომ, რომელმაც კომიტეტს წარუდგინა ყოველმხრივი თავდაპირველი მოხსენება, ამ მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად წარსადგენ შემდგომ მოხსენებებში გაიმეოროს ადრე ჩამოყალიბებული ძირითადი ინფორმაცია.

4. კომიტეტს შეუძლია მონაწილე სახელმწიფოსაგან მოითხოვოს წინამდებარე კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

5. კომიტეტის საქმიანობის შესახებ მოხსენებები გენერალურ ასამბლეას ორ წელიწადში ერთხელ უნდა წარედგინოს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით.

6. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი მოხსენებების ფართო საჯაროობას თავიანთ ქვეყნებში.

მუხლი 45

კონვენციის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობისა და წინამდებარე კონვენციის მოქმედების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისების მიზნით:

ა) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებულ დაწესებულებებს, ბავშვთა ფონდს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებს უფლება აქვთ, წარმოდგენილი იყვნენ წინამდებარე კონვენციის ისეთ დებულებათა განხორციელების შესახებ საკითხთა განხილვისას, რომლებიც მათი უფლებამოსილების სფეროში შედის. კომიტეტს შეუძლია გაერთიანებული

ერების ორგანიზაციის სპეციალიზებულ დაწესებულებებს, ბავშვთა ფონდებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა კომპეტენტურ ორგანოებს, როცა ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს, წარუდგინოს ექსპერტთა დასკვნა იმ დარგებში კონვენციის განხორციელების თაობაზე, რომლებიც მათი შესაბამისი უფლებამოსილების სფეროში შედის. კომიტეტს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებულ დაწესებულებებს, ბავშვთა ფონდს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებს შესთავაზოს, წარმოადგინონ მოხსენებები მათი საქმიანობის სფეროში შემავალ დარგებში კონვენციის განხორციელების შესახებ;

ბ) კომიტეტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებულ დაწესებულებებში, ბავშვთა ფონდში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა კომპეტენტურ ორგანოებში გზავნის, როცა ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს, მონაწილე სახელმწიფოების ნებისმიერ მოხსენებებს, რომლებიც შეიცავს ტექნიკური კონსულტაციის ან დახმარების შესახებ თხოვნას ან რომლებშიც აღნიშნულია ამის საჭიროება, აგრეთვე კომიტეტის შენიშვნებსა და წინადადებებს, თუკი ასეთები არსებობს, ასეთი თხოვნების ან მითითებების თაობაზე;

გ) კომიტეტს შეუძლია, გენერალურ ასამბლეას რეკომენდაცია მისცეს, რომ შესთავაზოს გენერალურ მდივანს, თავისი სახელით მოაწყოს გამოკვლევები ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე;

დ) კომიტეტს შეუძლია შეიტანოს იმ ინფორმაციაზე დაფუძნებული ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები, რომელიც მიღებულია წინამდებარე კონვენციის 44 და 45 მუხლების შესაბამისად. ასეთი ზოგადი ხასიათის წინადადებებსა და რეკომენდაციებს უგზავნიან ნებისმიერ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს და აცნობებენ გენერალურ ასამბლეას მონაწილე სახელმწიფოების შენიშვნებთან ერთად, თუკი ასეთები არსებობს.

ნაწილი III

მუხლი 46

წინამდებარე კონვენცია ხელმოსაწერად გახსნილია ყველა სახელმწიფოსათვის.

მუხლი 47

წინამდებარე კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 48

წინამდებარე კონვენცია მიერთებისათვის გახსნილია ნებისმიერი სახელმწიფოსათვის. მიერთების შესახებ დოკუმენტები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 49

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღის შემდეგ ოცდამეათე დღეს.

2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც მოახდენს წინამდებარე კონვენციის რატიფიკაციას ან მიუერთდება მას მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარების შემდეგ, წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის ამ სახელმწიფოს მიერ თავისი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის ჩაბარებიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 50

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს შესწორება და წარუდგინოს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. შემდეგ გენერალური მდივანი შეთავაზებულ

შესწორებას უგზავნის მონაწილე სახელმწიფოებს თხოვნით, მიუთითონ, უჭერენ თუ არა მხარს მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევას ამ წინადადებათა განხილვისა და მათ თაობაზე კენჭისყრის გამართვის მიზნით. თუ ოთხი თვის განმავლობაში, ამ შეტყობინების თარიღიდან მოყოლებული, მონაწილე სახელმწიფოთა სულ ცოტა ერთი მესამედი მხარს დაუჭერს ასეთი კონფერენციის მოწვევას, გენერალური მდივანი იწვევს ამ კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ამ კონფერენციის დამსწრე და კენჭისყრის მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობით მიღებულ ასეთ შესწორებას დასამტკიცებლად გენერალურ ასამბლეას წარუდგენენ.

2. ამ მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად მიღებული შესწორება ძალაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მისი დამტკიცებისა და მონაწილე სახელმწიფოების ორი მესამედის უმრავლესობის მიერ მიღების შემდეგ.

3. როცა შესწორება ძალაში შედის, ის სავალდებულო ხდება იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც იგი მიიღეს, ხოლო სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულოდ რჩება წინამდებარე კონვენციის დებულებები და მათ მიერ მიღებული ნებისმიერი წინა შესწორებანი.

მუხლი 51

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იღებს და ყველა სახელმწიფოს უგზავნის იმ პირობების ტექსტს, რომლებიც სახელმწიფოებმა დათქვეს რატიფიკაციის ან მიერთების მომენტში.

2. წინამდებარე კონვენციის მიზნებთან და ამოცანებთან შეუთავსებელი პირობების დათქმა დაუშვებელია.

3. დათქმული პირობა შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით, რომელიც შემდეგ ამის შესახებ ყველა სახელმწიფოს ატყობინებს. ასეთი შეტყობინება ძალაში რჩება გენერალური მდივნის მიერ მისი მიღების დღიდან.

მუხლი 52

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინების გზით. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

მუხლი 53

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი წინამდებარე კონვენციის დეპოზიტარად ინიშნება.

მუხლი 54

წინამდებარე კონვენციის ორიგინალი, რომლის ინგლისური, არაბული, ესპანური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტიკურია, შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

რის დასტურადაც თავიანთი შესაბამისი მთავრობების მიერ სათანადოდ უფლებამოსილმა ქვემორე ხელმომწერმა სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას.

„გამოთქვი სწორად!“ ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის არაოფიციალური ახალგაზრდული გამოცემა, კანადა

რა დანიშნულება აქვს ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის ახალგაზრდულ გამოცემას?

გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული და მსოფლიოს უმეტესობა ქვეყნების მიერ რატიფიცირებული კონვენციის ორიგინალი წარმოადგენს იურიდიულ დოკუმენტს, რომელიც ტექნიკურ ენაზეა შედგენილი. თუ გვსურს, რომ ახალგაზრდებს ესმოდეთ და ფლობდნენ ცოდნას საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ, ჩვენ კონვენციის მუხლების ჩვენი სიტყვებით გადმოცემა გვჭირდება. გარდა ამისა, კონვენციის 42-ე მუხლში ნათქვამია, რომ სახელმწიფო ვალდებულია, სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით გააცნოს ახალგაზრდა მოქალაქეებს საკუთარი უფლებები. ეჭვგარეშეა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის ახალგაზრდების მიერ დამუშავებული ვერსია განსხვავებული და მეტად გასაგებია მოზარდებისათვის.

უფლებებზე ამდენი საუბრის შემდეგ, საჭიროა, ვიმსჯელოთ ჩვენს პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებზე?

უფლებებისა და პასუხისმგებლობების გამიჯვნა შეუძლებელია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საუბარია ბავშვთა უფლებებზე, რომელთა დაცვაზეც პასუხისმგებელია სახელმწიფო. ნებისმიერ ურთიერთობაში, რომელიც გვსურს, რომ შედგეს - იქნება ეს ურთიერთობა მეგობრებთან, ოჯახის წევრებს შორის, სკოლაში, სპორტული გუნდის წევრებს შორის თუ ქვეყნებს შორის - უნდა გვახსოვდეს რომ ჩვენ გარკვეული ვალდებულებები გვაკისრია მათ წინაშე, ისევე, როგორც მათ აკისრიათ ვალდებულებები ჩვენ წინაშე. ძირითადი ვალდებულება, რომელიც ჩვენ სხვების წინაშე გვაკისრია, არის პატივისცემა და ტოლერანტობა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციაში შესულია ის ძირითადი ვალდებულებები, რომლებიც სახელმწიფოს აკისრია 18 წლამდე ადამიანების წინაშე.

რა უფლებებზეა საუბარი კონვენციაში?

კონვენცია შესაძლებელია გავყოთ უფლებათა ოთხ ჯგუფად:

I. „მონაწილეობა“ — რაც ნიშნავს გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ჩართულობას, სხვა ადამიანებთან გაერთიანების თავისუფლებას, გამოხატვის თავისუფლებასა და სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღების თავისუფლებას.

II. „შესაძლებლობების გამოვლენა“ — მოიცავს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც საჭიროებს განვითარებას. ამ ჯგუფში შედის განათლების, ოჯახის, კულტურისა და ინდივიდუალობის მნიშვნელობა ჩვენს ცხოვრებაში.

III. „ნორმალური ცხოვრების პირობები: სიცოცხლის შენარჩუნების უფლება“ — მოიცავს ჩვენს ძირითად უფლებებს, როგორიცაა საკვები და საცხოვრებელი, ცხოვრების პირობები და ჯანმრთელობა.

IV. „ზიანისაგან დაცვა“ — გულისხმობს ახალგაზრდა თაობის დაცვას მთელი რიგი არასასურველი ფაქტორებისაგან, მათ შორის, არასათანადო მოპყრობისაგან, მზრუნველობის მოკლებისაგან, ეკონომიკური ექსპლუატაციისაგან, წამებისაგან, გატაცებისა და პროსტიტუციისაგან.

I. მონაწილეობა: მონაწილეობის უფლება

მუხლი 3 — ჩვენი, როგორც ბავშვების, ჭეშმარიტი ინტერესები

ყველა გადაწყვეტილებისა და მოქმედების დროს, რომელიც ჩვენ გვეხება, უწინარეს ყოვლისა, დაცული უნდა იყოს ჩვენი ჭეშმარიტი ინტერესები. სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს იმაზე, რომ დაცული იყოს ინსტიტუციური სტანდარტები, რათა არ მოგვაკლდეს სათანადო მზრუნველობა და დაცვა.

მუხლი 12 – საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება

ჩვენ გვაქვს უფლება, გამოვთქვათ საკუთარი შეხედულებები იმ საკითხების შესახებ, რომლებიც ჩვენ გვეხება, განსაკუთრებით ნებისმიერ სასამართლო პროცესზე ან ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ჩვენ გვეხება. ზრდასთან ერთად, ჩვენი შეხედულებები სულ უფრო და უფრო უნდა იყოს გათვალისწინებული.

ჩაერთე! ისწავლე, თუ როგორ და რა საშუალებებით შეგიძლია მიიღო მონაწილეობა.

მუხლი 13 – გამოხატვის თავისუფლება

ჩვენ გვაქვს უფლება, თავისუფლად გამოვთქვათ ჩვენი აზრი და, ასევე, მივიღოთ და გავცეთ ინფორმაცია ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის, ზეპირი ან ბეჭდური ფორმით ან ხელოვნების ნიმუშის სახით. ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა, საკუთარი აზრი გამოვთქვათ ისე, რომ პატივი ვცეთ სხვა ადამიანების უფლებებსა და რეპუტაციას.

მუხლი 14 – სინდისის და რელიგიური რწმენის თავისუფლება

ჩვენ ვსარგებლობთ აზრის, სინდისისა და რელიგიური რწმენის თავისუფლებით. სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს ჩვენი მშობლებისა და მეურვეების უფლებებს, გვიხელმძღვანელონ ჩვენი უფლებებით სარგებლობის საჭიროების შემთხვევაში.

მუხლი 15 – ჩვენი გაერთიანებების ჩამოყალიბების თავისუფლება

ჩვენ გვაქვს უფლება, გაერთიანდეთ სხვებთან და შევქმნათ საკუთარი გაერთიანებები. ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა, ვისარგებლოთ ამ უფლებით ისე, რომ პატივი ვცეთ სხვა ადამიანების უფლებებს და დავიცვათ მათი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.

მუხლი 16 – ჩვენი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

ჩვენ გვაქვს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან პირადი კორესპონდენციის საიდუმლოების უფლება. ჩვენ ასევე გვაქვს უფლება, შელახვისაგან იყოს დაცული ჩვენი ღირსება და რეპუტაცია.

მუხლი 17 – მედია

სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროთი გავრცელებული ინფორმაციისა და მასალის მისაწვდომობა, განსაკუთრებით, ჩვენთვის და ჩვენი ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ინფორმაციისა.

II. შესაძლებლობების გამოვლენა: ჩვენი უფლება, ჩამოვყალიბდეთ ისეთ პიროვნებებად, როგორიც ვართ

მუხლი 5 – მშობლების პატივისცემა

სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს ყველა იმ ადამიანის უფლებას, რომელიც ბავშვის აღზრდაში მონაწილეობს, რათა მათ გვიხელმძღვანელონ, თუ როგორ ვისარგებლოთ ჩვენი უფლებებით.

მუხლი 7 – ჩვენი სახელი, გვარი და ეროვნება

ჩვენ დაბადებისთანავე გვაქვს უფლება, გვქონდეს სახელი, გვარი და მოქალაქეობა. ასევე, გვაქვს უფლება, ვიცნობდეთ საკუთარ მშობლებს და ვიზრდებოდეთ მათ გარემოცვაში, მათი მზრუნველობის ქვეშ.

მუხლი 8 – ჩვენი პიროვნულობის შენარჩუნება

ჩვენ გვაქვს უფლება, დაცული იყოს და, საჭიროების შემთხვევაში, აღდგენილი ჩვენი პიროვნულობის გამომხატველი ძირითადი ნიშნები: სახელი და გვარი, მოქალაქეობა და ოჯახური კავშირები.

მუხლი 10 – ოჯახური კავშირების აღდგენა

საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს უფლება, დავტოვოთ ან დავბრუნდეთ საკუთარ ქვეყანაში, რათა ვიცხოვროთ ჩვენი ოჯახის წევრებთან ერთად, სახელმწიფო ვალდებულია, ჩვენ მიერ ქვეყნის დატოვებასა და ქვეყანაში დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები მოაგვაროს სწრაფად და ჰუმანურად. თუ ჩვენი მშობლები სხვა ქვეყანაში ცხოვრობენ, ჩვენ გვაქვს უფლება, პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ვიქონიოთ მათთან.

მუხლი 21 – შვილად აყვანა

იმ სახელმწიფოში, სადაც ბავშვის შვილად აყვანა დაშვებულია, ბავშვის შვილად აყვანა უნდა მოხდეს ბავშვის ჯეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით და ამ პროცესს უნდა ზედამხედველობდეს კომპეტენტური უწყება. სხვა ქვეყანაში ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ ამ ქვეყანაში ბავშვის შვილად აყვანის სტანდარტები შეესაბამებოდეს იმ ქვეყანაში არსებულ სტანდარტებს, რომლიდანაც მოხდა ბავშვის გაშვილება.

მუხლი 23 – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს უფლება აქვს, ისარგებლოს სპეციალური მზრუნველობით და მიიღოს სპეციალური განათლება, რათა შეძლოს საზოგადოებაში ღირსეულად და სრულყოფილად ცხოვრება.

მუხლი 28 – ჩვენი განათლება

ჩვენ გვაქვს უფლება, მივიღოთ განათლება. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ დაწყებითი განათლება იყოს სრულიად უფასო და სავალდებულო, ხოლო საშუალო და უმაღლესი განათლება იყოს ხელმისაწვდომი. დისციპლინის მოთხოვნა სკოლაში უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ღირსებასა და ინტერესებს. ქვეყნებმა უნდა ითანამშრომლონ საერთაშორისო დონეზე, რათა მთელ მსოფლიოში აღმოიფხვრას წერა-კითხვის უცოდინრობა და ყველა ბავშვს შეეძლოს, ისარგებლოს სამეცნიერო–ტექნიკური მიღწევებითა და სწავლების თანამედროვე მეთოდებით.

III. ნორმალური ცხოვრების პირობები: სიცოცხლის შენარჩუნების უფლება

მუხლი 6 – სიცოცხლისა და განვითარების უფლება

ჩვენ, ყველა ბავშვს, გვაქვს სიცოცხლის უფლება. აგრეთვე, სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს ჩვენი სიცოცხლის შენარჩუნებასა და განვითარებაზე, მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობის გამოყენებით.

მუხლი 9 – მშობლებისაგან დაშორება

ჩვენ უფლება გვაქვს, ვიცხოვროთ მშობლებთან ერთად და არ ვიყოთ მათგან დაშორებული გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი დაშორება აუცილებელია ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის უფლება გვაქვს ნებისმიერი სასამართლო მოსმენისა და საქმის განხილვის პროცესზე, რომელიც მშობლებისაგან დაშორების საქმეს ეხება. მშობლების განცალკევების შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს უფლება, ურთიერთობა გვქონდეს ორივე მათგანთან. თუ მშობლებისაგან დაშორების გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო, მანვე უნდა მოგვაწოდოს ინფორმაცია ჩვენი მშობლების ადგილსამყოფელის შესახებ.

მუხლი 18 – მშობლებისა და მეურვეების პასუხისმგებლობა

მშობლები და მეურვეები ვალდებულები არიან, იზრუნონ ჩვენს აღზრდაზე და ეს ვალდებულება მათ აკისრიათ უპირველეს ყოვლისა. თუ მშობლები ან მეურვეები მუშაობენ და დაკავებულები არიან, სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს მათ, რათა ჩვენ არ მოგვაკლდეს სათანადო მზრუნველობა.

მუხლი 24 – ჯანმრთელობა და სამედიცინო დახმარება

ჩვენ გვაქვს უფლება, ვსარგებლობდეთ უმაღლესი ხარისხის სამედიცინო მომსახურებითა და დახმარებით. სახელმწიფო ვალდებულია, ებრძოლოს ბავშვთა სიკვდილიანობას, უზრუნველყოს ბავშვების სამედიცინო მომსახურება, სრულფასოვანი კვება და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო, დედებისათვის მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის სათანადო მომსახურება, ჯანმრთელობის დაცვის მიზნით საჭირო ინფორმაციის მიწოდება, პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარება და იმ ტრადიციული პრაქტიკის აღმოფხვრა, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე.

მუხლი 25 – პირობების შემოწმება სპეციალური მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს გადაწყვეტილებით ჩვენ ვიმყოფებით სპეციალური მეურვეობის ან მზრუნველობისა და მკურნალობის ქვეშ, სახელმწიფო რეგულარულად უნდა ამოწმებდეს ჩვენს მდგომარეობას.

მუხლი 26 – სოციალური უზრუნველყოფა

ჩვენ გვაქვს უფლება, ვისარგებლოთ სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური დაზღვევის პროგრამებით. სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება უნდა ითვალისწინებდეს არსებულ რესურსებს და ჩვენი მშობლებისა და მეურვეების მდგომარეობას.

მუხლი 27 – ჩვენი ცხოვრების პირობები

ჩვენ გვაქვს უფლება, ვიცხოვროთ ისეთ პირობებში, რომელიც აუცილებელია ჩვენი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური განვითარებისა და სოციალური კეთილდღეობისათვის. ჩვენი მშობლები ან მეურვეები ვალდებულები არიან, შეგვიქმნან ცხოვრების ნორმალური პირობები და დონე, სახელმწიფო კი ვალდებულია, დაეხმაროს ჩვენს მშობლებს და მეურვეებს ჩვენთვის ამ პირობების შექმნაში, თუ მათ საკუთარი ძალებით ამის გაკეთება არ შეუძლიათ.

მუხლი 31 – დასვენება და თამაში

ჩვენ გვაქვს დასვენების, თამაშის, კულტურულ და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება.

მუხლი 41 – უკეთესი სტანდარტების უპირატესობა

თუ სახელმწიფოში მოქმედი კანონები უკეთესად იცავს ბავშვს, ვიდრე ეს კონვენცია, მაშინ სახელმწიფოში მოქმედ კანონებს უპირატესობა ენიჭება.

IV. ზიანისაგან დაცვა: დაცვის უფლება

მუხლი 2 – დისკრიმინაციის დაუშვებლობა

წინამდებარე კონვენციაში შესული უფლებები ვრცელდება განურჩევლად ყველა ბავშვზე. აგრეთვე, სახელმწიფო ვალდებულია, დაგვიცვას დისკრიმინაციისა და სასჯელისაგან, რომელიც შეიძლება შეეხოს ჩვენი ოჯახების სტატუსს, ოჯახის წევრების წარმოშობას, მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებს, მრწამსს და ა.შ..

მუხლი 11 – ბავშვების გატაცება და დაკავება

სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ბავშვების გატაცება და ქვეყნიდან მათი არალეგალური გაყვანა, მშობლების ან სხვა პირების მიერ.

მუხლი 19 – ძალადობა და მზრუნველობის მოკლება

ჩვენ გვაქვს უფლება, დაცული ვიყოთ მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან,

მზრუნველობის მოკლებისა თუ ექსპლუატაციისაგან. ჩვენ ასევე გვაქვს უფლება, ვიცოდეთ, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან ამგვარი მოპყრობა და როგორ მოვიქცეთ ჩვენ მიმართ ამგვარი მოპყრობის გამოვლენის შემთხვევაში.

მუხლი 20 – მზრუნველობამოკლებული ბავშვები

თუ ჩვენ მოკლებული ვართ ოჯახურ გარემოს, ჩვენ გვაქვს უფლება, ვისარგებლოთ სახელმწიფოს განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ჩვენი აღსაზრდელად მიბარება სხვა ოჯახის ან შესაბამისი დაწესებულებისათვის, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნას ჩვენი ეთნიკური, რელიგიური, კულტურული და ენობრივი წარმომავლობა და თავისებურებები.

მუხლი 22 – ლტოლვილი ბავშვები

სახელმწიფომ განსაკუთრებულად უნდა იზრუნოს ლტოლვილ, სამშობლოდან დევნილ, ან ლტოლვილობის სტატუსის მიღების მოსურნე ბავშვებზე და, საჭიროების შემთხვევაში, აღმოუჩინოს მათ სათანადო დახმარება.

მუხლი 32 – ბავშვთა შრომა

ჩვენ გვაქვს უფლება, დაცული ვიყოთ ეკონომიკური ექსპლუატაციისაგან და ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის ჩვენს ჯანმრთელობას, აფერხებს ჩვენი განათლების მიღების პროცესს და ჩვენს განვითარებას. სახელმწიფომ უნდა დაადგინოს პირისათვის სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი, განსაზღვროს სამუშაო დღის ხანგრძლივობა და შრომის პირობები და დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევებისათვის დაადგინოს სასჯელის ზომები.

მუხლი 33 – ნარკოტიკების ავადმოხმარებისაგან დაცვა

ჩვენ უფლება გვაქვს, დაცული ვიყოთ არალეგალური ნარკოტიკების ავადმოხმარებისაგან და მათ წარმოებასა და გავრცელებაში მონაწილეობისაგან.

მუხლი 34 – სექსუალური ექსპლუატაციისაგან დაცვა

ჩვენ გვაქვს უფლება, დაცული ვიყოთ სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისაგან, მათ შორის, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიულ მასალებში გამოყენებისაგან.

მუხლი 35 – დაცვა ვაჭრობს საგნად და ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევისაგან

სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა არ დაუშვას ბავშვის მოტაცება, ტრეფიკინგი ან გაყიდვა.

მუხლი 36 – ყველა სხვა სახის ექსპლუატაცია

სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ბავშვი ნებისმიერი იძულებითი ქმედებისაგან, რაც საზიანოა მისი განვითარებისათვის.

მუხლი 37 – დასჯა და უკანონო დაკავება

ჩვენ დაცული უნდა ვიყოთ წამებისაგან, არასათანადო მოპყრობის ან სასჯელისაგან და უკანონო დაკავებისაგან ან თავისუფლების შეზღუდვის სხვა ფორმებისაგან. სახელმწიფომ უნდა აიღოს ვალდებულება, რომ 18 წლამდე ასაკის მოზარდს არ შეიძლება დანაშაულისთვის შეეფარდოს სიკვდილით დასჯა და მუდმივი პატიმრობა. დაკავების შემთხვევაში ბავშვს უნდა ეპყრობოდნენ ჰუმანურად და მისი ღირსების შელახვის გარეშე, იგი განცალკევებული უნდა იყოს უფროსებისაგან და მას უნდა ჰქონდეს კავშირი ოჯახთან და უნდა სარგებლობდეს სამართლებრივი დახმარებით.

მუხლი 38 – ომი და შეიარაღებული კონფლიქტი

15 წლამდე ასაკის ბავშვები არ უნდა იყვნენ სამხედრო სამსახურში. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ბავშვებზე, რომლებიც საომარ ზონაში ცხოვრობენ.

მუხლი 39 – ზრუნვა ბავშვების რეაბილიტაციაზე

სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ბავშვის მკურნალობა, თუ იგი დაზარალდა შეიარაღებული კონფლიქტის, წამების, ან სასტიკი მოპყრობის დროს და იზრუნოს იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს საზოგადოების ნორმალურ წევრად.

მუხლი 40 – ბავშვები და მართლმსაჯულება

ბავშვი, რომელიც კანონის დარღვევაშია ბრალდებული, სარგებლობს უფლებით, მისდამი მოპყრობა არ იყოს მისი ღირსების შემლახავი, ითვლებოდეს უდანაშაულოდ, სანამ არ იქნება მიჩნეული დამნაშავედ, გაეცნოს მისდამი წაყენებულ ბრალდებებს, საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, იყოს გასამართლებული სამართლიანად, დაცული იყოს მისი პირადი ცხოვრებისადმი პატივისცემა, გაასაჩივროს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. მთავრობა ვალდებულია, განსაზღვროს პიროვნების ის მინიმალური ასაკი, რომლის მიღწევამდეც, ბავშვებს არა აქვთ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის უნარი. აგრეთვე, ბავშვებისათვის, რომლებმაც დაარღვიეს კანონი, სახელმწიფო უნდა ითვალისწინებდეს სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოთავსების შემცვლელ სხვადასხვაგვარ ალტერნატიულ ღონისძიებებს, როგორიცაა მოვლა, მეურვეობისა და მეთვალყურეობის დაწესება, გამოსაცდელი ვადის დანიშვნა, აღზრდა, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები.

მონაწილეობის გზები

მონაწილეობა შეიძლება განხორციელდეს მრავალი გზით, მათ შორის:

1. დღის წესრიგში დაყენებული საკითხებისა და ლიდერების შესახებ არსებული მასალის გაცნობა;
2. დღის წესრიგში დაყენებული საკითხებისა და ლიდერების შესახებ სტატიებისა და პუბლიკაციების წერა;
3. საკითხის შესახებ გამართულ დებატებში მონაწილეობა;
4. ისეთ საზოგადოებაში მუშაობა, რომელიც რაიმე მიზნის მისაღწევად იბრძვის ან მთავრობის მიერ გადადგმულ რომელიმე ნაბიჯს ეწინააღმდეგება;
5. პოლიტიკური პარტიების, სხვა ტიპის საზოგადოებების ან მასობრივი ჯგუფების ჩამოყალიბება ან მათში გაწევრიანება;
6. პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ თავყრილობებზე დასწრება;
7. პოლიტიკური პარტიის, შრომითი კოლექტივის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სათავეში ჩადგომა;
8. არჩევნებში მონაწილეობა;
9. ხელისუფლებაში მოსვლის მსურველ კანდიდატთა დასახმარებლად კამპანიის წარმოება;
10. საკუთარი კანდიდატურის წამოყენება და, არჩევის შემთხვევაში, ამომრჩეველთათვის სამსახურის გაწევა;
11. გადასახადების გადახდა;
12. ლობირება;
13. სამხედრო მოვალეობის მოხდა;
14. არსებული იურიდიული არხებით სარგებლობა, როგორიცაა მთავრობის წარმომადგენლებთან ხელშეკრულებების დადება, სასამართლოში საქმის აღძვრა და ა. შ.
15. პროტესტის გამოხატვა დემონსტრაციის, ბოიკოტის, გაფიცვის და ა.შ. საშუალებით.

ბავშთა უფლებებთან დაკავშირებული ინტერნეტგვერდები

http://boes.org/justice.html	BOES.ORG – დამოუკიდებელი, არაკომერციული ორგანიზაცია, რომლის ვებგვერდზეც შეგიძლიათ იხილოთ ინფორმაცია ბავშვთა უფლებების შესახებ (მათ შორის, ბავშვის უფლებების კონვენცია) სხვადასხვა ენაზე.
http://www.cccf-fcsge.ca/	კანადის ბავშვთა დაცვის ორგანიზაცია
http://www.cfc-efc.ca	ბავშვი და ოჯახი, კანადა
http://www.crin.org/	საინფორმაციო ქსელი ბავშვის უფლებების შესახებ
http://www.child-abuse.com/childhouse/	ბავშვთა სახლი
http://www.childwatch.uio.no/	ბავშვთა საერთაშორისო სამეთვალყურეო ორგანიზაცია
http://www.child-soldiers.org/	კოალიცია ბავშვთა სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ

http://www.echr.coe.int	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
http://www.ilo.org/	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
http://www.unicef-icdc.org./	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი
http://www1.umn.edu/humanrts/links/children.html	მინესოტას უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ბიბლიოთეკა
http://hrw.org	Human Rights Watch – ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია
http://www.savethechildren.org	Save the children – ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები
http://www.crin.org	საინფორმაციო ქსელი ბავშვის უფლებათა შესახებ
http://www.coe.int/t/dg4/education/edc	განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება

ბარათები ბავშვთა უფლებების შესახებ



NOVINE
PLAKATI
INFO
KONCE
SAJAM
ŽETI



NAUKA
HAUT
HAUT



ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რა უფლებებს ფლობენ ისინი, მაგრამ მათ აგრეთვე უნდა ისწავლონ, როგორ დააფასონ ეს უფლებები და როგორ ისარგებლონ ამ უფლებებით. ამ მიზნის მისაღწევად, საჭიროა, სკოლამ უზრუნველყოს ბავშვთა უფლებების შესახებ სწავლებისათვის შესაფერისი გარემოსა და შესაძლებლობების შექმნა. ბავშვები საკუთარ უფლებებს აცნობიერებენ და აფასებენ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სარგებლობენ ამ უფლებებით, როგორც სკოლაში, ასევე, სკოლის ფარგლებს გარეთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში. მოსწავლეთა წასახალისებლად, მასწავლებელმა უნდა შექმნას ისეთი გარემო, რომელიც ეფუძნება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა პრინციპებს.

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია მასწავლებლებისათვის, რომელთა მიზანს წარმოადგენს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე, ბავშვთა უფლებების სწავლებისათვის სათანადო ინსტრუმენტის მოძიება. სახელმძღვანელოში შესულია:

- მცირე მოცულობის ცხრა პროექტი, რომელთაგან თითოეული შედგება ოთხი გაკვეთილისაგან და რომლებიც განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პირველი ცხრა წლის განმავლობაში მოსწავლეთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩასართავად.
- დეტალური ინსტრუქციები

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ექვსი წიგნისაგან შემდგარი გამოცემის მეხუთე წიგნს:

წიგნი I: *განათლება დემოკრატიისათვის*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ – ძირითადი საცნობარო მასალა მასწავლებლებისათვის

წიგნი II: *ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ – საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის

წიგნი III: *ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ – საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურისათვის

წიგნი IV: *მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ – საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

წიგნი V: *ბავშვთა უფლებების კვლევა*
ცხრა მცირე პროექტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის

წიგნი VI: *დემოკრატიის სწავლება*
სასწავლო მოდელების კრებული დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

www.coe.int

ევროპის საბჭოში გაწევრიანებულია 47 სახელმწიფო და იგი პრაქტიკულად მოიცავს ევროპის მთელ კონტინენტს. ევროპის საბჭოს მიზანია, შექმნას საერთო დემოკრატიული და სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებების ევროპულ კონვენციაზე და სხვა დოკუმენტებზე, რომლებიც ადამიანის დაცვას შეეხება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1949 წელს მისი დაარსების დღიდან, ევროპის საბჭო წარმოადგენს შერიგების სიმბოლოს.

http://book.coe.int
ევროპის საბჭოს გამომცემლობა